The sounds of natural phenomena and inanimate objects are mentioned almost 200 times, and almost 100 lexemes are used to name them (Lubienė 2007: 26). Commonly used are *traškėti, skambėti, dundėti, šlamėti, užti* [crackle, sound, rumble, rustle, hum]. For water sounds 12 lexemes are used (*burbuliuoti, gurgenti, šniokšti*, bubble, gurgle, roar), and 10 lexemes represent plant sounds (*murmėti, siausti, šlamenti* [murmur, rage, swish]). The wind in *The Saga groja, stūgauja, ūkauja* [plays, howls, hoots], snow *girgžda, traška* [squeaks, crunches], thunder *muša* [strikes]. There are also a lot of sounds emitted by personalised inanimate objects (*murma šalčio rakinamos samanų, stūgauja vėjas* [frost-locked moss murmur, wind howls], various tools, devices (*bildėti, cikseti* [clatter, click]), sounds from impact, explosion (*dundėti, pykšėti*, [hum, crack, a total of 39 words), or touching and rubbing (*girgždėti, čerškėti* [squeak, rattle, in total 17 words]). In her article, J. Lubienė also discusses the expression of acoustic features, i.e. (loudness-silence), intensity (length-shortness), emotional evaluation of sounds (*mergina linksmai nusijuokė, varnos rudeniškai rėkia* [girl laughed cheerfully, crows cawed autumnally], etc. (Lubienė 2007: 28). In my article I quoted a tiny part of the words representing sounds in Baltušis's novel; however it is evident that they create one more layer of profound deep rhythm of prose and instrumentation, enchanting and immersing in the cosmic sacrality of nature and myth.

### **Generalisation**

The life of the talented Lithuanian writer Juozas Baltušis was marked by duality during the Soviet occupation like that of many cultural and political figures and can be divided into three stages. The first stage is leftist idealism of the youth, collaboration with the Soviet authorities in

Lithuania, partially marked in part by peasant cunningness and caution. Stage two encompassed the times when the most popular folk writer in the country held high positions, enjoying all the privileges of the Soviet Union, and not afraid to criticise the authorities in numerous literary evenings, secretly listening to the radio *The Voice of America*, and helping anyone who asked for support. The third stage began when, after the emergence of the Sajūdis and the start of the struggle for Lithuanian independence, J. Baltušis recklessly delivered a speech on the Russian programme of the Lithuanian TV, which was transmitted to Russia and became widely known. The popular writer, beloved and loving of people, unexpectedly became a traitor to the homeland and received tremendous public condemnation. Public renounced him as a writer but also his books.

Nowadays, reviewing the Soviet literary heritage, the criterion of talent of writers' but not only of mistakes they made through the life, (V. Martinkus, V. Sventickas, V. Kubilius, J. Sprindytė, etc.), which helped the Baltušis's novel *The Saga Of Juza* to accredit to *The Treasure House Of Lithuanian Literature: The 20th Century*.

*The Saga Of Juza* for its multilayered nature, mythical-folkloric and Christian worldview and symbolism, Lithuanian ethics, diligence, stylistics of the village storyteller and realistic, filled with poetry stories about nature and the cycle of agricultural work on the land, abundance and infinite variety of soundscapes, constant, repetitive, rondo retreat from the rural realities of life to the mysterious shelter of the natural world, along with the extraordinary richness of the lexicon, the melody and rhythm of the language, creates a sense of existential – mythical poetics.

Lithuanian archetypal vitality has survived because of this extraordinary beauty and richness of language, the subtlety of the world view of the ordinary people, the noble ethics, the infinitely sensitive nature, through the fusion of folklore and Christian spiritual culture.

*The Saga Of Juza* is a monument of rare beauty, a literary masterpiece, which testifies about the archetypal Lithuanian vitality. This literary masterpiece was left to us by the communist Juozas Baltušis. He bequeathed this writing as his creative testament of love for Lithuania, its people and culture.

## References:

**Baltušis 1979:** Baltušis Juozas. *Sakmė apie Južą*. Vilnius: Vaga, 1979.

**Bernardinai.lt. 2007:** Serijoje “Lietuvių literatūros lobynas. XX amžius.” Juozo Baltušio “Sakmė apie Južą”. Bernardinai.lt, 19 September 2007, accessed 8 August 2019; available from <http://www.bernardinai.lt/straipsnis/2007-09-07-serijoje-lietuviu-literaturos-lobynas-xx-amzius-j-baltusio-sakme-apie-juza/13340>; Internet.

**Brūzgienė 2007:** Brūzgienė Rūta. Musicianship Of Form In A Literary Work. *The Grove: Working Papers On English Studies*, Vol. 14, 2007, accessed 12 August 2019; available from <https://revistaselectronicas.ujaen.es/index.php/grove/article/view/1248/1037>; Internet.

**Butkus, Stankuvienė (ed.) 2008:** *Inter-studia humanitatis*, 2008, Nr 7, *Pelkė lietuvių kultūroje* (sud. Vigmantas Butkus ir Rūta Stankuvienė), Šiaulių universitetas, 2008, 204 p.

**Dručkutė 2010:** Dručkutė Genovaitė. Juozo Baltušio fenomenas Prancūzijoje *Colloquia*, Nr 24, 2010, 105–112.

**Jackevičius 2016:** Jackevičius Mindaugas. Už ką J. Baltušiu lietuva niekada neatleido, Delfi.lt, 2016 m. gegužės 29 d., accessed 10 April 2019; available from <https://www.delfi.lt/news/daily/lithuania/uz-ka-j-baltusiu-lietuva-niekada-neatleido.d?id=71140498>; Internet.

**Jakševičiūtė 2013:** Jakševičiūtė Dagnė. *Gyvenom socializme: prisiminimai apie Juožą Baltušį*. Vilnius: Alma littera, 2013.

**Juodytė-Žizienė 2002:** Juodytė-Žizienė Aurelija. Tarp kūrybiškumo ir stereotipų (Ko verta Juozo Baltušio proza?). *Darbai ir dienos*, 2002, Nr. 29, p. 7–46, Kaunas: VDU leidykla, 2002.

**Karbusický 1997:** Karbusický Vladimír. Antropologinės ir gamtinės universalijos muzikoje. *Baltos lankos*, Nr. 9. Vilnius, 1997.

**Kubilius 1995:** Kubilius Vytautas. *XX amžiaus literatūra*. Vilnius, Alma littera, 1995.

**Kubilius (ed.) at all 1991:** Kubilius Vytautas (ed.) at all. *Rašytojas pokario metais*. Vilnius: Vaga: 1991.

**Kuolys 2019:** Kuolys Darius. Kazio Jakubėno likimą lėmė Petras Cvirka? Tikrovė kur kas sudėtingesnė, accessed 3 November 2019; available from <https://www.facebook.com/kuolys/posts/967548420279131>; Internet.

**Lubienė 2004:** Lubienė Jūratė. Garsų pasaulis ir jo raiška Juozo Baltušio „Sakmėje apie Južą“. *Filologija*, 2004 Nr. 7, Šiauliai: Šiaulių universiteto leidykla, p. 24–29, 2004.

**Razauskas 2013:** Razauskas D. Maironis ir senoji tradicija. *Liaudies kultūra*, 2013, Nr. 2 (149), p. 11–25, 2013.



**Rupinskienė 2019:** Rupinskienė Dalina. *Rašytojo J. Baltušio dukra: su tėvu nesikalbėdavom ir pusmetį*. *Alfa.lt*, April 27, 2019, accessed 5 July; 2019; available from <https://www.alfa.lt/straipsnis/50388463/rasytojo-j-baltusio-dukra-su-tevu-nesikalbėdavom-ir-pusmeti>; Internet.

**Sakavičiūtė 2008:** Sakavičiūtė Danguolė. *Pelkės semantika angažuotuose tekstuose*. *Inter-studia humanitatis*, 2008, Nr 7: *Pelkė lietuvių kultūroje*, Šiaulių universitetas, p. 155-164, 2008.

**Striogaitė 2009:** Striogaitė Dalia. Juozas Baltušis partinio budrumo sargyboje. *Naujasis Židinys-Aidai*, 2009, Nr. 8-9, p. 320-324, 2009.

**Šerelytė 2007:** Šerelytė Renata. Juozas Baltušis, *Sakmė apie Juzą*. Šiaurės Atėnai, 2007-09-29, accessed 7 August 2019; available from <https://www.rasyk.lt/knygos/sakme-apie-juzą/3129.html>; Internet.

**Tamošaitis 2016:** Tamošaitis Mindaugas. Juozas Baltušis ir Eduardas Miežėlaitis tautinio atgimimo ir pirmaisiais Lietuvos nepriklausomybės metais, *LITUANISTICA*, 2016. T. 62. Nr. 1(103), p. 12-24, Vilnius: Lietuvos mokslų akademija, 2016.

**Toporov 1967:** Топоров В. Н. К истории связей мифопоэтической и научной традиции: Гераклит. *To Honour Roman Jakobson. Essays on the Occasion of his Seventieth Birthday*, Vol. III. The Hague-Paris: Mouton, 1967.

**Vaitkevičienė 2007:** Vaitkevičienė Daiva. Tarp emocijos ir ritualo: Baltų karo papročių pėdsakais. *Tautosakos darbai*, XXXIII, 2007.

**Valentas 2007:** Valentas Skirmantas. *Mė(lynojo)nulio lingvistika Vlado Braziūno ir Sigito Gedos poezijoje*. Vilnius: Baltos lankos, 2007.

**Vedrickaitė 2010:** Vedrickaitė Imelda. Rašytojo mauzoliejaus apmatai Juozo Baltušio dokumentinėje prozoje ir pysakoje *Sakmė apie Juzą*. *Colloquia*, Nr 24, 2010, p. 84-104.

**Wolf 2009:** Wolf Werner. Relations between Literature and Music in the Context of a General Typology of Intermediality. *Comparative Literature: Sharing Knowledges for Preserving Cultural Diversity*, Vol. 1. 2009. p. 133-156. EOLSS Publications, accessed 10 August 2019; available from <https://www.eolss.net/Sample-Chapters/C04/E6-87-02-02.pdf>; Internet.

**Nugesha Gagnidze**  
*Georgia, Kutaisi*  
*Akaki Tsereteli State University*

## **The Recent History of Georgia in Nino Haratishvili's Novel „My Gentle Twin“**

Nino Haratishvili's family saga "My Gentle Twin" tells us about two couples' romantic and tragic love stories. Simultaneously, the author depicts the social, political and cultural life of the 90-s of the XX century Georgia.

Nino Haratishvili as an eyewitness of the wars and revolutions in Georgia, the collapse of the Soviet system and the transition period of an independent country. She uses archive materials in order to describe what she saw and felt with maximum accuracy. She became the best presenter of her country in German speaking world.

**Key Words:** romantic and tragic love; war in Abkhazia.

### **ნუგეშა გაგნიძე**

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **საქართველოს უახლესი ისტორია ნინო ხარატიშვილის რომანში „ჩემი საყვარელი ორეული“**

21-ე საუკუნის დასაწყისიდან ბევრს წერს დასავლეთევროპული პრესა საქართველოში დაბადებული გერმანულენოვანი ავტორის ნინო ხარატიშვილის შესახებ. ლიტერატურის სცენაზე ახალგაზრდა მწერალი თავდაპირველად შთამბეჭდავი პიესებით გამოჩნდა. 1998 წლიდან დღემდე მისი დრამები იდგმება გერმანიის სხვადასხვა ქალაქში და აღაფრთოვანებს მაყურებელს.

ნინო ხარატიშვილის პირველი დიდი წარმატება უკავშირდება ჰამბურგში, თეატრ თალიაში დადგმულ პიესას „Z“ (2006). აქტიური ლიტერატურული და დრამატული საქმიანობისთვის 2008 წლიდან მან მრავალი ჯილდო და პრემია მიიღო. მათ შორის აღსანიშნავია:

ჰაიდელბერგის თეატრალური ფესტივალის ავტორთა პრიზი ფილიპ ლიოჰლესთან ერთად, როლფ მარეს პრიზი „აგონის“ დადგმისათვის ჰამბურგის ლიხტჰოფის თეატრში, ჰაიდელბერგის თეატრალური ფესტივალის მთავარი პრიზი „ლივ შტაინისათვის“, ბერტოლტ ბრეხტისა და შილერის ჯილდოები და სხვ.

როგორც მრავალგვერდიანი რომანების ავტორი ნინო ხარატიშვილი მკითხველმა გაიცნო 2010 წელს, როცა ფერბრეხერ ფერლაგმა (Verbrecher Verlag) გამოსცა მისი პირველი ნაწარმოები „ჟუჯა“ („Juja“). ამ რომანისათვის მას ბუდენბროკების სახლის სადებიუტო პრიზი (Debütpreis des Buddenbrookhauses für ihren Roman „Juja“) გადაეცა. სწორედ ამავე წელს გახდა იგი ადლბერტ ფონ შამისოს პრემიის მფლობელი გერმანული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. განსაკუთრებული აღიარება მოუტანა ახალგაზრდა მწერალს რომანმა „ჩემი საყვარელი ორეული“ („Mein Sanfter Zwilling“, 2011), რომლისთვისაც მან 2011 წელს გერმანიის დამოუკიდებელ გამომცემლობათა პრემია მოიპოვა.

რობერტ ბოშის სტიპენდიამ (Das Grenzgaänger-Stipendium der Robert-Bosch-Stiftung) ნინო ხარატიშვილს შესაძლებლობა მისცა ემოგზაურა რუსეთში, გასცნობოდა არქივებსა და ბიბლიოთეკებში დაცულ ცნობებს, ფაქტებსა და ინტერვიუებს საბჭოთა პერიოდის შესახებ, შეეგროვებინა მასალა 1280-გვერდიანი რომანისთვის „მერვე სიცოცხლე (ბრილკასათვის)“ („Das achte Leben (Für Brilka)“, რომლის გამოქვეყნებიდან (2014) მალე მან მიიღო გერმანული ბიზნესის კულტურის კომიტეტისა და ანა ზეგერსის პრემიები.

2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობზე, სადაც მასპინძელი ქვეყნის სტატუსით საქართველო წარსდგა, დისკუსიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა იყო ნინო ხარატიშვილის ახალი ფსიქოლოგიური რომანი „კატა და გენერალი“ („Die Katze und der General“), რომელიც გამოქვეყნებისთანავე (2018) მოხვდა 2018 წლის გერმანული ლიტერატურული პრემიის (Deutscher Buch Preis 2018) მოკლე სიაში.

ნინო ხარატიშვილის ოთხივე სქელტანიანი რომანი დასავლეთევროპელი, განსაკუთრებით კი, გერმანელი, მკითხველის საყვარელი ნაწარმოებებია იმიტომ, რომ მათში იგი წერს ტაბუ-დადებულ თემებზე: საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის შესახებ, ტოტალიტარულ რეჟიმებსა და მის შედეგებზე.

ავტორი მოგვითხრობს ინდივიდუალური და კოლექტიური დანაშაულის, კონკრეტულ ქვეყნებსა და ადამიანების გონებაში მიმდინარე ბრძოლებისა და სულიერი სიმშვიდის ძიების შესახებ. ამავდროულად იგი, ერთი მხრივ, დასავლეთევროპული, კერძოდ კი, გერმანული ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელია, მეორე მხრივ, ერთგულია ქართული ლიტერატურისა. მისი თხრობის სტილი სადაა, გასაგები, ნათელი. სწორედ, ესაა ავტორის განსაკუთრებული პოპულარობის მიზეზები. 2011 წლიდან სისტემატურად იბეჭდება ნინო ხარატიშვილისა და მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი რეცენზიები გერმანიის ყველაზე პოპულარულ გაზეთებში: „ზიუდდოიჩე ცაიტუნგ“ („Süddeutsche Zeitung“), „ფრანფურტერ ალგემაინე ცაიტუნგ“ („Frankfurter Allgemeine Zeitung“), „რაინ ნეკარ ცაიტუნგ“ („Rhein-Neckar-Zeitung“), „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ („Frankfurter Rundschau“), „დი ტაგესცაიტუნგ“ („Die Tageszeitung“) და სხვ. მათში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იგი, როგორც მწერალი, განსაკუთრებული მოვლენაა, „ახალი გმირია გერმანულ ლიტერატურაში“, რომ მისი რომანი, „ჩემი საყვარელი ორეული“ არის „ეპოსი კლასიკური სიმძლავრით“ (ბაზლერი 2011).

ქართულ ენაზე უკვე ითარგმნა ნინო ხარატიშვილის სამი რომანი: „ჟუჟა“, „ჩემი საყვარელი ორეული“ და „მერვე სიცოცხლე (ბრილკასათვის)“. გერმანელი და ქართველი მკვლევრები ბევრს და პატივისცემით ლაპარაკობენ ახალგაზრდა ავტორზე, მაგრამ სამეცნიერო ნაშრომები და პუბლიკაციები მცირე ოდენობით არსებობს მის ნაწარმოებებთან დაკავშირებით. ნინო ხარატიშვილის შემოქმედების სიღრმისეული კვლევა იწყება ახლა და, ვფიქრობთ, სასურველია გამოიკვეთოს ის უმთავრესი თემები და პრობლემები, რომელთაც განსაკუთრებული ღირებულება აქვს მის პროზაში. ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ თუ როგორ აისახა საქართველოს უახლესი ისტორია რომანში „ჩემი საყვარელი ორეული“.

ნინო ხარატიშვილის განსაკუთრებულ დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ იგი მრავალმილიონიან ევროპელ მკითხველს თავისი სამშობლოს უახლეს ისტორიასა და ცხოვრებას დასავლეთ ევროპის პერსპექტივიდან აცნობს. სუბიექტივიზმის ხარისხი და მოჭარბებული მგრძნობელობა, მხურვალე ქართული პატრიოტიზ-

მი და იდეალებისა თუ კერპების ძიება ერის გადარჩენისათვის უცხოა ხარატიშვილის ნაწარმოებებისათვის, განსაკუთრებით კი რომანისათვის „ჩემი საყვარელი ორეული“. მის მიერ შტამბეჭდავად აღწერილი ეპიზოდები ქართული თუ გერმანული ყოფიდან, საყურადღებოდ დასმული აქცენტები, ინტერესს უღვივებს დასავლეთევროპელ მკითხველს, გაეცნოს კავკასიის უმშვენიერეს პატარა ქვეყანას, მის ისტორიას, ტრადიციებსა და ადათ-წესებს.

„ჩემი საყვარელი ორეული“ საოჯახო რომანია, რომელშიც წარმოდგენილია ორი წყვილის (სტელა და ივო, ლადო და სალომე) უცნაური სიყვარულის ამბავი, რომლის ფონსაც წარმოადგენს საქართველოს უახლესი ისტორიის უმძიმესი პერიოდი: 90-იანი წლები, სამოქალაქო ომი და აფხაზეთის ტრაგედია. პერსონაჟების ცხოვრებისა და ბედის განმსაზღვრელი სწორედ სოციალ-პოლიტიკური მოვლენებია.

ნინო ხარატიშვილი კარგად იცნობს როგორც გერმანულ, ასევე, ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს, რაც შესანიშნავად ჩანს მის რომანში „ჩემი საყვარელი ორეული“. ამავდროულად, მასში განსხეულებულია უახლესი ლიტერატურული ესთეტიკის ძირითადი პრინციპები. სტრუქტურული და მხატვრული თვალსაზრისით ნაწარმოები აბსოლუტურად შეესაბამება დასავლეთევროპელი მკითხველის გემოვნებას. მიუხედავად დიდი მოცულობისა, საუკუნის უმძიმესი პოლიტიკური ამბები იმდენად კარგადაა ჩართული ტრაგიკული სიყვარულის ისტორიაში, რომ მკითხველი ვერ გრძნობს დაღლას ნაწარმოების კითხვისას და სულმოუთქმელად ელოდება მოვლენების განვითარებას. რომანი არაა დამძიმებული შინაგანი მონოლოგებითა და ავტორის ვრცელი კომენტარებით რეალურ ფაქტებზე, რაც მკითხველს საკუთარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას აძლევს. ხოლო ქართული ფენომენი და ტემპერამენტი განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ნაწარმოებს, რაც მოულოდნელ სიამოვნებას განაცდევინებს ევროპელ მკითხველს.

ნინო ხარატიშვილს არ უცხოვრია ტოტალიტარული რეჟიმების დროს და არ განუცდია მათი სისასტიკე. იგი გლობალიზაციის ეპოქის შვილია, რომელმაც ბავშვობა და მოსწავლეობის წლები საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდში, გასული საუკუნის 90-იან წლებში, გაატრა. მის შემოქმედება-

ში, კერძოდ კი, საოჯახო რომანში „ჩემი საყვარელი ორეული“ აისახა სწორედ ეს პერიოდი, როცა საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. ნაწარმოებში მოქმედება საქართველოსა და გერმანიაში ვითარდება. ერთმანეთს ეჯაჭვება ორი ოჯახის დრამის კონტურები. სტელასა და ივოს რომანტიკული და ტრაგიკული ისტორიის პარალელურად რომანში მოთხრობილია აფხაზეთის ომის შედეგად ტრავმირებული სალომესა და ლადოს სიყვარულის შესახებ. პარალელური სასიყვარულო ისტორიების მეშვეობით ავტორი გვიჩვენებს, რომ ადამიანებს მსგავსად უყვართ, მიუხედავად ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა. მაგრამ ომი, ნგრევა, ეკონომიკური სიდუხჭირე ართულებს ხშირად ურთიერთობებს, სულიერ სიმშვიდეს ურღვევს ადამიანებს.

ივოსა და სტელას უსაზღვრო სიყვარულს უცნაური წინაპირობები აქვს: სტელას მშობლები განქორწინებულნი არიან. დედა ამერიკაში ცხოვრობს და მუშაობს. სტელას მამისა და ივოს დედის სიყვარული ტრაგიკულად მთავრდება. ივოს მამა კლავს მეუღლეს და ციხეში გარდაიცვლება. სტელას მამა იშვილებს ობლად დარჩენილ ივოს. სტელა და ივო მშობლების სახიფათო სიყვარულის ისტორიის მონაწილენი და, შეიძლება ითქვას, მსხვერპლნიც არიან. ისინი ერთ ოჯახში იზრდებიან და-ძმის სტატუსით, მაგრამ გარდატეხის ასაკში აღმოაჩენენ, რომ ერთმანეთისადმი ფიზიკური ლტოლვა მათ ურთიერთობებს პრობლემებს უქმნის.

ბავშვობის პერიოდში მიღებული სულიერი ტრავმები სტელასა და ივოს დროთა განმავლობაში უღრმავდებათ. მოგვიანებით ისინი შეეცდებიან ოჯახის შექმნას, მაგრამ უშედეგოდ. შვიდი წლის განშორების შემდეგ სტელა და ივო კვლავ ხვდებიან ერთმანეთს. სტელას უკვე ჰყავს მზრუნველი მეუღლე და შვილი, ცხოვრობს მშვიდი ცხოვრებით. საბედისწერო შეხვედრამ შვიდი წლის შემდეგ ისინი თითქოს სიამის ტყუპებად აქცია. მათ აღარ შეუძლიათ დაშორება. სტელა მის სიყვარულს ივოსადმი ადარებს იშვიათ ღვინოს, რომლის გახსნა კი არ სურთ, არამედ ბოთლს უფრთხილდებიან, ინახავენ მას განსაკუთრებული შემთხვევისათვის (ხარატიშვილი 2011: 69).

რომანის კითხვისას, ცხადია, მკითხველი იხიბლება უჩვეულო სასიყვარულო ისტორიითა და ავტორის ნაზი, ქალური თხრობის

მანერით. მაგრამ მასზე, ამავედროულად, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს სოციალ-პოლიტიკური სიტუაციები, რომლებიც მთავარი მოქმედი პირების ბედიწერას განსაზღვრავენ. რომანის დასაწყისშივე აღნიშნავს სტელა, რომ მისი ცხოვრება დასასრულიდან დაიწყო, რომ ოჯახის წევრები არ იყვნენ მისი სისხლით ნათესავები და როცა მათ შესახებ ან მშობლების შესახებ საუბრობდა, ზუსტად უნდა განემარტა მსმენელისათვის, მხედველობაში ვინ ჰყავდა (ხარატიშვილი 2011: 17). მსგავსი ოჯახური კონსტელაცია მთელს მსოფლიოში არსებობს, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით ნაცნობია იგი მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან. მძიმე სოციალ-პოლიტიკურის სიტუაციების გამო მრავალი ოჯახი დაინგრა საქართველოში. ბავშვები იზრდებიან ბებიასა და ბაბუასთან და ზოგჯერ ახლო ან შორეულ ნათესავებთანაც კი, რაც მათ სულიერ მდგომარეობაზე მეტ-ნაკლებად აისახება.

კავკასიის თემა რომანის პირველი ნაწილის ბოლოს შემოდის. ესაა ამავედროულად კულმინაციის წერტილი ნაწარმოებში: ერთ დღეს სტელამ ივოს ჩანაწერებით სავსე ჩანთა დაათვალიერა, რათა შეეტყო, თუ რა საქმიანობას ეწეოდა იგი კავკასიაში. მისი ყურადღება წვერიანმა მამაკაცმა მიიქცია. ეს არის 1963 წელს სოხუმში დაბადებული ლადო ყანჩელი, ქართველი მუსიკოსი და წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი, პოლიტიკური აქტივისტი, სწავლობდა კონსერვატორიაში თბილისსა და მოსკოვში, ორჯერ იყო დაპატიმრებული 1979 და 1984 წლებში საპროტესტო გამოსვლების გამო სოციალისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ნაციონალური პარტიის თანადამარსებელი და ზვიად გამსახურდიას თანამოაზრე. 1992 წელს პარტიიდან გამოვიდა და ამავე წელს, გალში, აფხაზეთში სათავეში ჩაუდგა ქართულ საბრძოლო ბატალიონს. ომში მას ოჯახის წევრები დაეღუპა. თავად გარკვეული დროით ცხოვრობდა, როგორც პოლიტიკური დევნილი, გერმანიაში, შემდგომში კი, ამერიკის შერთებულ შტატებში, 2001 წელს დაბრუნდა საქართველოში, მას შემდეგ ცხოვრობს აქ და საქმიანობს როგორც კომპოზიტორი და მუსიკოსი (ხარატიშვილი 2011: 230).

ლადო ყანჩელთან ერთად შემოდის ქართული თემა რომანში და იგი ნაწარმოების მეორე ნაწილშია გაშლილი. ივოს ჩანაწერები ცხადყოფს, რომ მას კავკასიის ქვეყანათა შორის ყველაზე მეტად საქართველო და მისი უახლესი ისტორია აინტერესებს. ასევე

საყურადღებოა მისთვის კავკასიის ქვეყნების ურთიერთობა რუსეთთან და ისტორიული კონფლიქტები მათ შორის. ცალკეული პიროვნებანი, თუ ისინი დიქტატორები ან სამყაროს გარდამქმნელნი არ აირიან, ივოსათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია (ხარატიშვილი 2011: 231). მართალია, წვერიანი მამაკაცი არც დიდი პოლიტიკოსია და არც დიდი ხელოვანი, მაგრამ, როგორც სტელამ ჩანაწერების მიხედვით გაარკვია, მისგან მიიღო ივომ მთავარი იმპულსები, გაერკვია, თუ რა ხდებოდა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოში. ლადო ყანჩელთან ინტერვიუების შედეგად შეიტყო სტელამ საშინელი სამოქალაქო ომის, ლტოლვილების, დაჭრილებისა და გარდაცვლილების შესახებ 90-იანი წლების საქართველოში. რეპორტაჟებში ივო უფრო და უფრო საფუძვლიანად ახდენს არა მარტო სამი კავკასიური სახელმწიფოს (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) უახლესი ისტორიის წარმოჩენას, არამედ იგი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სამოქალაქო ომისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ.

რომანის მეორე ნაწილში ნინო ხარატიშვილი მის მიერ ნახსა და განცდილს შთამბეჭდავად გადმოგვცემს. ის თავადაა 90-იანელი და, ამდენად, სამოქალაქო ომის თემა საქართველოში განსაკუთრებით მტკივნეულია მისთვის. თუმცა ავტორს ორიგინალური ფორმა აქვს მოძებნილი ამბის მოსათხრობად. იგი სამშობლოში მიმდინარე პროცესებს იმ ადამიანის თვალით აკვირდება, რომელიც პირველადაა უცხო ქვეყანაში. მისთვის უცნაურად მომხიბვლელია ამ ქვეყნის (საქართველოს) ცხოვრების სტილი, ადამიანთა გადაჭარბებული სიხარული და მწუხარება. თითქოს მთელი ქვეყანა უსასრულო სიყვარულშია ჩაკარგული, ფულშიც კი, რომელიც აქ არაა. მას აოცებს ყველაფერი, ქუჩაში მოძრაობის წესებიც, რომელიც არ არსებობს (ხარატიშვილი 2011: 280).

ამ არაჩვეულებრივ ქვეყანაში გაიცნო სტელამ ლადო და მისი ვაჟი ბუბა, პროფესიით მთარგმნელი და ქალაქის გიდი. იგი 1993 წელსაა დაბადებული და აფხაზეთიდანაა, ისევე როგორც მისი მშობლები. დედამისი მსახიობი იყო სოხუმის თეატრში, სადაც ის შეხვდა ლადოს, რომელიც სპექტაკლისთვის მუსიკას წერდა (ხარატიშვილი 2011: 280). ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ, დაქორწინდნენ და მალე შეეძინათ ქალიშვილ-ვაჟი. ბუბა ომის ყველაზე მძიმე პერიოდში მოევიდნა ქვეყანას. რუსები,



ქართველები, აფხაზები... ყველანი ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მე – მთხრობელი, ანუ სტელა, რომლის სახეშიც მკითხველი ნაწილობრივ რომანის ავტორს ამოიცნობს, ცდილობს, მეტი გაიგოს საქართველოში სამოქალაქო ომისა და აფხაზეთის შესახებ. ამიტომ იგი ეროვნულ არქივში მიდის დოკუმენტური მასალის მოსაძიებლად. ამ „მონსტრული ნაგებობის“ დატოვების შემდეგ სტელამ უკვე იცის, რა მოხდა სოხუმში ქალაქის ოკუპაციის პერიოდში: „ლადოს ცოლი სოხუმის ოკუპაციის პერიოდში დაბომბვისას დაიღუპა. ისიც ვიცოდი, რომ მისი გოგონაც იქ გარდაიცვალა, მაგრამ ვეღარ გავარკვეე ტყვეთა სიკვდილით დასჯის, თუ დაბომბვის დროს, ან საერთოდ, რა სიატუაციაში გარდაიცვალა.

მე ვიცოდი, რომ აფხაზეთში 1992 წელს განუსაზღვრელი რაოდენობით ჰყიდნენ ჰეროინს და რომ იარაღით მოვაჭრეებმა 19 მილიონი დოლარი მიიღეს. მე ვიცოდი, რომ აფხაზები და ქართველები ერთმანეთს რუსეთიდან გამოგზავნილი ბომბებით ბომბავდნენ. მე ვიცოდი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ომში სულ ბოლოს ჩაერია, ხოლო მედიები ამ ომის შესახებ დუმდნენ. მე ვიცოდი, რომ ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტს ეროვნულ უმცირესობათა წაქეზებასა და ამით გამოწვეულ გენოციდში ადანაშაულებდნენ...“ (ხარატიშვილი 2011: 283-284).

ნინო ხარატიშვილი ეროვნულ არქივში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით დეტალურად აღწერს საქართველოში არსებულ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას. ამ ფონზე იგი მოგვითხრობს შერეული ოჯახების შესახებ აფხაზეთში, ლტოლვილებსა და მოქალაქეებზე, „რომლებიც ფულისათვის ან ნარკოტიკებისათვის, ან უბრალოდ პატივისა და დიდებისათვის იბრძოდნენ“ (ხარატიშვილი 2011: 284). ხარატიშვილი წერს თუ როგორ დაიწყო თბილისში ომი, როგორ იზრდებოდა რუსეთის ზეწოლა საქართველოზე 1989 წლიდან, როცა აშკარა გახდა, რომ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვლა სურდა. ავტორი ეხება ამ ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს და ზოგჯერ უცნობ დეტალებსაც ააშკარავებს. საქართველოს უახლესი ისტორიის ეს მონაკვეთი მტკივნეულია ნებისმიერი ქართველისათვის. მისი შეხსენება იმისათვისაცაა საჭირო, რომ მომავალში იგივე შეცდომები არ გავიმეოროთ. გერმანულენოვანი მკითხველი კი, რომანის ამ ეპიზოდებით ეცნობა არა მარტო ეგზოტიკურ ქვეყანას – საქარ-

თველოს, არამედ მის უახლეს ისტორიას, რომელიც, ამავდროულად, მსოფლიო ისტორიის ნაწილია. და მან ეს უნდა იცოდეს, რადგან საქართველოს ესაჭიროება ევროპის მხარდაჭერა თავისი ეგზისტენციისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ნინო ხარატიშვილი ამ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალას ორიგინალური ხერხით აწვდის მკითხველს. ნაომარი საქართველოსა და ტრავმირებული ადამიანების უცნაური სასიყვარულო ამბებს ავტორი მოგვითხრობს „ლირიკული სამკაულებისაგან“ თავისუფალი ენით. რომანში აღარაა ადგილი რომანტიკული რემინისცენციებისათვის, მეტაფორებისა და ეპითეტებისათვის. მიუხედავად ამისა, მკითხველი შესანიშნავად გრძნობს და-ძმის, ასევე, ავტორისა და მისი სამშობლოს „ნაზსიახლოვესა და სასტიკ გაუცხოებას“.

გასული საუკუნის 90-იან წლების საქართველოში მიმდინარე მძიმე პოლიტიკური ამბების, ომებისა და რევოლუციების, სოციალისტური სისტემის ნგრევისა და გარდამავალი ეპოქის, ახალი ქვეყნის მშენებლობისა და ახალი სოციალ-პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების თვითმხილველი ნინო ხატარაიშვილი ცდილობს ობიექტურად გადმოსცეს ნანახი და განცდილი. იგი, როგორც თავისი ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენელი გერმანულენოვან სამყაროში, მოგზაურია ამავდროულად ორ ქვეყანასა და კულტურას შორის. მწერალი უჩვენებს არა მარტო საქართველოს დიდ პოლიტიკურ სცენაზე მიმდინარე მოვლენებს, არამედ კულისებს მიღმა საფუძვლიანად დამალულსაც, მოუთხრობს ომისა და ნგრევის პერიოდის თაობათა მძიმე ცხოვრების შესახებ. მის მიერ წარმოდგენილი ქართული რეალობა და საქართველოს უახლესი ისტორია გულგრილს არ ტოვებს გერმანულენოვან მკითხველს და პასუხს სცემს იმ ბევრ შეკითხვას, რომელსაც ევროპელები ხშირად სვამენ: რისთვის იბრძოდნენ ქართველები და რა მოხდა აფხაზეთში გასული საუკუნის 90-ან წლებში? ვინ არიან აფხაზეთიდან ლტოლვილები და რატომ არის საქართველოში ამდენი ლტოლვილი საკუთარი სამშობლოდან? ვფიქრობთ, ნინო ხარატიშვილის მიერ არჩეული გზა და გადადგმული ნაბიჯი ერთ-ერთი სწორი პოლიტიკური და ინტელექტუალური ქმედებაა იმისათვის, რომ ევროპამ ნათლად დაინახოს ჩვენი სამშობლოს პრობლემები – ტრაგედია ქვეყნისა, რომლის ტერიტორიის ოცი პროცენტი ოკუპირებულია.

### **დამოწმებანი:**

**ბაზლერი 2011:** Balzer V. „Krieg und Frieden“. *Deutschlandradio Kultur* 22.09.2011. <http://cms.frankfurter-verlagsanstalt.de/fva.php?page&p=DE,23638>

**ბრიგლები 2017:** Briegleb T. „Diktaturschäden an Leib und Seele. *Nino Haratischwilis Hajrhundert-Roman „Das achte Leben“ als packende Zeitreise am Thalia-Theater Hamburg*“. *Süddeutsche Zeitung*, 12.04.2017.

**გაგნიძე 2017:** გაგნიძე ნ. *ნარკვევები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურიდან*. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 2017.

**რისდორფი 2012:** Reisdorf M. „Die Geschichte sollte geschrieben werden“. Heidelberg Literaturtage: Nino Haratischwili und Helon Habila lasen aus, Engel des Vergessens' und, Öl auf Wasser.“ *Rhein-Neckar-Zeitung*, 15.5.2012.

**ხარატიშვილი 2011:** Haratischwili N. „*Mein sanfter Zwilling*“. Frankfurt am Main: Frankfurter Verlagsanstalt 2011.

**ხარატიშვილი 2015:** ხარატიშვილი ნ. *ჩემი საყვარელი ორეული*. გერმანულიდან თარგმნა ნინო ზურდულმა. თბილისი: ინტელექტი 2015.

## **Nino Gagoshashvili**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Religious-ideological Trend of the „New Reality“**

Chaos in the political, social, economic and cultural spheres of the post-soviet period has greatly influenced the existing system of values. Attempts of finding the solution and maintaining of the balance of mind was followed by the process of seeking of the causes that have provoked such conflict between the accustomed and new realities. Hence, the worldview issues emphasized in the religious-ideological literature of the last decade of 20th century mostly (ecumenism, pan-ecumenism, globalization, Masonry, various movements of infernal character etc.) serve to explanation of the events that have followed the old system destruction and showed up in the new environment.

**Key words:** communism, globalization, divine providence.

## ნინო გაგომაშვილი

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### „ახალი რეალობის“ რელიგიურ-იდეოლოგიური ტენდენცია

პოსტსაბჭოთა პერიოდის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ სფეროში გაჩენილმა ქაოსმა უდიდესი გავლენა მოახდინა არსებულ ღირებულებათა სისტემაზე. გამოსავლის პოვნისა და სულიერი წონასწორობის შენარჩუნების მცდელობას მოჰყვა იმ მიზეზების ძიების პროცესიც, რომლებმაც ასეთი კონფლიქტი წარმოშვა ჩვეულ და ახალ რეალობას შორის.

არსებულ კონფლიქტს ნათლად ასახავს მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულის რელიგიურ-იდეოლოგიური ლიტერატურა. მასში წინწამოწეული არაერთი მსოფლმხედველობრივი საკითხი უმეტესწილად იმ მოვლენების ახსნას ემსახურება, რომლებიც ძველი სისტემის დანგრევას მოჰყვა და ახალ გარემოში იჩინა თავი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის ლიტერატურა საკმაოდ მრავალფეროვანია და იგი გასული საუკუნის 90-იან წლებში ინტენსიურად ქვეყნდება. თუმცა, მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო ლიტერატურა მასშტაბურად ცოტა მოგვიანებით, მე-20 საუკუნის ბოლო წლებში ჩნდება, რასაც ალბათ ისიც განაპირობებდა, რომ იმ პერიოდში საქართველოს ეკლესია განსაკუთრებით დიდი სიფრთხილით ეკიდება წმინდად საღვთისმეტყველო და დოგმატურ საკითხებს. ამის მიზეზი გახლდათ თითქმის 70 წლის განმავლობაში მიმდინარე იდეოლოგიური წნეხი ყოველგვარი რელიგიური გამოვლინების მიმართ, განსაკუთრებით ქრისტიანულის, რასაც მოჰყვა თეოლოგიური განათლების, კადრების, კომპენტენციის სიმწირე, საზოგადოების დაშორება ეკლესიური სწავლებებისგან და ა. შ. თუმცა ამ პირობებშიც კი საქართველოს საპატრიარქო ახერხებდა გამოცემა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, „საეკლესიო კალენარი“, 1990 წლიდან კი უკვე გამოდის გაზეთი „მადლი“, 1994 წლიდან ჟურნალი „სამეუფო გზა“, 1998 წლიდან არსდება ყოველკვირეული ოფიციალური გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 1999 წლიდან გამოდის ყოველთვიური

გაზეთი „თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია“ და სხვ. ითარგმნება და იწერება უამრავი საღვთისმეტყველო სტატია, წიგნი, ბროშურა, რომელთა საშუალებით ფაქტობრივად მიმდინარეობს ერის ხელახლა მოქცევა, ქრისტიანული ტრადიციის განმტკიცება, ჭეშმარიტი რწმენის ქადაგება, არსებული მოვლენების ქრისტიანული მსოფლმხედველობით გააზრება.

პარალელურად, ამ პერიოდში ასპარეზზე გამოდიან სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობისა თუ მიმდინარეობის წარმომადგენლები. მათი რიცხვი საკმაოდ შთამბეჭდავია: ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, კვაკერები, ხსნის არმია, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია, იეჰოვას მოწმეები, მუნისტები, ინდუისტები, თეოსოფიური და ანტროპოსოფიური დაჯგუფებები, – თავიანთი ლიტერატურით. ამას ერთვის განხეთქილებაში მყოფი ეკლესიები და დაჯგუფებები: ბოსტონის დაჯგუფება, ბერძნული სქიზმა, სტაროვერები, „სხვენის ეკლესია“, „გლდანის დევნილი ეპარქია“ („მკალავიშვილის ჯგუფი“) და სხვ., რომლებიც ავრცელებენ თავიანთ იდეოლოგიურ ლიტერატურას, მართავენ შეხვედრებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აკრავენ ანონიმურ პლაკატებს, არიგებენ მისიონერული ხასიათის ბუკლეტებს და ა. შ.

ამავდროულად, მეორე ათასწლეულის ბოლო პერიოდის როგორც პოსტსაბჭოთა, ისე ქართული ბეჭდური სივრცე სავსეა ისეთ იდეოლოგიურ მოძრაობებსა და კონცეფციებთან დაკავშირებული თემატიკით, რომელთა შესახებ მანამ ცოტა რამ იყო ცნობილი. ინფორმაცია, ძირითადად, მწვავედაა მოწოდებული და მისი რეალური გააზრება და გაცნობიერება ძალიან დიდ სირთულეს წარმოადგენდა ჯერ კიდევ იდეოლოგიურად და სულიერად მოუმზადებელი საზოგადოებისთვის.

მაგალითად, ძალიან ბევრს საუბრობენ ისეთ იდეოლოგიურ მოძრაობებზე, როგორებიცაა **ეკუმენიზმი** და **პანეკუმენიზმი**. ეს თემატიკა საქართველოში განსაკუთრებით აქტუალური მე-20 საუკუნის 90-იან წლებიდან გახდა. პერიოდულ პრესაში ხშირად შეხვედებით წერილებს ამ მოძრაობის დამლუპველი ზემოქმედების შესახებ ქრისტიანული სამყაროზე.

90-იანი წლების ქართულ პუბლიცისტურ ლიტერატურაში, რომელიც მოიცავს ამ საკითხებთან დაკავშირებულ არა მხოლოდ

ქართულ, არამედ თარგმნილ ლიტერატურასაც, **ეკუმენიზმი** განიხილება, როგორც რელიგიათშორისი მოძრაობა, რომლის მიზანია ქრისტიანობის სხვადასხვა კონფესიის გაერთიანება (მიუხედავად დოქტრინული განსხვავებისა), „მათი ხილული ერთობის წარმოსაჩენად“. ხოლო **პანეკუმენიზმი**, როგორც კულტურული უნივერსალია, რომლის სტრუქტურულად უნივერსალური ბუნება მიმართულია არა ეთნიკური კულტურებისკენ, არამედ მხოლოდ ცივილიზაციებისაკენ, ანუ მოიცვას დღევანდელი კულტურულად იდენტიფიცირებულ სამყაროს.

განსაკუთრებით მძიმე წერილები იბეჭდება **ქრისტიანული ეკუმენიზმის** წინააღმდეგ, რომელსაც 1910 წელს ედინბურგში გამართულ მსოფლიო მისიონერულ კონფერენციაზე ჩაეყარა საფუძველი და ითვალისწინებს ქრისტიანული კონფესიების გაერთიანებას, არაქრისტიანული რელიგიების ინტეგრაციულ პროცესებსა და ქრისტიანული ეკუმენური და არაქრისტიანული ორგანიზაციების შეთანხმებულ მოქმედებებს (ვლიანკოვტი 2002:).

თავისთავად, რამდენადაც ეს მოძრაობები უკავშირდება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს (ემს), რომელიც 1948 წელს შეიქმნა და ქრისტიანობაში ეკუმენისტური პროცესების კოორდინატორს წარმოადგენს, ამდენად, მათ ერთმანეთის გარეშე არც განიხილავდნენ.

**ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში** გაერთიანებულია პროტესტანტული, მართლმადიდებლური და სხვ. კონფესიების უმრავლესობა. მოძრაობაში წამყვანი როლი პროტესტანტულ ორგანიზაციებს უკავია. ემს-ის ეგიდით იმართება არაერთი დიალოგი, უკვე არსებობს მრავალი შეთანხმება და ეკუმენისტური იდეის კონკრეტული რეალიზაციის შემთხვევებიც, კერძოდ, შეიქმნა კომპანია წმინდა წერილის ერთობლივი თარგმანისა, ეწყობა ერთობლივი ლოცვის კვირეულები ქრისტიანობის ერთობისათვის და სხვ.

ეკუმენიზმის მოწინააღმდეგენი აცხადებდნენ, რომ მოციქულთა 45-ე კანონის თანახმად, ერეტიკოსებთან, არამართლმადიდებლებთან რაიმე სამღვდლო წესის აღსრულება, ლოცვა დაუშვებელია. ამგვარ ერთობლივ ლოცვებსა და ეკუმენისტურ მოძრაობაში ჩართვა ფაქტობრივად ბოროტთან ზიარებას გულისხმობს (მკალავიშვილი 1999: 17).

ეკუმენისტური საბჭოსა და ზოგადად ამ მოძრაობის შესახებ გაზეთი „ლაზარეს აღდგინება“ წერდა: „თავისი გარეგანი სტრუქ-

ტურით ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ძლიერ წააგავს ერთა ლიგას, ან ახლანდელ გაეროს („გაერთიანებული ერების ორგანიზაცია“) თავისი გენერალური მდივანითურთ. თავს ვიკავებთ რა ჟამთა და ვადების მითითებისგან, რომელიც სრულიად ღვთის ხელშია, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ანტიქრისტე თავმჯდომარეობას გასწევს ამ ორთავ ორგანიზაციაში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თამამად შეიძლება მტკიცება, რომ ეკუმენიზმი არის მშენებლობა ეშმაკის ტაძრისა, რომელშიც იმღვდელთმთავრებს ანტიქრისტე; ხოლო მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაცია არის მშენებლობა მთელ დედამიწაზე განფენილი სატანური სახელმწიფოსი, რომლის მონარქიც ანტიქრისტე იქნება“ (გაბაშვილი 2001: 330).

ეკუმენიზმთან და ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსთან პირდაპირ კავშირში განიხილება ორი რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობა **რელიგიათაშორისი და ქრისტიანთაშორისი სინკრეტიზმი**.

თანამედროვე რელიგიათაშორისი სინკრეტიზმის სულიერ დედას წარმოადგენს თეოსოფიური ორგანიზაცია, რომელიც 1875 წელს რუსმა ბლავატსკაიამ ნიუ-იორკში დააფუძნა. ამ ორგანიზაციის დოგმატის მიხედვით, არც ერთი რელიგია სრულად არ ფლობს ჭეშმარიტებას და მხოლოდ მის ნაწილებს შეიცავს. ამიტომ ჭეშმარიტების გამთლიანებისა და სრულყოფისათვის თითოეული რელიგიიდან უნდა აიღონ ჭეშმარიტების ნაწილი და ყველაზე თანაბრად გადაანაწილონ, რათა „ერთმანეთი გავამდიდროთ“ (ვლიანკოფტი 2002:).

რელიგიათაშორისი სინკრეტიზმის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა რელიგია თანაბრად კანონიერია, არ არსებობს უფრო ჭეშმარიტი, უკეთესი და უპირატესი რელიგიური აღმსარებლობა, რადგან ისინი, უბრალოდ, განსხვავებულ ისტორიულ გარემოსა და საზოგადოებრივ ტრადიციაზე აღმოცენდნენ<sup>1</sup>.

რაც შეეხება **ქრისტიანთაშორისი სინკრეტიზმის** არსს, მას კარგად გამოხატავს მართლმადიდებლებსა და პაპისტებს შორის ქ. ბალამანდში (ლიბანი) 1993 წელს დადებული შეთანხმება, რომლითაც აღიარებულია, რომ მართლმადიდებლურ და კათოლიკურ დოგმატებს შორის არ არის რაიმე არსებითი განსხვავება, შემუშავდა „და-ეკლესიების“ თეორია, რომლის მიხედვითაც ისინი სრულ ერთობაში უნდა იყვნენ ღვთის ერთადერთი ეკლესიის დასაცავად.

მართლმადიდებელთა „და-ეკლესიებად“ განიხილებიან ასევე პროტესტანტული განშტოებები და ანგლიკანები. დოგმატური განსხვავებების შესუსტებისა და რელიგიური სინკრეტიზმის დაიხვეწის ერთ-ერთ განსაკუთრებულ გამოვლინებად ითვლება მართლმადიდებლებისა და ანტიქალკედონელების დიალოგი და მათ მიერ შექმნილი შერეული კომისიის დასკვნები, რომლის მიხედვითაც ანტიქალკედონელები „ითიქოს ყოველთვის ზედმიწევნით ინახავდნენ მართლმადიდებლურ – ქრისტიანულ სარწმუნოებას და უწყვეტად აგრძელებენ მოციქულებრივ ტრადიციას“ (ვლიანკოფტი 2002: 12), რაც არაერთი ქალკედონური ეკლესიისათვის მიუღებელია.

ყოველივე ეს ანტიეკუმენისტური მართლმადიდებლური ეკლესიების მიერ მიიჩნეოდა მართლმადიდებლური ტრადიციისათვის სრულიად უცხო, მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის რღვევად, ეკლესიის დიდ მამათა და მსოფლიო მოძღვართა ქრისტოლოგიის სრულ წინააღმდეგობად.

ქართულ რეალობაში მდგომარეობას ამწვავებდა ისიც, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ეკუმენისტურ მოძრაობას 1962 წელს შეუერთდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია II-ეს 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში ამ ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტის თანამდებობაც ეკავა. 90-იან წლებში განსაკუთრებით გააქტიურებული სექტებისა და უცხო რელიგიების გამოჩენამ, „რომლებიც იბირებენ ხალხს წარსაწყმედელისკენ მიაქანებენ, და სულიერად ღუპავენ ათასობით ადამიანს“ (გაბაშვილი 2001:17), კიდევ უფრო გაამძაფრა ყოველგვარი შემრიგებლური დამოკიდებულება ნებისმიერი არამართლმადიდებლური გამოვლინების მიმართ. საქართველოს ქრისტიანულ მონარქისტული ერთობის მიერ გამოცემულ გაზეთში „ივერიის გაბრწყინება“ დაიწერა წერილი, რომელშიც პატრიარქს ამხელდნენ ეკუმენისტებთან კავშირში და აღნიშნავდნენ, რომ ერთი პერიოდი „ახალგაზრდა პატრიარქი ნამდვილად დათვრა ეკლესიათა საბჭოსეული ამასოფლიური დიდებით და განშიშვლდა საეკლესიო სამართლის წინაშე“. თუმცა იქვე მითითებულია, რომ „1997 წლის 7 (20) მაისის ისტორიულმა სინოდალურმა დადგენილებამ (საპატრიარქოს გამოსვლა ეკუმენისტური ორგანიზაციიდან) ... და 1998 წლის 2



სექტემბრის (8 ოქტომბრის – ახ. სტილით) სინოდალური კრების განჩინებამ (ეკუმენიზმის ეგიდით მიღებული შეთანხმებების გამიჯვნამ), პატრიარქის „მტრის ხატი“ დაამსხრა და იგი გახდა „ვითარცა აპოკალიპსური ჟამის მოღვაწე და ანტიქრისტეს რელიგიის – ეკუმენიზმის – საქართველოს ეკლესიაში აღმომფხვრელი“ (გაბაშვილი 2001: 27).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველივე ეს მიმდინარეობს იმ ფონზე, როდესაც თითქმის ყველაფერი მოშლილია ქვეყანაში, როდესაც მართლმადიდებელი მრევლის უმეტესობა კატეხეტურ მდგომარეობაშია, იწერება წერილები ინტეგრაციაზე, ეკუმენიზმზე, მასონიზმზე სხვადასხვა ინფერნალური (ქრომანტია, ნეკრომანტია, სპირიტიზმი, ჯადოქრობა, ალქიმია და მსგავსნი) ხასიათის მიმდინარეობებზე, ქვეყნდება ინფორმაციები სათაურებით: „ოკულტიზმი პენტაგონში“, „ნეოწარმართობა აშშ-ს სკოლებში“, „ანტიქრისტეს გვარდია სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია“ (ისრაელი და ბითვული იარაღი), „დემონები სამხედროებს ბაძავენ?“ (რომლებიც რაღაც აპარატებს უწერავენ ცხვირში ადამიანებს, ჯარისკაცებს, პატიმრებს, ცხოველებს), „სატანისტები რფ-ის უმაღლეს ხელისუფლებაში“ და ა. შ.

მიმდინარეობს ქართველი სქიზმატების (აქსენტიანური სქიზმა, ძველმესტილენი, ქრიზოსთომოს 1-ის დაჯგუფება, რომლის ფესვზე აღმოცენდა ე.წ. „აქსენტის სინოდი“ – ქართველ ბოსტონელთა დედა ეკლესია) მხილება. 1998 წელს გაზეთ „ივერიის გაბრწყინებასა“ და სტაროვერების (რელიგიური დაჯგუფება, რომესაც მურთაზ ჩახავა ხელმძღვანელობდა) გაზეთ „მართლმადიდებელს“ შორის იმართება დისპუტები დასახმითი ნათლობის არაკანონიკურობის, უნათლავად აღსრულებული ყრმების საიქიო ხვედრის, „ზილოტი“ ანდრია ბოროდასეული ეკლესიოლოგიის ერეტიკულობის შესახებ 90-იანი წლებიდან, ინტენსიურად მიმდინარეობს საუბარი მონარქიის აღდგენაზე საქართველოში, როგორც სახელმწიფოებრიობის უძველეს და უზუნებრივეს ფორმაზე, რომ ქრისტიანმა „სამეფოს იდეა უნდა მიიღოს, ვითარცა ქრისტეს წმინდა მსოფლიო უცდომელი მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება... რომ საქართველოს ამჟამინდელ დაქსაქსულსა და ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულ მოსახლეობას. მხოლოდ

მეფე „აფხაზთა და ქართველთა და სხვათა და სხვათა შეაერთებს“ (გაბაშვილი 2001: 24), და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მიმდინარეობების იდეოლოგიათა მთავარი არსი და მიზანი, ამასთან, ქართულ პერიოდულ ლიტერატურაში წინწამოწეული საკითხები, უმეტესწილად განხილულია კაცობრიობისა და ღმერთის ურთიერთმომართებაში არსებული კანონზომიერების დარღვევისა და პროვიდენციალური ხედვის ფონზე, რომელიც ისტორიული მოვლენებსა და ფაქტებს უფლის განგების ძალით ხსნის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ქვეყნის მმართველთა და, მათთან ერთად, თავად ერის ღვთისგან განდგომასა და ბოროტებისკენ გადახრაზე, რაც სათანადოდ ისჯება უზუნაესის მიერ (ქრისტიანულ ლიტერატურაში და ქართულ ისტორიოგრაფიაში ამის მაგალითები მრავლად გვხვდება. ქართველი ისტორიკოსების პროვიდენციალური მრწამსი გამოიხატება ფრაზებით: „დავივიწყეთ ღმერთი და ღმერთმანცა სამართლად დაგვივიწყნა“; „დავივიწყეთ მამულისა ჩვეულებისამებრ სვლაი“ (იოანე საბანისძე); „ქამთააღმწერელის თქმით, ლაშა-გიორგის დროს ქართველები მოღოლებთან ბრძოლაში დამარცხდნენ “ცოდვათა ჩვენთა ურიცხვთა გამო“ გამოწვეული ღვთის რისხვის შედეგად“ (თვარაძე 1982:14) და ა.შ.

მე-20 საუკუნის დასასრულის მიმდებარე კატაკლიზმები თავისთავად აჩენდა არსებული ისტორიული მოვლენების პროვიდენციალურ ჭრილში დანახვის სურვილს და ამდაფრებდა უიმედობას. ბუნებრივია, ურწმუნო თუ რელიგიურად ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის უცხო იყო ღვთის მიერ მოვლენილი სასჯელის არსი, რომელიც თავისთავად მოიცავს საკუთარი ცოდვების გააზრებას, სინანულით გაწმენდას, სიცოცხლისკენ ახალი ძალით მობრუნებას.

თავის მხრივ, კაცობრიობის ცხოვრების პროვიდენციალურ ჭრილში წარმოჩენა ბუნებრივად დაუკავშირდა რელიგიურ სისტემათა განუყოფელ თემატიკას – ესქატოლოგიას, ჩვენს შემთხვევაში – მართლმადიდებლურს, რომლის უმთავრესი სწავლება ახალაღთქმისეულ წიგნს – „იოანეს გამოცხადებას“, იმავე „აპოკალიფსს“ ეყრდნობა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ საიდუმლოებით მოცული წიგნის განმარტებას თვით ეკლესის მამებიც ერიდებოდნენ, იგი ღვთისმსახურებისას ახალი აღთქმის საკითხავი წიგნებიდანაც ამოიღეს (მსმენელთა ფანტაზიას ცდომილება რომ არ გამოეწვია) და პირველი პერიოდის ქრისტიანულ ეკლესიაში არც კი იკითხებოდა, ამა თუ იმ საბედისწერო მოვლენას მასთან ყოველთვის სხვადასხვა ინტერპრეტაციით აკავშირებდნენ. იგივე პროცესებია მოცემულ რეალობაშიც, რომლის სიმძიმე ნამდვილად ქმნიდა აპოკალიფსურ სურათებს.

„აპოკალიფსის“ ღვთაებრიობამ და ზოგიერთი საკითხის გაუგებრობამ მისი გამითოლოგიზება გამოიწვია, ეს ხდებოდა ყოველთვის, მაგრამ განსაკუთრებით გამძაფრდა ჩვენს ეპოქაში. „ბოლო ჟამთან“ დაკავშირებული ინტერპრეტაციები სერიოზული ზიანის მომტანი გახდა საზოგადოების სულიერი ჩამოყალიბების პროცესისთვის. მით უფრო, რომ ადამიანები, რომლებიც ამ საკითხზე საუბრობდნენ, სრული დამაჯერებლობით აცხადებდნენ, რომ ამომრჩეველთა მარკირება, ელექტრონული პირადობის მოწმობები და სხვ. ანტიქრისტეს ბეჭედი იყო, ადამიანებზე დასმული. თუმცა, იოანეს გამოცხადებაში ცხადადაა ნათქვამი, რომ „მეორედ მოსვლამდე ანტიქრისტე და მისი მიმდევრები ჯერ აცდუნებდნენ ადამიანებს და მხოლოდ ამის შემდეგ დაბეჭდავენ მათ. დღევანდელი განმმარტებლები (ე. წ.) კი (შტრიხკოდების, პლასტიკური ბარათების და პასპორტების მოწინააღმდეგენი) სხვანაირად ფიქრობენ: ადამიანები პირველად მიიღებენ ანტიქრისტეს ბეჭედს და ამის მერე ცდუნდებიან“ (მექოშვილი 2014:). მსგავსი ნიმუშები მრავლადაა როგორც ამ პერიოდის, ასევე თანამედროვე „ეგზეგეტიკაში“.

ამდენად, ყველა ეს რელიგიური თუ იდეოლოგიური საკითხი, თავისი ისტორიით, სწავლებებითა თუ ლიტერატურით, ქართულ სივრცეში შემოდიოდა ერთბაშად და ხშირად ავტორისეული ინტერპრეტაციებით, რაც რეალურ სურათს კიდევ უფრო ართულებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამგვარმა ტენდენციამ მრავალფეროვნება შეიტანა ლიტერატურასა და ხელოვნებაში (ზოგადად, ისეთი კრიზისული პერიოდები, როგორიც ამ პერიოდში ქართულ ყოფაში არსებობდა, წინ წამოსწევს აპოკალიპტიკას, როგორც ფანტას-

ტიკის ჟანრს, პოსტაპოკალიპტიკას, როგორც ქვეჟანრს, დისტოპიურ ლიტერატურას და ა. შ.), იქმნება ქრისტიანული საღვთისმეტყველო ნაშრომები, აღდგა ძველი, ტრადიციული საგალობლები, იქმნება ხატწერის ახალი ნიმუშები და ა. შ., მაგრამ კიდევ უფრო მძაფრდება საზოგადო სკეპტიციზი და შიში მომავლის მიმართ.

### **შენიშვნა:**

1. ამ იდეის განხორციელების მიზნით კათოლიკური ეკლესიის ინიციატივითა და მართლმადიდებელთა მონაწილეობით ტარდება ყოველწლიური ფორუმები – „რელიგიათა შეხვედრები მსოფლიოში მშვიდობისათვის“. ზოგადად, სინკრეტიზმის არსს კარგად გამოხატავს ინდოელი გურუს ვივეკანანდას სიტყვები: „იქნებ იმას ვესწრაფვი, რომ ქრისტიანები ინდუისტები გახდნენ? ღმერთმა ნუ ქნას! იქნებ იმას ვესწრაფვი, რომ ინდუისტები ან ბუდისტები გახდნენ ქრისტიანები? ღმერთმა ნუ ქნას!... არც ქრისტიანები უნდა გახდნენ ინდუისტები და ბუდისტები და არც ესინი ქრისტიანები; ყოველმა რელიგიამ უნდა შეითვისოს სხვა რელიგიათა სული და საკუთარი თვითყოფადობისა და კანონების შესაბამისად განვითარდეს...“ ( ვლიანკოფტი 2002: 16).

### **დამოწმებანი:**

**გაბაშვილი 2001:** გაბაშვილი გ. „ჰე, მოხვიდოდე, უფალო იესო!“ *საღვთისმეტყველო შრომები*. თბილისი: გამომცემლობა ივერიის გაბრწყინება“, 2001.

**ვლიანკოფტი 2002:** ვლიანკოფტი ა. *მართლმადიდებელი მონაზვნობა და რელიგიური სინკრეტიზმი*. ჟურნალი „Παρακαταθήκη“, 26, 2002. მის.: <http://martlmadidebloba.ge/sacdurebi17.html>

**თვარაძე 1982:** თვარაძე რ. *ქართული პროზა*. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982.

**მკალავიშვილი 1999:** მკალავიშვილი ბ. *„ვამხელთ ეკუმენისტებს, როგორც ერესთა ერესს“*. თბილისი: გამომცემლობა შ.პ. ს. „კაბადონი“, 1999.

**მექოშვილი 2014:** მექოშვილი ლ. *„რატომ არ კითხულობენ ეკლესიაში „აპოკალიფსს“? [ელვერსია] (წმინდა პავლე მოციქულის სახელობის მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების ცენტრი, 2014. განთავსებულია 24 თებერვლიდან, 2014); მის.: <http://www.orthodoxtheology.ge/aboutbookofapocalypse/>*

**Manana Kvataia**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **On the Relationship of Existential Vectors of the Literary and Political Fields of the “Happy Martyr”**

According to Bismarck’s famous saying “politics is not a science, but an art”. Hence, it is closely related with all spheres of the man’s spiritual life, including literature. Georgian classic Otar Chiladze considers that a mission of the writer, and in general, the creator, is “compassion, encouragement of a man who has fallen into the labyrinth of life”. When discussing the aspects of Georgia’s political field in the 1980s and 1990s, Otar Chiladze singles out new mainstream vectors of the country and points out that a national movement cannot be brutal and any cruelty towards it makes it even more inevitable. Considering the global issues, Otar Chiladze notes that the salvation for modern humanity facing great challenges is rooted in a word “love” as a step towards loving your neighbors.

**Key words:** Literary and political fields, mission of the writer, “Happy martyr”.

**მანანა კვატაია**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **„ბედნიერი ტანჯულის“ ლიტერატურულ და პოლიტიკურ ველთა ექსისტენციური ვექტორების მიმართებისათვის**

ლიტერატურული ტექსტების თანამედროვე კვლევები სხვა ინტერდისციპლინური მონაცემების გამოყენებასთან ერთად აქტიურად ითვალისწინებს სოციალურ მეცნიერებათა, მათ შორის, პიერ ბურდიეს სოციალური ანალიზის (კერძოდ, ველის თეორიის) პოსტულატებს. ფრანგი სოციოლოგი განმარტავს, რომ ველი არის ძალთა ურთიერთობა და ბრძოლის სივრცე, ველთაგან სხვაზე მეტი მნიშვნელობა ძალაუფლების (პოლიტიკის) ველს აქვს.

ბურდიეს დეფინიციით, სოციალური რეალობა „სოციალურ სივრცეს“ წარმოადგენს, რომელსაც ახასიათებს ორმაგობა: ერთსა და იმავე დროს როგორც „წმინდა“ სოციალური, ისე ფიზიკური პლანის არსებობა. ამის გამოხატულება სოციალური სივრცის პოზიციებსა და დისპოზიციებს შორის არსებული განსხვავებაა: პოზიცია ასახავს სინამდვილის რეალურ ადგილს, დისპოზიცია – მის წარმოდგენას თავისი მდგომარეობის შესახებ, ასევე, მოქმედების, აზროვნებისა და შეფასების სქემებს. პოზიციათა ერთობლიობა წარმოადგენს სოციალური სივრცის ობიექტურ ჭრილს, დისპოზიცია – მის სუბიექტურ მხარეს. სოციალური ველი – ეს ლოგიკურად გააზრებული სტრუქტურაა, თავისებური გარემო, რომელშიც სოციალური ურთიერთობები და მიმართებები ხორციელდება.

სოციუმის (სოციალური სივრცის) ორმაგობის გადალახვის საშუალებად ბურდიე მიიჩნევს Habitus-ს (ლათ. – თვისება, მდგომარეობა, ვითარება). თავის მხრივ, სპეციალურ ლიტერატურაში ამ ცნებას განიხილავენ, როგორც „მენტალურ ან კოგნიტურ სტრუქტურებს“, რომელთა საშუალებით ადამიანები სოციალურ სინამდვილეში ორიენტირებენ და მომავალს პროგნოზირებენ. ფრანგი სოციოლოგის თქმით, „ჰაბიტუსი არის ტრანსცენდენტური, მაგრამ ისტორიულად ტრანსცენდენტური, რომელიც მჭიდრო კავშირშია ველის სტრუქტურასთან და ისტორიასთან“.

ნებისმიერი ველის ანალიზისათვის ბურდიე გვთავაზობს სამსაფეხურიან პროცესს: პირველ ეტაპზე ფიქსირდება ძალაუფლების ველის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა და ანალიტიკოსი თვალს ადევნებს ნებისმიერი ველის მიმართებას პოლიტიკურ ველთან. მეორე ეტაპზე დგინდება ველის ჩარჩოები, მესამეზე კი ანალიტიკოსი განსხვავებული პოზიციების მქონე აგენტების ხასიათში გარკვევას უნდა შეეცადოს.

ლიტერატურათმცოდნეობაში ველის თეორიის პოსტულატებისა და ტერმინოლოგიის გამოყენება, ვფიქრობთ, განსაკუთრებით ეფექტურია პუბლიცისტური ნარატივის კვლევისას, რადგან ეს ის სივრცეა, სადაც პოლიტიკურ, სოციალურ, ლიტერატურულ თუ სხვა ველთა ვექტორები ერთმანეთს გადაკვეთს და ფარავს.

პუბლიცისტურ ტექსტებს თანამედროვეობის მატიანეს უწოდებენ, სადაც ავტორის ინდივიდუალობა აღიბეჭდება. ახალი დროის პუბლიცისტიკა პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავს

და თანამედროვე საზოგადოების ორიენტირების, იდეების თუ განწყობილებებთან ცვლილებებს ასახავს. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, პუბლიცისტურ სტილს სოციალურ სტილსაც უწოდებენ. მის დისკურსში ერთმანეთს ერწყმის ენის ორი ფუნქცია: ინფორმირების და ზეგავლენისა. ეს უკანასკნელი კი პუბლიცისტური სტილის ექსპრესიულობას განსაზღვრავს. მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულების საქართველოს რეალობაში მიმდინარე წინააღმდეგობრივი პროცესების სიღრმისეული კვლევითა და გამოხატვის ექსპრესიულობით გამოირჩევა ოთარ ჭილაძის პუბლიცისტური და ესეისტური ნარატივი – ერთგვარი ორიენტირი ქვეყნის წარსულის, აწმყოს თუ მომავლის გააზრებისათვის.

ზაალ ანდრონიკაშვილი წერილში „ინტელექტუალები და ინტელიგენცია“ პიერ ბურდიეს „ხელოვნების ველის“ კონცეფციაზე დაყრდნობით შემოქმედთა ორ კატეგორიაზე მსჯელობს: ერთ პოლუსზე ავტონომიური ხელოვანნი დგანან, რომლებიც ამ დარგის კანონებს მხოლოდ ხელოვნების კარნახით ქმნიან, ხოლო მეორეზე – ჰეტერონომიურები, ე.ი. ისინი, რომელთა „ნომოსს“ პოლიტიკური ძალაუფლება განსაზღვრავს („სახელისუფლებო ინტელექტუალები“). ეს უკანასკნელნი ჭარბად სარგებლობენ პრივილეგიებით თუ სახელმწიფო რესურსებით, ავტონომიურად მოაზროვნთ კი სიმბოლური კაპიტალი აქვთ, რომელიც სწორედ მათი დამოუკიდებლობიდან მომდინარეობს (ანდრონიკაშვილი.. ინტერნეტი). აზროვნების სტილითა და გამოხატვის უკომპრომისობით ოთარ ჭილაძე ავტონომიურ, თვითმყოფად შემოქმედთა საპატიო რიგებში დგას.

ბისმარკის ცნობილი დეფინიციით, პოლიტიკა არ არის მეცნიერება, ის ხელოვნებაა. შესაბამისად, იგი მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის სულიერი ცხოვრების ამსახველ ყველა სფეროს, მათ შორის, ლიტერატურას. ოთარ ჭილაძის მოსაზრებით, მწერლობის, თუ ზოგადად, შემოქმედთა, დანიშნულება გაცილებით მასშტაბურია: ეს გახლავთ „თანაგრძნობა, გამხნეება ცხოვრების ლაბირინთში მოხვედრილი ადამიანისა“. ამავე დროს, ტექნიკის განვითარებისა და მასობრივი კულტურის საზღვრების გაფართოების პირობებში მწერალი განსაკუთრებულად ხაზს უსვამს მშობლიური ენის, ფსიქიკისა და ტრადიციის როლს. ამ ფუნდამენტურ ცნებებს ოთარ ჭილაძე „წმინდა სამებას“ უწოდებს, რომლის მეშვეობითაც ყოველი

პიროვნების საფუძველთა საფუძველი ყალიბდება. მწერლის ოპტიმისტური დასკვნით, ყველაფრის მიუხედავად, კაცობრიობა უკვდავებისთვისაა „განწირული“, ხოლო ამ უკვდავების საიდუმლო ადამიანის სულში იმალება.

მხოლოდ საყვარელი გოგოს ტრაგიკული და ფატალური (ისიც ბიჭის მამასავით ავტოვარიის მსხვერპლია) აღსასრული გამოაფხილებს მას, თვალებს აუხელს, მოყვასის სიყვარულით და შეცოდებით აუვსებს გულს და საკუთარ დანაშაულსაც აღიარებინებს. ეს ღვთიური სასჯელია რწმენადაკარგულთათვის, მათთვის, ვინც ღმერთი ეჭვის ჭიაზე გაცვალა“ (ავალიანი 2005: 102).

საგულისხმოა, რომ კოტე ჯანდიერმა მხატვრულ სამყაროში ერთ-ერთმა პირველმა წარმოაჩინა ეს ტრაგიკული ისტორია. „ჩვენს ირგვლივ კი რაღაც ხდებოდა... უჩვეულო ფუსფუსი მაგიდებთან, შემფოთებული სახეები, ფრაზების ნაგლეჯები... „გზები გადაკეტილია... აეროპორტიდან მიცვალეზულები მანქანებით მოყავთ... ფონიჭალაშიც ისვრიან“... „სისულელეა... რა შუაშია ფონიჭალა?... გარედან ცხრილავენ თვითმფრინავს“... (ჯანდიერი 2009: 157).

როგორც ცნობილია, ამ მოვლენამ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრი რამ შეცვალა და თავისუფლების წყურვილი უფრო გააღვივა. დაბადებს დღეზე შეკრებილ მეგობრებს ბაბა ეუბნება: „ახლა ისინი თვალეზში უყურებენ სიკვდილს და სიკვდილთან ერთად იმ ადამიანებსაც, რომლებიც შეეწირენ მათ ბავშვურ „ომობანას“. ღმერთი იყოს მათი მსაჯული, რადგან ამქვეყნად არ მეგულება მოსამართლე, რომელსაც შეეძლოს სწორი მსჯავრის დადება. ანკი, როგორ შეძლება ამას, როდესაც ბრალდებულები, ისევე როგორც მათი მშობლები, თვითონ არიან მათი მსვერპლნი ჩვენში დაკანონებული კაცთმოძულებობისა და ტერორისა“ (ჯანდიერი 2009: 165). ამ მოვლენის მიმართ ადამიანთა დამოკიდებულება სხვადასხვგვარი იყო. საბჭოური იდეოლოგიური მანქანა ზომბიერბულ საზოგადოებას იოლად აჯერებდა თვითმფრინავის გამტაცებელთა ტერორისტობასა და მოლაღატეობაში. საზოგადოების ერთი ნაწილის აზრს გამოხატავს ნინცოს მამის, თამაზის, სიტყვები (ჯალიაშვილი 2012: 27): „ეგ გარეწრები და ერის მოლაღატეები კედელთან უნდა მიაყრდნო და ცოფიანი ძაღლებივით მიახვრიტო... არა, კი არ უნდა დახვრიტო,

ნელი სიკვდილით უნდა მოკლა, უნდა იგრძნოს, როგორ შესდის მუცელში გახურებული შამფური, რომ მერე სხვამ აღარ გაბედოს!“ (ჯანდიერი 2009: 167). ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი დასწვდა წითელი ღვინით სავსე ჭიქას და შეასხა ნინცოს მამას, ბატონ თამაზს, სახეში. ეს იყო ბუნებრივი რეაქცია. ყველაფერი ეს პროვინციული თეატრის სპექტაკლს ჰგავდა. გაუთავებელი, მრავლისმეტყველი პაუზებით.

„კოტე ჯანდიერი გადმოსცემს იმათ ცხოვრებას, ვინც გულით უყვარს და ვისაც უდიდესი ტკივილითა და თანაგრძნობით ხატავს; ეს მისი თაობაა, მისი სისხლი და ხორცი, „უდროობის დროის“, იდეალიზმისა და რომანტიზმის მსხვერვეს, საყოველთაო უნდობლობის, ურწმუნოებისა და გაცრუებული იმედების ყამის ნაყოფი. ეს არის დრო, როცა თითქოსდა მოჯადოებულ, დახშულ სივრცეში, ახალგაზრდობის ცხოვრება წრებრუნვას ჩამოჰკავს; ეს არის დრო, როცა ჩვეულებრივი გოგო-ბიჭები, უკუღმართ ვითარებასა და ურთიერთგაუცხოების გარემოში მოხვედრილი, აწმყოსა და მომავალში რაიმე ნათელ ნიშანსვეტს ვერ ხედავენ; უნიჭონი ან ხელმოცარულნი სულაც არ არიან, მაგრამ რისი გაკეთებაც შეუძლიათ, იმასაც ვერ აკეთებენ, ვისი სიყვარულიც ძალუმთ, იმის შეყვარებასაც გაურბიან“ (ავალიანი 2005: 100).

არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ამ მოთხრობაში ავტორი ან თავის თაობას აიდვალავს და ეპოქის სისასტიკისა და კომუნისტური დიქტატურის გამო ამართლებს მთავარი გმირის ინფანტილურ, უმიზნო ყოფას ან თვითმფრინავის გამტაცებელთა დანაშაულს, თუმცა კი მოთხრობას თითქოს ერთგვარ ფონად გასდევს დიდი ქართველი მხატვრის ირაკლი თოიძის სიტყვები: „ვისი ბრალია?“ მოხუცებული მხატვარი, ცხადია, გულისხმობდა, რომ მხოლოდ თვითმფრინავის გამტაცებლები არ უნდა ყოფილიყვნენ პასუხისმგებელნი – საზოგადოება (ან მისი ნაწილი მაინც) აშკარად აკისრებდა ამ პასუხისმგებლობას კომუნისტურ პარტიას და მის გულმხურვე აპოლოგეტს – ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს.

წლების შემდეგ ვიქტორ დომუხოვსკისთვის მიცემულ ინტერვიუში ედუარდ შევარდნაძე ყველაფერს უარყოფდა. ამონარიდი ამ პუბლიკაციიდან: „... (გალიზიანებული): „ჩემი ბრალი არაფერი არ არის, მე ვერაფერს ვერ დამიმტკიცებთ, მოვალე არა ვარ გიპასუ-

ხოთ, ბოროტმოქმედი ხომ არა ვარ. თქვენ ჩემი დაკითხვის უფლება არა გაქვთ“.

ეს ფრაზა შემდეგ რამდენჯერმე გაიმეორა, მოვალე არა ვარ გიპასუხოთო, ეს მხოლოდ კეთილი ნება გამოვიჩინეო. მე ვუპასუხე, რომ ეს პარლამენტის კომისიაა და მოვალეა მიპასუხოს, რაზეც შევარდნაძემ მითხრა: „თქვენი პარლამენტი და პრეზიდენტი მგონი ძალზე მოცლილები არიან, რომ ამ საქმეს იძიებენ“.

განვუცხადე, რომ უფლება არა აქვს შეურაცხყოფა მიაყენოს პარლამენტსა და პრეზიდენტს. თვითონ იციან-მეთქი, რაზე იმუშაონ და რა გამოიძიონ.

**შევარდნაძე:** „მაშინ სხვა დრო იყო, ახლა ჩემთან ახალგაზრდები მოდიან, მეწარმეები, წინათ კი ასეთებს ვიჭერდით, მაშინ ასე იყო, მე თვითონ ბევრი რამ გავაკეთე იმისთვის, რომ ეს სისტემა შევცლილიყო, მე კი ყველანი მლანძღავდნენ, განსაკუთრებით თქვენი პრეზიდენტი, მტრად, დამნაშავედ მთვლიან. აი, ჩამოვალ საქართველოში და ყველაფერს აგისხნით.“

შევარდნაძე მართლაც ჩამოვიდა საქართველოში, მაგრამ „ყველაფერს აგისხნით“ ცარიელ სიტყვებად დარჩა, სამაგიეროდ ცეკას ყოფილმა გენერალურმა მდივანმა არ აპატია დომუხოვსკის „თვითმფრინავის ბიჭების“ დაცვა და მისი დადანაშაულება: ედუარდ შევარდნაძე საქართველოში ჩამოვიდა 1992 წლის 7 მარტს, ვიქტორ დომუხოვსკის დასაკავებლად 9 მარტს მილიცია შევიდა ოჯახში. პარლამენტის საგამომიებო კომისიის თავჯდომარე უკვე ბაქოში იყო გამგზავრებული. შევარდნაძე ითხოვდა აზერბაიჯანის მთავრობისგან ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავებას, მოგვიანებით მასთან „მხედრიონის“ წევრები ჩავიდნენ და დომუხოვსკი 1993 წლის 6 აპრილს ბაქოდან „მოიტაცეს“. ვიქტორ დომუხოვსკიმ პატიმრობაში 5 წელი და 7 თვე გაატარა.

კოტე ჯანდიერის მოთხოვნის მთავარ გმირი მთელი თაობაა, რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას ასეთი რამეც: მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლების საბჭოეთის თაობის ტკივილებს კარგად წარმოაჩენს სწრაფვა უცხოსაკენ. იქნებ სწორედ ამას უკავშირდებოდეს ტექსტში გრიგოლ რობაქიძის ხსენება ირაკლი თოიძის მიერ. ამ თაობისათვის რობაქიძე ის მწერალია, რომელმაც თავი დააღწია ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხებს. აღსანიშნავია, რომ ამ დროს გრიგოლ რობაქიძის ხსენება ჯერ კიდევ იკრძალებოდა და

ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული მისი წიგნების წაკითხვა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ ფარული პროტესტის გამოხატულება იყო.(ჯალიაშვილი 2012: 26) ირაკლი თოიძე უყვება „ჩაის სახლში“ მის მაგიდასთან მსხდომ ახალგაზრდებს: „გრიგოლ რობაქიძეს მოვესწარი, ყმაწვილებო. საოცარი თვალები ჰქონდა, ცეცხლოვანი. დღეში რამდენიმე საათს ბნელ ოთახში ატარებდა ხოლმე. თურმე ამ დროს გუგები ფართოვდება და თვალი განსაკუთრებულ ელვარებას იძენს“ (ჯანდიერი 2009: 145).

და მაინც, როგორი პოლიტიკური ჟღერადობაც არ უნდა ჰქონდეს ამ მოთხრობას, მისი მთავარი სათქმელი მაინც სულიერი კრიზისია, რადგან მხოლოდ საყვარელი გოგოს უცნაური დაღუპვა დაანახვებს გმირს, რომ სიცოცხლის შიში, სიყვარულის შიში და „დროის მოკვლა“ ეგოისტური უგუნურობაა: „მე ვწევარ ლოგინში. თვალები ღია მაქვს, ჩემი ტვინი კი დაკავებულია უცნაური, უაზრო გამოცანით: „ისევ ვწევარ თუ უკვე ვწევარ?“ საათი ექვსს აჩვენებს. განთიადია თუ მიმწუხრი, ვერ გაიგებ – ყველაფერი ერთთავად ცივ, ნაცრისფერ შუქშია გახვეული. პერიოდულად ჩამესმის გაუგებარი, მონოტონური ბგერა: რაღაც შრიალისა და ფხაჭუნის მსგავსი...“ (ჯანდიერი 2009: 122).

ესეც საბჭოთა ყოფის თავისებური მეტაფორა: „გაუგებარი, მონოტონური ბგერა: რაღაც შრიალისა და ფხაჭუნის მსგავსი...“

### **დამოწმებანი:**

**ავალიანი 2005:** ავალიანი ლ. „შემოქმედება განმარტოებული ხელოვანის თავის შექცევა როდია“. *ჭაბუა ამირეჯიბიდან აკა მორჩილაძემდე*. თბილისი: გამომცემლობა „თეთრი გიორგი“, 2005.

**ინტერვიუ:** ვიქტორ დომუხოვსკის ინტერვიუ შევარდნაძესთან. დამოწმებულია ვებგვერდის მიხედვით: <https://iberiana2.wordpress.com/segm/domuxovs-ki/>. 03/11/2019.

**ჯალიაშვილი 2012:** ჯალიაშვილი მ. „სიცოცხლის მისტერია“. კრიტიკა, 7. თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2012.

**ჯანდიერი 2009:** ჯანდიერი კ. „დაპატივება კინოში“. *კონკიას ღამე*. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2009.



**Maia Tsertsvadze**

*Georgia, Tbilisi*

*Georgian Technical University*

## **Narrative and Reflection on the Events of March 9, 1956 in Modern Georgian Non-fiction**

Understandably, in literary texts of Georgia in the times of the totalitarian Soviet Union, it was impossible to reflect on a number of painful issues the Georgian people had to experience. The events of March 9, 1956 was among them.

From the end of the 1980s, following the period of breaking the totalitarian regime this tabooed topic began to be reflected in the literature.

The presented paper is dedicated to the description, peculiarities and multilateral significance of this kind of narrative documentary prose of the 21<sup>st</sup> century—the texts of the authors – M. Zaalishvili, K. Imedashvili, D. Kiziria.

**Key words:** Events of March 9, 1956 in Georgia, Modern Georgian Non-Fiction, documentary prose of the 21<sup>st</sup> century, Narrative and Reflection on the Events of March 9, 1956 .

### **მაია ცერცვაძე**

*საქართველო, თბილისი*

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

### **1956 წლის 9 მარტის მოვლენების ნარატივი და რეფლექსია თანამედროვე ქართულ ნონფიქშენში**

როგორც ცნობილია, 1956 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე პარტიის ლიდერმა ნიკიტა ხრუშჩოვმა გააკეთა მოხსენება პიროვნების (სტალინის) კულტის შესახებ, დაიგმო საბჭოეთის აღიარებული ბელადის კულტი და გამოცხადდა საზოგადოების ე. წ. „დემოკრატიული განვითარების კურსი“. ყრილობის ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხისთვის, რო-

მელმაც იგი თავის შეურაცხყოფად აღიქვა და მას თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში საპროტესტო დემონსტრაციები მოჰყვა. საბჭოთა ხელისუფლებამ დემონსტრანტების მიმართ გაუგონარი სისასტიკე გამოიჩინა და მათი გამოსვლები სისხლში ჩაახშო.

ტოტალიტარულ საბჭოეთში მოქცეული საქართველოს ლიტერატურულ ტექსტებში, ბუნებრივია, ასახვას ვერ ჰპოვებდა ქართველი ხალხისთვის მტკივნეული მრავალი საკითხი. ერთ-ერთი ასეთი ტაბუირებულ თემათაგანი სწორედ 1956 წლის 9 მარტს საქართველოში დატრიალებული ავბედითი მოვლენებიც იყო. „9 მარტი, ისევე როგორც საქართველოს გასაბჭოებით დაწყებული მთელი ციკლი, სწორედ ისეთი ტრავმებია, რომელთა ვერბალიზაცია, შეფასება, გააზრება თანადროულ ქართულ კოლექტიურ სივრცეში არ მომხდარა, რამდენადაც ამას არ დაუშვებდა სწორედ ის საბჭოური რეჟიმი, რომელიც ამგვარი ძალმომრეობის ფასად ამყარებდა და განამტკიცებდა თავის ძალაუფლებას. ცხადია, ეს ტრავმები ადეკვატურად არ ასახულა იმავე ძალის მიერ კონტროლირებად ოფიციალურ დისკურსში, რომელიც პასუხისმგებელი იყო საზოგადოების მიმართ ტრავმატულ ქმედებებზე. ტრავმული შთაბეჭდილებების გაზიარება და გაანალიზება ღიად არ ხდებოდა არც საზოგადოებრივ დისკურსში, რამდენადაც ისიც კონტროლდებოდა რეჟიმის მიერ. კონტროლი ვრცელდებოდა, ცხადია, ლიტერატურაზეც, რომელიც ისტორიულ ტრავმათა გამოსახვის ტრადიციული სივრცეა. შესაბამისად, ვერც თანადროული ლიტერატურული სინამდვილე ასრულებდა ტრავმის კოლექტიურ გამოცდილებად ტრანსფორმაციის ამოცანას. 1956 წლის 9 მარტზე გამოხმაურება, თუნდაც გამოუქვეყნებელი ტექსტების სახით, ქართულ ლიტერატურაში ფართოდ არ მომხდარა“ (წიფურია 2016: 189-190).

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულიდან დაწყებული საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერვისა და დამონებული რესპუბლიკების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის კვალდაკვალ, როცა ტაბუირებულმა თემებმა ლიტერატურაშიც დაიწყეს ასახვა, 1956 წლის 9 მარტის მოვლენებმაც როგორც მხატვრულ, ასევე დოკუმენტურ ტექსტებში გადაინაცვლა. მართალია, 1973 წელს უკვე დაწერილი იყო ოთარ

ჩხეიძის რომანი, „გამოცხადებაი“, რომელშიც მხატვრულად აისახა 9 მარტის მოვლენები, მაგრამ მისი დაბეჭდვა შესაძლებელი მხოლოდ 1989 წელს გახდა. მალევე 1991 წელს პატარა ბროშურის სახით გამოიცა და გავრცელდა ნოდარ ნათაძის „სისხლიანი პარასკევი“, რომელიც წარმოადგენს მონაწილე და თვითმხილველი ავტორის მოგონებებს და ანალიზს ამ ტრაგიკული მოვლენებისა. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის გათვითცნობიერებისათვის ოფიციალურად საგანგებოდ მიჩქმალულ ამ საკითხზე.

1956 წლის 9 მარტის მოვლენები ერთ-ერთი აქტუალიზებული თემაა ჩვენი საუკუნის ქართულ ნონფიქშენში, რომელიც, ლიტერატურათმცოდნეთა დაკვირვებით, თანამედროვე ლიტერატურული ტენდენციის გამომხატველია და რომლისადმი განსაკუთრებული ინტერესიც ისევე შეინიშნება ჩვენში, როგორც მთელ მსოფლიოში. ამ ტრაგედიის მომსწრე და თვითმხილველი ქართველი ავტორების ტექსტებში მოცემულია მათ მეხსიერებას შემორჩენილი მოვლენებისა და ფაქტების ნარატივი და მათზე რეფლექსირება, რისი განხილვის ცდაც არის წარმოდგენილი მოხსენება.

გამომცემლობა „არტანუჯმა“ 2018 წელს გამოსცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორისა და მთარგმნელის მედეა ზაალიშვილის წიგნი „ცაში გამოკიდული სახლი“. ავტობიოგრაფიული ხასიათის ამ ტექსტში სხვა ეპოქალურ მოვლენებთან ერთად მცირე ადგილი 9 მარტის ეპიზოდსაც უჭირავს. ავტორი მოგვითხრობს:

„50-იან წლებში ჯერ კიდევ ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები „საბჭოთა იდეოლოგიას“. მაშინ ახალგაზრდა თაობის უმეტესობას ბრმად სწამდა, რომ დიდი ბელადი, „ფოლადის კაცი“ მათ კეთილდღეობას იცავდა. იმ ცრუიდეოლოგიას უამრავი სტუდენტი და სკოლის მოსწავლე შეეწირა სისხლიან 1956 წელს. ეს იყო საზარელი 9 მარტი, როცა ხის ჯოხებით შეიარაღებული ახალგაზრდები ცდილობდნენ დიდი ბელადის სახელის დაცვას და ისინი ტყვიების წვიმის ქვეშ მოჰყვნენ, ზოგი მათგანი რუსულ ხიმტზეც კი ააგეს და წყალში ჩააგდეს. ვაკის სასაფლაოზე ნახავთ 15-16 წლის ბავშვების საფლავებს წარწერით: „დაიღუპა 9 მარტს, 1956“ (ზაალიშვილი 2018: 97-98).

2016 წელს გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ მწერლის, ლიტერატურათმცოდნისა და კრიტიკოსის კობა იმედაშვილის წიგნის „ჩემი საუკუნე“ წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ იგი თავისის შთამომავლებისა და მათი თანატოლებისათვის დაწერა, რათა მათ იცოდნენ თუ იმ გაუსაძლის დროში როგორ გადაირჩინეს თავის ქართველებმა და „როგორ გადაარჩინეს ის ღვთიური ქვეყანა, რასაც საქართველო ჰქვია და რომელსაც ახლა მათ უნდა უპატრონონ“ (იმედაშვილი 2016: 4).

აი, როგორ იხსენებს ავტორი მარტის იმ საბედისწერო დღეებს:

„მამინ მე ი. ბ. სტალინის სახლობის უნივერსიტეტის (რომელსაც შემდეგ სახელს შეუცვლიან და ივანე ჯავახიშვილის სახლობის უნივერსიტეტი გახდება) მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. ჩვენთან ჯგუფში სწავლობდა კაგებეს მაღალი ჩინოსნის ქალიშვილი (ეს მხოლოდ იმ დღეს გავიგეთ) და მან მამამისის დანაბარები გადმოგვცა: „სახლში იჯექით. მთავრობის სახლის ეზო სავსეა სასწრაფოს მანქანებით. იქ დიდძალი სახვევი მასალა შეიტანეს“.

„რა დაგიმალოთ და ამ გაფრთხილებისთვის დიდი ყურადღება არ მიგვიქცევია, მით უფრო, რომ არც ვაპირებდით სანაპიროზე გასვლას, სადაც სტალინის ძეგლთან ზომიერებას გადასული ემოციების გამოვლენა გვაღიზიანებდა. იქ მუდმივად ისტერიულად ადიდებდნენ სტალინს, ისმოდა ნონეშვილის ემოციური ლექსი „მამავ ძვირფასო“, შემდეგ თვითონაც გამოვიდა იგი იქ, სტალინის ძეგლთან ამ ლექსის კითხვით. ირონიას იწვევდა გორიდან ჩამოსული მსახიობების (ლენინისა და სტალინის გრიმით) ქუჩაში ღია მანქანით გრიალი და ხალხის მოთხოვნით ერთმანეთის გაუთავებელი კოცნა იმის სათქმელად, რომ სტალინის დაცვით ლენინის საქმესაც იცავდნენ. გამაღიზიანებელი იყო საბარგო მანქანაზე ორი უწყინარი ინვალიდის, ცნობილი კიკას, და კიდევ ვიღაც მეორე ავადმყოფის ჩამოტარება ხრუმჩოვსა და კასტროზე მინიშნებით. კიკა მართლა ჰგავდა ხრუმჩოვს“ (იმედაშვილი 2016: 210).

მოვლენების ნარატივთან ერთად უაღრესად მნიშვნელოვანია ავტორის რეფლექსირება:

„სტალინის გამო, რომელიც უკვე ვიცოდით, რაც იყო, ამ ამბავში მონაწილეობის სურვილი ნამდვილად არა გვქონდა. მხოლოდ შემდეგ გავიაზრეთ სრულად, რომ **სტალინის შეურაცხყოფაზე**

**მეტად ეროვნული ღირსების შელახვა ვერ აიტანა ქართველმა ხალხმა, ხრუმწოვი სტალინს ხომ როგორც ქართველს, ისე ებრძოდა“** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია – მ. ც.), (იმედაშვილი 2016: 210).

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს იმ საბედისწერო ღამის ეპიზოდებზე, რომელსაც თავად შეესწრო ქალაქის ქუჩებში, რუსთაველის პროსპექტზე, სადაც ის მეგობრებთან ერთად გავიდა მას შემდეგ, რაც გაიგო, ქალაქში ისვრიანო.

„კომუნისტებმა ჭირისუფლებს მიცვალებულთა დატირებაც კი აუკრძალეს, მასობრივი სახალხო გამოსვლების შეეშინდათ, ჩუმი დააკრძალვინეს დახოცილები, რომ მიცვალებულთა რაოდენობა არ გვეცოდნოდა და საჯაროდ არ გვეგლოვა“ (იმედაშვილი 2016: 212).

ავტორის დასკვნით:

**„საქართველო კიდევ ერთხელ დაისაჯა.**

**ჯერ სტალინმა და ორჯონიკიძემ გადაუარეს საქართველოს, მერე ბერიაშვილმა, მერე ხრუმწოვი“** (იმედაშვილი 2016: 212).

წიგნის მნიშვნელობას ისტორიული სიმართლის დადგენის თვალსაზრისით ზრდის ის ფაქტი, რომ მასში ჩართულია არასრული სია იმ ახალგაზრდებისა (სულ 26 პირის), რომლებიც დაიხვრიტნენ ხრუმწოვის განკარგულებით მოწამლული ტყვიით 1956 წლის 9 მარტს და მათი ბიოგრაფიული ცნობები. იგი ავტორს მიაწოდა ერთ-ერთი დაღუპულის, 16 წლის თენგიზ შანიძის აღმზრდელმა დედამ – ნინო კანდელაკი-შანიძის ამ იმ საშინელი ღამის აღწერასთან ერთად, როცა ის სასოწარკვეთილი დაეძებდა თავის შვილს. ეს სია და ცნობები პირველად 1990 წელს სახალხო ფრონტის მცირეფორმატიანი თვითგამოცემის ჟურნალში „კვალი“ დაიბეჭდა.

2018 წელს გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოცემულ წიგნში აშშ-ში მოღვაწე, ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოსოფიის დოქტორის დოდონა კიზირიას მოგონებებში 1956 წლის 9 მარტის მოვლენების გახსენებას ასევე დიდი ყურადღება აქვს დათმობილი. ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ტექსტებისგან განსხვავებით ავტორი, რომელიც იმ დროისათვის მეთერთმეტე კლასელი გოგონა იყო, ამ მოვლენებს დიდი ექსპრესიითა და ხატოვანებით აღწერს. წინა ტექსტებთან შედარებით ის უფრო ვრცელია და მასში ნარატივთან ერთად ავტორის უაღრესად საინტერესო რეფლექსიებია დაფიქსირებული.

„როცა ჩემს განვლილ ცხოვრებას წარმოვიდგენ არა როგორც წელთა რიგს, არამედ როგორც სივრცეს, წარსულიდან აწმყომდე მომავალ გზას, იგი რამდენიმე ღრმა, ძალიან ღრმა ნაპრალობით არის დასერილი. ამ ნაპრალებზე ბეწვის ხიდით ვარ გადმოსული და ზოგჯერ მართლა სასწაულოთ გადარჩენილი, როგორც ფსიქიურად, ასევე ფიზიკურადაც. სულ პირველი ნაპრალი სწორედ იმ წელს გადმოვლახე, რამაც თითქმის გეოლოგიური მასშტაბის ნგრევა-გადატრიალება მოახდინა ჩემში. დარწმუნებული ვარ, ბევრ სხვა ჩემი თაობის ადამიანშიც, ვინც იმ დროს თბილისში ცხოვრობდა“ (კიზირია 2018: 52-53).

ნ. ხრუმჭოვის მიერ პარტიის ყრილობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას მემუარისტი აღწერს, როგორც ყოფლისმომცველ შოკს – „ეს იყო ცის ჩამონგრევა, ვეზუვის ამოფრქვევა, ბიბლიური წარღვნა...“ (კიზირია 2018: 54).

„თურმე იოსებ ბესარიონის ძეს მოუხდენია ძალაუფლების უზუპაცია, შეულახია წმიდათაწმიდა – კომუნისტური პარტიის დემოკრატიული სულისკვეთება, დაურღვევია ყოველგვარი სოციალური და მორალური კანონები“ „დღეს ყველამ თუ არა, უმეტესობამ მაინც იცის, რომ სტალინურ წმენდებში დაღუპულთა რიცხვმა სამ ათეულ მილიონს გადააჭარბა. მაგრამ ეს რამდენიმე წლის შემდგომ გახდა ცნობილი. მაშინ კი ეს ინფორმაციაც ისეთივე თავზარდამცემი იყო, როგორც, ვთქვათ ღრმად მორწმუნე ქრისტიანისთვის რომ გეთქვათ, იესო ქრისტე ერთი მაწანწალა ავანტიურისტი იყო. გამოდის სულ ტყუილად გვიმღერია „ჩვენო სტალინ, ჩვენო მხსნელო, ჩვენო დიდო მოამაგევ?!“ სულ ტყუილად ვიზეპირებდით ლექსებს ჩვენს სათაყვანო ბელადზე?!“ (კიზირია 2018:55)

მემუარისტი „პლანეტის შემაზანზარებელ მოვლენას“ უწოდებს ამ ფაქტს და იხსენებს, როგორ აღიქვეს ის მაშინდელ საქართველოში „ჩვენთვის მხოლოდ ერთი განმარტება ჰქონდა – ეს რუსების შეთქმულებაა ჩვენს წინააღმდეგ, მათ ყოველთვის შურდათ ჩვენი, ახლა უნდათ შური იძიონ სტალინზე, რადგან ქართველი იყო“ (კიზირია 2018: 55).

შემდეგ ავტორი გვიყვება იმ მოვლენების მიმდინარეობაზე, რაც მეტ-ნაკლებად ცნობილია სხვადასხვა წყაროებიდან და რასაც ზემოთაც შევხეთ კ. იმედაშვილის წიგნიდან, ამიტომ ვფიქრობთ,

მეტი ყურადღება დაავთმოთ ავტორის რეფლექსიებს და მისი, როგორც თვითმხილველისა და მომსწრის შეფასებებს.

„თბილისი აზუზუნდა, აფორიაქდა, აგუგუნდა და ხუთ მარტს სტალინის ძეგლი უკვე თითქმის ნახევრამდე იყო დახუნძლული თაიგულებით, გვირგვინებითა და ტრანსპარანტებით. ორ დღეში მისი კვარცხლბეკი სულ დაიფარა ყვავილების ნიაღვარით. გარშემო დილიდან გვიან ღამემდე იდგა ხალხი, უმთავრესად სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები. **ეს იყო კარნავალი ამ სიტყვის ბახტინისეული მნიშვნელობით. ყველაფერი თავდაყირა დადგა და ქცევის ყველა მიღებული კანონი დაირღვა. იყო რაღაც უჩვეულო, არასაბჭოთა თავისუფლების საზეიმო განცდა, რაღაც უცნაური აღტაცებისა და ამავე დროის გარდუვალი საფრთხის შეგრძნება. აი, მაგალითად, როცა სადმე ძალიან მაღალ პიტალო კლდის თავზე დგახარ და სული გეხუთება იმისგან თუ რა ახლოს ხარ ცასთან და გაჟრიალებს იმ საშინელი უფსკრულის წარმოდგენით, რომელიც შენს ფეხქვეშა ხახადაღებული“ (კიზირია 2018:59).**

„ჩემთვის იმდენად წარმოდგენელი იყო, საბჭოთა მთავრობას ბრძანება გაეცა ხალხისთვის ესროლათ, რომ ეს განგაში სერიოზულად არ მიმიღია. ჩემს წარმოდგენაში ასეთი რამ შეუძლებელი იყო. თუმცა რაღაც გუგუნის ხმა კი ისმოდა, მაგრამ **უსაშინლეს კომმარშიც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს ტანკები გვიახლოვდებოდნენ**. ალბათ მილიციამ დაიწყო ხალხის გაყრამეთქი, ვიფიქრე“. „არა, ეს შეუძლებელია... ეს მომეჩვენა... **ეს ხომ ამერიკა არ არის... ეს საბჭოთა კავშირია... აქ ხალხს არ კლავენ“**... (კიზირია 2018:59).

„როგორ დამთავრდა ის დღე არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს შემდგომი დღეების რკინისებური სიმძიმე, ქალაქში გამეფებული სიჩუმე და დაბნეულობა. სკოლაში ვგრძნობდით, რომ ჩვენს მასწავლებლებს, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ სტალინის განუსაზღვრელ დამსახურებაზე, მის მსოფლიო მნიშვნელობაზე გველაპარაკებოდნენ, არაფერი ჰქონდათ სათქმელი და არც არაფერს ვეკითხებოდით. ისინიც ცდილობდნენ არ შეხებოდნენ ამ პირდაღებულ ჭრილობას, არც გვტუქსავდნენ და არც ჩვენ გვეკითხებოდნენ რამეს. თითქოს ინტუიციით ორმხრივად ტაბუ დავადეთ ამ თემას“ (კიზირია 2018: 59-60).

დ. კიზირია იხსენებს 16 წლის კიაზო ჭანტურიძის დედის სონია მერაბიშვილის (ის მათი ოჯახის ნაცნობი – დედამისის თანამშრომელი იყო) სასოწარკვეთას და გლოვას შვილის დაღუპვის გამო და ერთ საინტერესო დეტალს კიაზოს საფლავის ქვის წარწერის შესახებ.

**„მშობლებს საფლავის ქვაზე კიაზოს ნამდვილი გვარის ამოკვეთაც კი აუკრძალეს და ჭანტურიძის მაგივრად ჭანტურია დააწერინეს** (ამჟამად საფლავის ქვაზე კვლავ „ჭანტურიძეა“ მიწერილი – მ. ც.). **ალბათ იმიტომ, რომ ვერავის ეცნო, ვინ იყო იქ დასაფლავებული და მისი გარდაცვალება 9 მარტის ტრაგედიასთან არ დაკავშირებინა“** (კიზირია 2018: 69-70).

მემუარისტი განაგრძობს: **„იმ დღეებში ჩემთვის ჩამოინგრა და ჩამოილეწა მთელი მსოფლიო, გაცამტვერდა ფასეულობათა სისტემა, რომელზედაც გავიზარდე და რომლისაც მწამდა.** ფანატკური კომკავშირელი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ შესაძლოა ან ძალიან ბრიყვი ვიყავი, ან ძალიან ადვილად მანიპულირებადი, რადგან საბჭოთა იდეების რაღაც საერთო მონახაზები სიმართლედ მიმაჩნდა და მჯეროდა. ამიტომ ყველაზე მეტად მტანჯავდა ფიქრი – იცოდა თუ არა სტალინის მიერ ჩადენილი ბოროტების შესახებ უფროსმა თაობამ, ჩვენმა მასწავლებლებმა, ჩვენმა მშობლებმა. ნებისმიერი პასუხი, დადებითი თუ უარყოფითი, ერთნაირად შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის. თუ იცოდნენ, მაშ უსინდისოდ გვატყუებდნენ – საბავშვო ბაღში, სკოლაში და სკოლის შემდგომაც. გვატყუებდა ყველა ჩვენს გარშემო თავიანთი მაღალფარდოვანი სიტყვებით, პარადებით, დროშების ფრიალით. თუ არ იცოდნენ, მაშინ რით არიან ისინი ჩემზე ჭკვიანები, გამჭრიახები, მცოდნეები!? ისინიც ისევე გაუბითურებიათ, როგორც ჩვენ ახალგაზრდები. მაშ, რატომ უნდა ვცემდე მე მათ პატივს, რატომ უნდა ვენდობოდე ან მჯეროდეს მათი!? ჩემი დედაც კი, ჩემი საყვარელი დედა, ასეთი პატივცემული და სამაგალითო პედაგოგი, ისიც კი, ან მატყუებდა, ან თვითონ იყო მოტყუებული!“ (კიზირია 2018:64-65).

შემდეგ ავტორი მოგვითხრობს სუიციდის მსვლელობაზე, რომელიც მას ჰქონდა იმ ტრაგიკულ დღეებში მიღებული უმძიმესი ტრავმის გამო – მან დიდი დოზით დალია წამალი და საავადმყოფოში მოხვდა, სადაც სამი დღე უგონოდ იწვა. საბედნიეროდ გადარჩა.



როგორც მემუარისტი გადმოგვცემს, შემდეგ ცხოვრება გაგრძელდა ისე, ვითომ არაფერი მომხდარიყოს. სკოლის დამთავრების შემდეგ მოსკოვში სასწავლებლად გადასვლამ და დისტანციურმა დაშორებამ ყველა იმ ადგილთან, სადაც მის სულიერ სამყაროში ასეთი გადატრიალება მოხდა, უმკურნალა კიდეც. **„მაგრამ მას მერე უკვე სრულიად სხვა „მე“ ვიყავი“** (კიზირია 2018: 69).

„9 მარტის ტრაგედიიდან ორიოდე წლის შემდეგ ნიკიტა სერგევიჩი საქართველოს ესტუმრა და მას ვაშათი და მხურვალე, ოვაციებში გარდამავალი ტაშით შეხვდა თბილისის ბრწყინვალე საზოგადოება – მეცნიერები, შემოქმედებითი ინტელიგენცია და მადლიერი მოქალაქეები. ქუჩების გასწვრივ კი წითელყელსახვევიანი პიონერები ყვავილებს ესროდნენ მანქანების კორტეჟს. ერთ ღია მანქანაში თვით კომპარტიის გენერალური მდივანი იდგა და მოწყალედ თავს უქნევდა სიხარულით აღსავსე მასპინძლებს“ (კიზირია 2018: 61-70).

ჩვენს მიერ საანალიზო მასალად შერჩეული ბოლო წლებში გამოცემული ავტორების ტექსტებიდან, რომლებიც დოკუმენტური პროზის ნიმუშებს, ძირითადად მოგონებებს წარმოადგენენ, შევხებით 1956 წლის 9 მარტის მოვლენების ნარატივს და ყურადღება უმეტესწილად გავამახვილეთ ავტორთა რეფლექსიებზე. ეს ტექსტები თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნონფიქშენური ნაკადია და მხატვრულ ტექსტებთან ერთიანობაში იძლევა მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცლის საერთო სურათს.

#### **დამოწმებანი:**

**ზაალიშვილი 2018:** ზაალიშვილი მ. *ცაში გამოკიდული სახლი*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018.

**იმედაშვილი 2016:** იმედაშვილი კ. *ჩემი საუკუნე*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2016.

**კიზირია 2018:** კიზირია დ. *მოგონებები*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018.

**ნათაძე 1991:** ნათაძე ნ. *სისხლიანი პარასკევი*. თბილისი: საგამომცემლო ფირმა „ორნატი“, 1991.

**ჩხეიძე 1989:** ჩხეიძე ო. *გამოცხადებაი = Apokalypsis..* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1989.

**წიფურია 2016:** წიფურია ბ. „გამოცხადებაი: 9 მარტის ტრავმა და სტალინური ნარატივის დასასრული საქართველოში“. წიგნში *ქართული ტექსტი საბჭოთა (პოსტსაბჭოთა) პოსტმოდერნულ კონტექსტში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016.

**Zoia Tskhadaia**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**Two Shores, Two Truths**  
**(on Georgia’s tragic events of the 1990s in Georgian and Abkhazian**  
**literary narrative)**

Political events of the 1990s remain relevant to this day. They are reflected in the short-stories by Georgian writer Zviad Kvaratskhelia and in the novel „The Shore of the Night“ by Abkhazian writer Daur Nachkebia.

Zviad Kvaratskhelia’s stories represent an artistic interpretation of historical chronicles with real pictures: the capital of Georgia divided into two camps, animosity between citizens provoked by the „elder brother of the same faith“.

The issue of the Abkhazian war in Daur Nachkebia’s novel spill from the mouth of a lyrical hero the bearer of national consciousness and worldview.

It is clearly seen that the literature, despite the extreme situation, still manages to cover the events objectively and at the same time, the readers have an opportunity to see future coordination.

**Key words:** Daur Nachkebia, Zviad Kvaratskhelia, historical chronicles, protest.

## **ზოია ცხადაია**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **ორი ნაპირი, ორი სიმართლე (90-იანი წლების საქართველოს ტრაგიკული მოვლენების შესახებ ქართული და აფხაზური ლიტერატურის ნარატივში)**

1990-იანი წლების ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენები აქტუალურია უახლოეს ქართულ ლიტერატურაში. სახელმწიფო გადატრიალება – სამოქალაქო ომად შერაცხული, სამეგრელოს დარბევა და აფხაზეთის ტრაგედია – ქართველთა და აფხაზთა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება... ამ მოვლენებზე ბევრი დაიწერა. ამჯერად შევჩერდებით ქართველი მწერლის, ზვიად კვარაცხელიას, მოთხრობების კრებულზე „ყიფლიბანდი“ (2012) და აფხაზი მწერლის, დაურ ნაჭყებიას რომანზე „დამის ნაპირი“ (დაწერილია აფხაზურ ენაზე, რუსულიდან ქართულად თარგმნა გურამ ოდიშარიამ, წიგნი გამოიცა 2010 წელს).

ზვიად კვარაცხელიას მოთხრობები ისტორიული ქრონიკების მხატვრული ინტერპრეტაციაა რეალური სურათებით, არაფერი ხელოვნური, გამოგონილი, ჰიპერბოლიზებული... ესაა ორ ბანაკად გაყოფილი დედაქალაქი თავისი ინტელექტუალებით თუ ინტელიგენციით, „ერთმორწმუნე ძმისგან ერთმანეთს გადამტერებული“ მოქალაქეები, საპროტესტო მიტინგები „დიქტატატურის“ დასამხობად, სამეგრელოს ეგზეკუცია და „თავისუფლების ჯვაროსნების“ მიღწეული მიზანი – ტყე-უღრანში მიტოვებული ბელადის გაურკვეველი აღსასრული... მრავალი დამაფიქრებელი ფაქტი მხატვრული მასალისთვის შესაფერი ირონიითაა გადმოცემული მწერლის მიერ. იგი არ განსჯის მოვლენებს, ამას მკითხველს ანდობს. აქ მხატვრულ შტრიხებად და სურათებადქცეული ფაქტები მეტყველებენ, ირონიულ შტრიხებში თუ მიხვდებით ავტორის დამოკიდებლებას ამა თუ იმ მოვლენისადმი.

კრებულის პირველი მოთხრობა „ყიფლიბანდი“ პოლიტიკურად ჯაგარაშლილი დედაქალაქის ცოცხალი სურათია. ორად დაყოფილი ქალაქის ორი სხვადასხვა შეხედულების ინტელიგენტი: გურამი და ნატა. ქალაქში უკვე ფეხით დადიან, ტრანსპორტი არ ჩანს.

გურამი ნიშნისმოგებით უთანაგრძნობს ქალს უტრანსპორტობის გამო, ადრე უნდა გეფიქრათ, გენაცვალეო და, მოპოვებული თავისუფლებისადმი ირონიულად განწყობილი, დაამატებს: „რა თავში ვიხლით ამ ჰაიპარად მორთმეულ დამოუკიდებლობასო“ (იყო კი ჰაიპარად მორთმეული ეს თავისუფლება?!)... „ულუკმაპუროდ, უიმედოდ დარჩენილები დავერიეთ ერთმანეთს“, – იმართლებს თავს თუ ამართლებს შექმნილ მოვლენებს. იგი სარგებლობს შემთხვევით და იწყებს მჭევრმეტყველებას – ქართველების მოპოვებულ ნაადრევ თავისუფლებას ჩვილის ყიფლიბანდს ადრის, რომელსაც განსაკუთრებული სიფრთხილე სჭირდება, სანამ გამაგრდება. თეორიულად სწორია მისი ნათქვამი, მაგრამ პრაქტიკულად ვის უნდა დაბრალდეს „ყიფლიბანდის“ ხელყოფა, დაზიანება ანუ მოპოვებული თავისუფლების დაღუპვა... პასუხიც აქვს: „რაც ახლა დაგვემართა, ჩვენი ბედოვლათობით დაგვემართა: მიულწყველს წავეპოტინეთ და ამ წვერგლეჯაში ბევრი მოვიმდურეთ“... „ბევრში“ „ერთმორწმუნე ძმას“ გულისხმობს, რომელმაც, მასთან მოპაექრე ნატას აზრით, „ერთმანეთს გადაგვამტერა და ის თავმოყვარეობაც აღარ შეგვარჩინა, რითაც თავს ვიწონებით ყოველთვის“. მათ დიალოგში სიმართლე ნატას მხარესაა, რომელიც იტყვის: „სადაც არ იბადებიან, იქ არც სიცოცხლე ფასობს და, ზოლოს და ზოლოს, ყიფლიბანდის შიშით, ბავშვი ვის არ გაუჩენია“. გურამი (მეცნიერი) თავისას არ იშლის, ახლა ისაა ძლიერი და გამარჯვებული, ამიტომაც საფინანსო სიტყვაც მას მიაკუთვნა ავტორმა (ასეთი იყო რეალობა): „ხვალე წავალ საპროტესტო მიტინგზე, ხვალიდან ხელს მოვაწერ ყველა მოწოდებას და პროკლამაციას, სადაც დიქტატურა იქნება დაგმობილი“. დიქტატურის დაგმობის სახელით კი ქვეყანა იქცეოდა და თავი ყველას მართალი ეგონა.

ამ მეცნიერის მსგავსი გულანთებული და თავგამოდებული ინტელიგენტები მრავლად იყვნენ. იყვნენ ნეიტრალურებიც, შორიდან მაყურებლები იმ იმედით, რომ გასაკეთებელს სხვები გააკეთებდნენ („დიდი ყურულთაი“). მოთხრობის პერსონაჟი, დოცენტი და გაქეჟილი რეპეტიტორი ირინა, სწორედ ამ ნეიტრალურებს მიეკუთვნება. თავის კაბინეტში მდუმარედ სიგარეტს აფუილებდა და რომ იტყვიან, სიკვდილს ათავებდა, ვინმეს ხმას რომ გაიგონებდა, იმის შიშით, „კიბეზე თუ მემახიანო, გარეთ გაცენილები კი მზად იყვნენ: ოღონდ ის ზონაპარტე ჩამოვაგდოთ

ტახტიდან და ერთი წელი უხელფასოდ ვივლით ლექციაზე“ (ესეც ნაცნობი ფაქტი იმ სამარცხვინო ისტორიიდან). დღე-დღეზე უნდა შემდგარიყო „დიდი კრება, დიდი ყურულთაი“. მოთხრობის სათაურიც ხომ ესაა“ – შესანიშნავი ხაზგასმა ირონიისათვის. ამ კრების შიში ჰქონია ირინას. იქ გაიხსენებდნენ ყველას: „ვისაც დროშები ეჭირა და კიბეზე იჯდა, ვინც თავი მოიავადმყოფა, შინიდან გამოსვლა დაეზარა და ვინც კაბინეტში გამოიკვტა“.

ირონიული პასაჟები ზვიად კვარაცხელიას მოთხრობებში ზომიერად და ზუსტად იქ დაგხვდებათ, სადაც საჭიროა, რამდენადაც საჭიროა. ამით თხრობის სტილს, მთავარი სათქმელის ელფერს დამაჯერებლობას სძენს.

თბილისური ამბებიდან საინტერესოა მოთხრობა „მემაწვნე გოგია“. მემაწვნე გოგიას გული დაწყვიტა აკადემიკოს ნოშრევან ლომთათიძის პირდაპირ ეთერში ნათქვამმა: „წითლებს და უვარგისებს რომ გვიწოდებს, აგერ, ბატონო, რაც მიიღო, პასუხი აგოსო... ხალხი დაერია ერთმანეთს, დანასისხლად გადაეკიდა... ბნელი ძალები გაიმარჯვებს (გულისხმობს ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მომხრეებს). მოვუწოდებ ყველა შეგნებულ ახალგაზრდას, ხელში აიღოს იარაღი და დაიცვას სამშობლო!..“ ვისგან უნდა დაეცვათ სამშობლო, ვის წინააღმდეგ უნდა აეღოთ იარაღი... ვისი სისხლი უნდა დაღვრილიყო და რატომ, რის მისაღწევად... რას კარგავდნენ – სამშობლოს თუ სამშობლოში მყუდრო და გარანტირებულ კომფორტს – დამსახურებულს თუ დაუმსახურებელს...

ერთი შეხედვით, ღიმილისმომგვრელია (არა ირონიულის) მემაწვნე გოგიას „შურისძიება“, როცა გადაწყვეტს: „მე მაგ კაცს მაწონს აღარ მივუტანო“. ალალ-მართალი გულით გადაწყვიტა, როგორც შეეძლო, ისე გადაეხადა სამაგიერო პატივცემული აკადემიკოსისთვის. მე ერთი უბრალო მემაწვნე კაცი ვარ, ეგაა ჩემი ინსტიტუტიც და აკადემიაცა... მაგრამ სინდისი უფალთან მაქვს დათქმული – მე მაგ კაცს მაწონს აღარ მივუტან!..“ ესეც განაჩენია – უარი პატივისცემაზე, მცირეოდენით, მაგრამ აქ სიმცირე არ იყო მნიშვნელოვანი.

„სიტყვები ვერცხლისფერი დოქიდან“ მოგვითხრობს იმაზე, როგორ აღმოჩნდნენ ამ ორომტრიალში მწერლები და ჟურნალისტები, ბოლმით სავსე კალამმომარჯვებულები, ბელადს რომ მი-

წასთან გაასწორებენ და თავიანთ ნაღვაწს მის მომხრეებს სახეზე რომ ააფარებენ.

ზვიად კვარაცხელია ბევრი რამის თვითმხილველია, მერე რა, რომ მაშინ ძალიან პატარა იყო (დ. 1986 წ.). ბავშვის მეხსიერება, დიახაც, სანდოა. მით უმეტეს, როცა შიშის, უშუქობის, ავტომატების ჯერის, „ჰაუბიცების“ და „გრადების“ ხმის ფონზე იწერებოდა პატარის მეხსიერებაში 90-იანი წლების შემადრწუნებელი ისტორია. მერე განგებამ მწერლის გამორჩეული ნიჭიც დაანათლა და სრულიად ახალგაზრდამ დაწერა ეს მოთხრობები და ნოველები – ისტორია ჩვენი ახლო წარსულისა, ისტორია საკუთარი სულის ტკივილისა. აწ უკვე ისტორიულ სურათებს და კონკრეტულ დეტალებს იგი ოსტატურად განაზოგადებს, სახეს და სახელს უცვლის ფაქტებს და პერსონებს. აქ არ ჩანს არც კონკრეტული ქალაქი, არც კონკრეტული სოფელი, მაგრამ რაც ხდებოდა ერთგან, ის ხდებოდა ყველგან. საომარი ბატალიების ასპარეზი სრულიად სამეგრელო იყო.

სახელშეცვლილი ხელოვან-ინტელიგენტში თუ ინტელიგენტებში მკითხველს შეუძლია კონკრეტული პერსონების ამოცნობა. „მარადიურობა ომის თანხმლებიაო“, – ამბობდნენ. ზოგი მორიდებულად, ზოგიც – ჩვეულებრივი პათეტიკით. კალიასავით მოედო მთელ კუთხეს ომის ეს „დაუწერელი კანონი“. ახლა მწერალს მოვუსმინოთ, რამდენიმე შტრიხიც საკმარისია: კოჩობა წყაბელის გამთენიისას მიაკითხეს („ექსპედიცია ადრიან დილით“). წინდაწინ დაუჭერია თადარიგი, ამიტომ არ შემდრკალა ხაკისფერების დანახვაზე... საკუთარი ფეხით შეუძღვა სახლ-კარის გასატიალებლად მოსულებს. მაინც „ამშვიდებდა“ მოსულთაგან ერთი: „ნუ იღელვებ, ბიძა, ვიცით ჩვენ ყველაფერი, მალე მოვაცომარებთო... მაგრამ დიდხანს არ ეყოთ მოთმინება: „ფული, ავეჯი, მანქანა, ოქრო. დამწიოკებლების დასახვედრად ოჯახებში თადარიგს იჭერდნენ – გამლილი სუფრით ხვდებოდნენ, რომ ისინი ნაკლებად აგრესიულები ყოფილიყვნენ. კარგადაც მიირთმევდნენ და თან დასცინოდნენ დაბნეულ, დაუცველ ხალხს. ამჯერადაც ასე მიმართავენ მასპინძელს: „გამლილი სუფრებით რო გვხვდებიან ყველგან, შენთანაც ველოდით პურმარისს. ისე, მართლა გეტყობა ზარალი (კოჩობა წყაბელის იმ წელს ორი მიცვალებული გა-

უსვენებია), თორე აქაური პადხალიმაჟი არც შენ შეგეშლებოდა... გლუპოი პასიოლოკ“... მართლაც შემზარავი იყო ეს სუფრები, მაგრამ სხვა ხსნა, სხვა გზა არ იყო.

„ხარი ხანისათვის“ – ასე ჰქვია ნოველას, რომელშიც მთავარი პერსონაჟი 90-იანი წლების ერთ დაუფიწყარ, ბავშვის ფსიქიკაში მწარედ ჩარჩენილ ფაქტზე მოგვითხრობს. ეს რეალობიდანაა, ავტომატიანეების ნადირობა შინაურ საქონელზე, დღისით, მზისით – ქალაქის ცენტრში (სენაკში, ხობში, ზუგდიდში, წალენჯიხაში)... ავტომატების ჯერით ხოცავდნენ პირუტყვს. იქვე, ბააშვების და ქალების თვალწინ ხდებოდა ყველაფერი. იქ უფრო მოსახერხებელი იყო ყველაფერი, რაც მერე მათი ვახშმის მომზადებას სჭირდებოდა. ასე გამოლადრეს ყელი პატარა ბიჭის – მთხრობელის შვინდას ბრონქიულიტიანებმა, იგივე „შიშებმა“, – როგორც აღიქვამდა მათ ბავშვის დამფრთხალი გონება. „ბევრნი იყვნენ შიშები... ტანკები დასავლეთისკენ რომ დაიძრნენ, ყველა ამბობდა, მიწასთან გაგვასწორებენ, ჩვენს დასაჯელად და დასაბუგად მოდიანო“... ერთადერთი გამოსავალი ამ შიშებისგან (ეს უკვე ბიჭის მამის სიტყვებია) ისაა, თბილი ოთახი, სალაფავი და ხორცის ნაჭერი არ მოაკლო... აბა, ლობიოთი ხომ არ გავისტუმრებდი ამისთანა დიდებულ ხალხსო“, – არ თავილობდა პირფერობას მასპინძელი, იქნებ ამას იქით არ წასულიყო მათი მადა... ლობიოს ხსენებაზე თავიანთი ბელადის სიბრძნე გაახსენდათ: „ლობიობა დამთავრდა, აწი წესრიგი და მშვიდობა უნდა იყვეს ქვეყანაში („იყვეს“... „ტო“ – და ა.შ. სიტყვები შემთხვევით არ უნდა იყოს ნახმარი...); ეს არ იყო სილაჩრის შიში. ეს იყო ოჯახის, შვილების და საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად ქმედება, როცა ტანკით და ბეტეერით მოგადგებიან კართან, – აი ის „შიშები“ გახლდათ.

ერთი შინაგანად შეუვალი პერსონაჟიც შეგვხვდება – ასაკოვანი, სასიკვდილოდ განწირული კაცი, სკოლის დირექტორი (ის რამდენიმე ნოველაში გვხვდება განმეორებით – ისევ და ისევ თავის ამპლუაში, ყველგან საკუთარი ღირსებისა და სკოლის დამცველი). მას სამხედროფორმიანები სთხოვენ, მისცეს მათ სკოლაში დაბანაკების უფლება, რაზედაც ცივ უარს იღებენ. „ეგრევე ქამრისკენ წავიღე ხელი. ბუდეში დანა მქონდა ჩამაგრებული, ვიფიქრე, გავუყრი და მოვათავებ ამ გათახსირებულს-თქო, მაგრამ ერთი ჩამიხტა, იქაური ბიჭი (ვინც გზა მიგვასწავლა და გვერდი-

დან არ გვცილდებოდა), გეხვეწებით, მაგის ნამოწაფარი ვარ, მე მარჯუნივ, „ტრუპს“ ნუ აიკიდებო. მერე ბავშვები გამოცვივდნენ ეზოდან, „ბაბუა, ბაბუა“, – კიოდნენ და ტიროდნენ. უცებ შევბრუნდი და მოხრეშილ შუკას შევუყენე ვილისი“, – იხსენებს ე.წ. მეომარი („ერთი მწიკვი სიმართლე“, – დიახ, ასეთი სიმართლე ცოტა იყო, „ერთი მწიკვიც“ იმიტომ ჰქვია. „იმ დღეს ნახევრად ჩამოიქცა ბაბუაშენი, ახლა კიდევ ანევრიზმაო“, – გაახსენებენ მთხრობელს მეორე ნოველაში („თავი ბოლო ზღაპარი“), როცა ბაბუა ცუდად ხდება...

ასეთია ზოგადი შტრიხები მწერლის ნოველებში მონათხრობისა ზვიად კვარაცხელიამ ფაქტების მხატვრული კონსტანტაციით გვითხრა თავისი სათქმელი. მიუხედავად შემზარავი, საჩოთირო დეტალებისა, იგი ჩინებულად ახერხებს მწერლობად, მწერლის ნახელავად აქციოს ის, რაც აწუხებდა და რასაც თავისი სახელი უნდა დარქმეოდა. წანამძღვარიც წიგნისა ძალზე ნიშანდობლივად მოფიქრებულია – „წაკითხვა სავალდებულოა“.

დაურ ნაჭყებიას წიგნი, რა თქმა უნდა, აფხაზეთის ომის თემაზეა, თუმცა – საომარი ბატალიებისა და უმოწყალოდ დახოცილთა სიმრავლის გარეშე. მხოლოდ აქა-იქ თუ გაისმის ჰაუბიცების გრუხუნი, ავტომატების კაკანი და სნაიპერის ტყვიების ზუზუნი.

რომანის მთავარი დრამა თხრობის დასაწყისშივე გათამაშდება: იღუპება მთავარი პერსონაჟი – ადგურ ა. მისი ხანმოკლე (ოცდასამი წლის), უაზრო ომში (როგორც მას, ადგურ ა-ს, მიაჩნია საბოლოოდ) თავგამოდებით გამოვლილი სიცოცხლე ტრაგიკულად დამთავრდა... თანაც მაშინ, როცა ქალაქი „აიღეს“ (ბედის ირონია ორივე მხარისთვის) 93-ის ზაფხულში და გამარჯვება უკვე გარანტირებული იყო. ის 92-ის აგვისტოდან იბრძოდა. დარჩა დღიურები – სასკოლო საერთო რვეული, ბოლომდე გავსებული. მთხრობელს, რომელიც შემდეგ ბესლანის სახელით გაგვეცნობა, ეს დღიური იმან გადასცა, ვინც ადგურ ა-ს დაღუპვის დღეს მის გვერდით იმყოფებოდა, ვინც ბესლანის არსებობაც იცოდა. შეიძლება ვიფიქროთ, ადგურ ა. მთხრობელის ორეულია, მისი მეორე „მეა“. ბესლანი გულგატეხილია იმ ყველაფრით, რასაც, მისი აზრით, არავისთვის არაფერი მოუტანია – არც გამარჯვებულებისათვის, არც დამარცხებულებისათვის. ვინ იყვნენ ეს „გამარჯვებულები“ და „დამარცხებულები“? თუ მწერალ-მთხრობელის ფსიქოლოგი-



ურ დისკურსს ჩავუღრმავდებით, ყველა აშკარა მინიშნება თუ ქვეტექსტი გავაცნობიერეთ, არ უნდა გაჭირდეს, დავასკვნათ – გამარჯვებული არავინ იყო, დამარცხებული – კი – ამჯერად – ერთი, პერსპექტივაში – ორივე; რას მოუტანდა ეს გამარჯვება აფხაზ ერს?.. სამშობლოში უსამშობლოდ დარჩებიან, დასავლეთით გახედვაც აეკრძალებათ, სადმე, ქალაქის განაპირას, რომელიმე მყრალი ორმოს გვერდით შეფენილი ბაზრობით უნდა დაკმაყოფილდნენ და ა.შ. ეს ბესლანის აზრებია ანუ – მთხრობელის, ანუ – ავტორის. მომავალს კიდევ უფრო მკვეთრი შტრიხებით წარმოსახავს მწერალი შემდეგ და შემდეგ პასაჟებში. მანამ კი ისევ დასაწყისს მივუბრუნდეთ – ადგურ ა-ს სიკვდილის ფაქტს. ფაქტობრივად მან თავი მოიკლა, თავი მოაკვლევინა სნაიპერს. რატომ და რისთვის – ეს არარიტორიკული კითხვა (ხან პირდაპირი მინიშნებით და პასუხებით, ხან – ქვეტექსტებით) გასდევს მთელ წიგნს, ეს არის ის, რაც აწუხებს მთხრობელს.

საგულისხმოა, რომ დაურ ნაწყებობას მძა დაეღუპა ამ ომში, მასაც ბოლო წელს უბრძოლია და სოხუმის ალების დღეს დაღუპულა სწორედ, როგორც წიგნის გმირი ადგურ ა. ასე რომ, ის უნდა იყოს ადგურ ა-ს პროტოტიპიც და ლირიკულ გმირად წარმოჩენილი ავტორის შინაგანი მონოლოგების ინდიკატორი. ასე შემოდის რომანის ცოცხალ სამყაროში უკვე დაღუპული მეზრდოლი ახალგაზრდა აფხაზი. ნაწყვეტები მისი დღიურებიდან მრავალმხრივ ჩავვახედებს მეომრის თითქოს საბრძოლო განწყობით შემართულ, მაგრამ ადამიანურად – აფორიაქებულ სულში. ნაწყვეტის ვრცელი მონაკვეთიდან, რომელშიც დღიურის ავტორი ღამის პეიზაჟს აღწერს (სიყვარული, მდინარე, ღამე, მთვარე...), მიმანიშნებელია იმისა, რომ სრულიად ახალგაზრდა კაცი, იძულებლია ჩაუფიქრდეს (თუნდაც – წამიერად, როცა სიკვდილის პირისპირ დგას) განსაცდელს, ადამიანური ყოფის არსს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ თუნდაც სიკვდილ-სიცოცხლის ეპიცენტრში ყოფნის ჟამს ადამიანს, მით უმეტეს, ახალგაზრდას, მაინც გაუელვებს წამი, გამხედავი სიცოცხლისაკენ... შიშიც (რაც არ უნდა ძლიერი იყოს ადამიანი, ქვეცნობიერად მაინც...) ეგზისტენციალური... შიში ამ სილამაზის ვერ გამეტების გამო. ამ შემთხვევაში არა აქვს მნიშვნელობა, ვინ, რომელი ეროვნების (რომელი მხარე) იქნება ამ ფიქრების უკან – მდინარის გამოღმა თუ გაღმა ნაპირის ავტომატიანი, სანგარში

ფიქრისთვის მოცლილი „ბოევიკი“. ირონიულია ადგურ ა-ს დამოკიდებულება ამ ომისადმი, შეიძლება ითქვას, ზოგადად – ომისადმი. „ბუთქ-ქუხილი“, – ასე არქმევს ის ამ სიტუაციას. შედარებისათვის სკაბრეხს იყენებს და თხრობა გრძელდება შესაბამისი ირონიით: „ამ დროს, პარალელურად, შორს, სოხუმის შემოგარენთან, სადღაც კელასურთან, იბუთქა-იქუხა, იქნებ ასე – ბუთქ-ქუხილი“ ატეხა (ჰო, ჭეშმარიტად ასე აჯობებს, ეს სიტყვა უკეთ გამოხატავს მოვლენის მასშტაბურობას) ქართულმა ჰაუბიცამ, მაგრამ თავის სქელკანიანი და არაპატივმოყვარული თვისების გამო სამყაროსეულ სივრცეს კი არ მიაბუთქუხილა, არამედ – ჩვენს პოზიციებს. კიდევ უფრო ხმიანი ბუთქქუხილით აფეთქდა მისი გამონატყორცილი ჭურვი, რომელიც ქვემო ეშერაში დაასკდა საკუთარ ხმას“... ადგურ ა-სთვის ერთნაირად „ბუთქ-ქუხილია“ გაღმიდან თუ გამოღმიდან დაქუხებული ბრძოლის ხმები. `მრავალკალიბრიანი და მრავალმიზნიანი ქუხილის ხმებში ჩამეძინაო“, – ასე დაასრულებს ღამის ტექსტს („დღისით ძალიან ადვილია გულგრილად უყურო ყველაფერს, ღამით კი სულ სხვა საქმეა“, ე. ჰემინგუეი, „აღმოხდების მზე“).

ბესლანი ცდილობს, ჩაწვდეს, გაიგოს, დაასრულოს დღიურის ფრაგმენტული სიტყვების „აბდაუბდა“. „აბდაუბდა“ უნდა დალაგდეს და სათქმელი გარკვეულად ითქვას, ადგურ ა. თავისი სულის ტკივილად და გულისთქმად უნდა აქციოს, ჩამოაშოროს ჭორი და ჭუჭყი მის სახელს, რომ მისი სიკვდილი უაზრობად და მხოლოდ აფექტად არ დაასკვნან. ავტორის მიზანია, საბოლოოდ მაინც კარგად გააცნობიერონ ყველაფერი, მით უმეტეს, „გულგრილმა თანამოქალაქეებმა (სოხუმელებმა), რომელთა აზრები ისე გავდნენ ერთმანეთს, როგორც ორი მიცვალებული“. ყველასთვის გამოცანად რჩებოდა, რატომ ჩაიდინა ადგურ ა-მ ეს, რატომ აირჩია სიკვდილის გზა. მის ბოლოდროინდელ შინაგან ფორიაქსაც იხსენებდნენ... ან, უბრალოდ, დაიღალა და სულის მოთქმა სჭირდებოდაო, თუნდაც – ერთი კვირით. ვერ გაუძლო, რკინისა ხომ არ ოყო და ა.შ. ზოგნი ანაშას აბრალებდნენ, რომელსაც ადგურ ა. ხარბად ეტანებოდა, პულსის დაკარგვამდე ბოლდებოდა“, მაგრამ ყველანი აღიარებდნენ, რომ ის საკუთარი ნებით ავიდა მიწაყრილზე და შუბლი ტყვიას მიუშვირა. აქ ავტორი წარსულში ბრუნდება და იხსენებს დაღუპული ახალგაზრდის, ადგურ ა-ს,

უკმაყოფილებას სოხუმელების მიმართ, განსაკუთრებით, ადგილობრივი ჩინოვნიკების ცხოვრების ინტერესებისა და მათი „აღმაფრენის მიზეზებს“, რომელთაც არავითარი ღირებულება არ ჰქონდათ. მიხრობელიც უერთდება მის კრიტიკულ დისკურსს. წარმოსახვითთვალს გადაავლებს ახლო წარსულის მრავალფეროვან, მრავალტომობრივ „მოფუთვულ თე პუბლიკას“, სოხუმის მჭიდროდ შემოჯარული გორაკების ხასხასა სიმწვანეს და, ამ გადასახედიდან, ცდილობს იყოს რეალისტი, თვითკრიტიკულიც: „ასე ვიჭყლეტდით ტვინს, მაგრამ მაშინ გვეჩვენებოდა, რომ ჩვენი თავდავიწყებული მსჯელობები გვამართლებდა და ასე თავხედურად და უცერმონიოდ ვაკრიტიკებდით ყველას – დიდსა თუ მცირე ავტორიტეტებს“.

როგორ ხედავს (როგორ ინახავს მეხსიერება) მწერალი ომისდროინდელ სოხუმს, მთელ საომარ ტერიტორიას და როგორ აფასებს იმ ავანტიურას, რომელიც აფხაზეთის ომის სახელით დარჩა ქართველთა და აფხაზთა უახლეს ისტორიაში. ეს ე.წ. ავანტიურა არ ყოფილა ცალმხრივი. სამეგრელოს ომის გავლით, ის აფხაზეთს მოედო და იქაც მზადყოფნაში დახვდა ნაღმი... პატივს ვცემთ ავტორის ფრთხილ დამოკიდებულებას მოვლენებისადმი და შევეცდებით, შეძლებისდაგვარად, ასევე მოვეკიდოთ ძალზე სენსიტიურ ფაქტებს, რომლებსაც გვათავაზობს მწერალი და კომენტარი, ხშირ შემთხვევაში, მკითხველზეა მინდობილი. იგი განსაკუთრებულად არაფერს უსვამს ხაზს ისე, რომ ამკარად იგრძნო მხარე, მოწინააღმდეგე, მტერი, იგივე აფხაზი, სიძულვილით აღვსილი... ნიშნისმომგების პოზაში.

წიგნის პირველი შემფასებელი რუსული კრიტიკა იყო და არ დაავიწყდათ, ეთქვათ, რომ იგი ამკარად გამოხატავდა ქართველების სიძულვილს. რა თქმა უნდა, ომში მოწინააღმდეგე არავის უყვარს, მაგრამ ოდნავ დაკვირვებული მკითხველისთვისაც კი ცხადი იქნება, რომ ამგვარი დასკვნისთვის რომანში ხელჩასაჭიდს და განსაკუთრებულს ვერ ნახავთ. არის ერთი ჩანართი: ბესლანი ომამდე სოხუმში ქირით ცხოვრობდა მოხუცებულ წყვილთან: ქმარი – მეგრელი, ცოლი – აფხაზი, ბაბცა. ომის დროს ბესლანმა შეიარა ცოლ-ქმართან. როგორც მწერალი აღნიშნავს, მშობლიურ ენაზე ლაპარაკს მონატრებული „ჭკუამოკლე, სულელი ბებრუხანა აფხაზურად საუბრისას ყოველი სიტყვის შემდეგ ოხრავდა და

ხვწმოდა, თან შეუსვენებლად წყევლიდა ქართველებს“. ალბათ ეს იყო ის, რამაც რუსულ კრიტიკას (კრიტიკოსს) მისცა საბაზი განუზოგადებინა შეშინებული მოხუცის წყევლა. საგულისხმოა ისიც, რომ მათი შვილები საგანგებოდ არიან გადასული საქართველოში. „აფხაზების წინააღმდეგ არ იბრძოდნენო, ღმერთო, დაგვიფარე ასეთი ცოდვისგან. ისინი საქართველოში იმყოფებიან, რათა აქ ვინმეში არ შეეშალოთო. ისინი მაშინათვე დაბრუნდებიან, როგორც კი ეს გაუგებრობა დამთავრდება და ცხოვრება კვლავ ძველ კალაპოტს დაუბრუნდებაო. დიახ, ეს მათთვის გაუგებრობაა, ვერ აღიქვამენ, როგორც ომს. ცოლ-ქმარს დაცვა სჭირდება, მოროდორებისგან დაცვა. მოხუცებმა ბესლანს მეზობლის სახლი შესთავაზეს. იმის პატრონი ომობდა და აწი, როგორც საკუთარ ყურს, ისე ვერ ნახავს აფხაზებსო. ჩანს, ის მეზობელი ქართველია. ბესლანი არ გადადის იმ სახლში. ნათესავთან გადაბარგდება. ამაშიც გამოიხატა პერსონაჟის, ავტორის დამოკიდებულება იმ ფაქტებისადმი, რომელიც, მისი აზრით, იყო „უკიდეგანო სირცხვილი“, „მასიური სიგიჟე“. უკიდეგანო სირცხვილად ომს მიიჩნევს, მასიურ სიგიჟედ – მოროდორობას, რომელსაც ხელს არც ერთი მხარე არ აკლებდა: „უკაცრიელობა, ნანგრევები, ძარცვა, – სოხუმი მოროდორებმა დატბორეს, მაგრამ უკვე საკუთარმა მოროდორებმა. ისინი ქალაქში მოწინავე რაზმებს შემოჰყვნიენ და მაშინათვე დაიწყეს ძარცვა-ყაჩაღობა, თითქოს მტრის ქალაქში შესულიყვნენ. ზოგიერთი მათგანი დაფოთლილ სამხედრო ფორმას აფარებდა თავს, ავტომატომარჯვებულ უმრავლესობას კი სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. ზოგი ფეხით, ზოგიც მოფახფახე, ძველი მანქანით დაწრიალებდა ქუჩებში და ნადავლის მოხელთებას იოლად ცდილობდა: ეპატრონებოდა ბინებს, ეძებდა ძვირფასეულობას, გარაჟებში ჩაკეტილ მანქანებს... ის მოროდორები და ბანდიტები კი, რომლებიც თავს ამაყად საქართველოს სახელმწიფო ჯარის მებრძოლებს უწოდებდნენ, ძირითადად აფხაზებს ძარცვავდნენ და კლავდნენ. ასევე არ ინდობდნენ აფხაზების თანამგრძნობებს. ახლა კი, ომის დამთავრების შემდეგ, სხვა, ჩრდილოეთის ტალღამ გადაუარა ქალაქს, ახლა ქართველებს დაერივნენ, მათ სახლებს, მათ ბინებს, მაგრამ მოროდორთა გაუმადლობა მართლაც – უსაზღვრო, ხოლო კუჭი – უძირო აღმოჩნდა და ისინი განურჩევლად ყველას ძარცვავდნენ.

კიდევ უფრო შემზარავია მკითხველისთვის და ავტორისთვის ის, რომ ყოველივე აღწერილის შემდეგ სცენაზე ნამუსრევის მაძიებელი, მშვიდობიანი მოსახლეობა დაემატა, „ამაზოზენი სიხარბის სიგიჟემ, მარცვა-გლეჯის ავადმყოფობამ, ბევრი შეიპყრო. სახლში ეზიდებოდნენ – მაგიდებს, სკამებს, მაგიდის ნათურებს, საბნებს, ზეწრებს... ქუჩებში „ტროფეებით“ დატვირთული დროგები და საზიდრები დახრიგინებდნენ. ვიღაც „მონაპოვარს“ გზადაგზა იზომებდა“.

კიდევ ერთი მწარე სინამდვილე: „ჭიშკრებსა და კარებზე ეწერა გამარჯვებული და ამაყი – „დაკავებულია“ (და დაკავებულია დღემდე სახლები იმ ქართველებისა, რომლებიც დღეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არიან გაფანტულები, ბევრი მათგანი ჯერაც უბინაოა და იმედით გაჰყურებს მომავალს აფხაზეთისაკენ...). ამას უკვე ავტორი ყვება, ამჟამად ის ბესლანის, როგორც მთხრობელის, როლს ვერ ითავსებს, რადგან სწორედ ბესლანზე უნდა თქვას: „ბესლანი სახლიდან არ გამოდიოდა, რათა არ ენახა ეს უკიდევანო სირცხვილი“.

ავტორი – მთხრობელი ცდილობს, შექმნას ცნობიერების აქტივობის მხატვრულად განზოგადებული სურათები, ქაოტურად მიმოქცეულ აწმყოს, წარსულსა და მომავალს შორის. ასეთ დროს მისი სათქმელი, მისი შინაგანი მონოლოგები გადმოცემულია ცნობიერების ნაკადის სახით. ნარატივის ემოციურობა, მძიმე შთაბეჭდილების არამწყობრი (მაინც ლოგიკას საკმაოდ დაქვემდებარებული) გადასვლები ფაქტებიდან ფაქტებზე, ზოგან – თხრობის დინამიკა გამოხატულია მოშლილი პუნქტუაციით. ეს მიზანმიმართული ცდა მეტ ექსპრესიულობას სძენს მწერლის სათქმელს.

მოულოდნელად შემოჭრილი ფიქრებით მწერალი პერსონაჟის განცდებსაც წარმოაჩენს და საგულისხმო კითხვის ნიშნებსაც გაახმიანებს (შიგნით, გულის სიღრმეში). მსგავსი ნაკვეთი მრავალია მთელ ტექსტში, თუნდაც ასეთი: მოქანცული, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი, შემთხვევას მინდობილი ბესლანი (ეს ჩვევა ომიდან შემომრჩაო), ყვახანისკენ მიდის, სადაც „ძველი, სალაყბო თემები დახვდება: რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ქართველები? როგორ მოიქცევიან რუსები? ნუთუ სანდონი არიან რუსები და კვლავ არ გაგვიდიან“ და სხვ. მსგავსი კითხვები ჰქონდა ადგურ

ა-საც: „რაც გარშემო ხდება, ვიღაცის მიერაა გამოგონილი, არარეალურია; რომ ჩვენ ყველანი ვიღაცის მასიური შთაგონების მსხვერპლნი ვართ; რომ ვიღაცის ნებამ თავისი, ჩვენთვის ჯერ უცნობი მიზნების მისაღწევად დაგვიმორჩილა... ტანკსაწინააღმდეგო თხრილებსა და სანგრებში ვყრივართ და ხელში ისეთი ხელსაწყოები გვიჭირავს, რომლითაც შეგვიძლია, ცოცხალი სხეული ისე დავაზიანოთ, რომ მოისხიპება მისი სიცოცხლე. მდინარის მეორე მხარეს, ზუსტად ჩვენსავით შეიყარნენ ისინი, რომელთაც განზრახული აქვთ ყინულისგან ცივი გახადონ ჩვენი სხეულები... ვის რაში სჭირდება ის, რასაც ჩვენ აქ მონდომებით ვაკეთებთ“...

ადგურ ა. დღიურში ჩაწერს, რომ ამ ომში მოკვდება და ტყვია აუცილებლად თავში მოხვდება. ამით ის სიკვდილს ეთამაშება თითქოს. თავს აჯერებს, რომ არ ემინია სიკვდილისა. ის ერთადერთი ატარებს ჩაჩქანს, რკინის თავისქალას, სიმბოლურად იმ ტვირთს, იმ სიმძიმეს, რომელიც ომმა არგუნა. ის დაიღალა ყველაფრით, მოულოდნელად ჩაჩქანი მოიძრო, შიშველი თავით იმ დროს დატრიალდა ბრძოლის ველზე, როცა სნაიპერის ტყვიას უკვე მიზანში ჰყავდა ამოღებული. ეს იყო პროტესტი ჭაბუკისა, რომელიც გუმისთისკენ, იარაღით ხელში, უცებ არ გაქცეულა. ავტომატმომარჯვებული გუდაუთის ქუჩებში გამოჯგიმული დადიოდა, იქ ჯერ არ იყო საომარი სიტუაცია. მისი არხეილობის მიზეზიც ეს იყო. საომრად წასვლა მაშინ გადაწყვიტა, როცა ვიღაც ძამებთან ქალის სიტყვებმა ცივი წყალი გადაასხა: „ომში წადი, უსაქმოდ რას დახეტილობო“... მეორე დღეს წინა ხაზზე აღმოჩნდა. ამით მწერ-რალი ხაზს უსვამს იმას, რომ ამ ომში ყველა დიდი ხალისით არ წასულა. არც ადგურ ა., არც ბესლანი, ალბათ, ბევრი სხვაც. ასეთია ავტორის მიერ დანახული რეალობა.

განხილულმა ტექსტებმა, როგორც „ორი ნაპირის ორმა სიმართლემ“, ნათლად დაგვანახა, რომ მწერლობა, მიუხედავად ექსტრემალური სიტუაციისა, მაინც ახერხებს მოვლენათა ობიექტივაციას, რაც არის კიდევ მისი უპირველესი მისია, ამასთან, ამ ტექსტებში მკითხველს საშუალება ეძლევა, სამომავლო კოორდინაცია დაინახოს.

**Ramaz Chilaia**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## **The Texts of the “Epoch of Changes”**

The fall of the Berlin Wall in 1989, the cast down of the East European totalitarian systems, the breakdown of the Soviet Union – this is just the basis that determined the postmodernist eschatology. In the eighties and nineties of the twentieth century the historical-political discussion and critical narrative became very actual, or it can be said, even popular. Consequently, it is clear that literary processes would not be indifferent to these painful changes.

In the end of the twentieth century Georgian literary processes, notwithstanding some kind of literary crisis, still stand out for their traditional, lasting through many centuries steady experience.

**Key words:** Democracy, Censorship, Democratic Processes.

**რამაზ ჭილაია**

*თბილისი, საქართველო*

*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **ცვლილებათა ეპოქის ტექსტები**

ყოველგვარი ტაქსონომია, ზოგადად, პირობითია და ყველა „იზმი“ თავდაპირველად „მუშა“ ტერმინად იბადება, გარკვეულ მახასიათებელთა მინიშნებით. თუმცა, მავან ავტორიტეტულ მკვლევართა ზეგავლენით თუ პიიტეტით, არაერთმა ცნება-ტერმინმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი სამეცნიერო ლიტერატურაში და დღესაც სიტყვახმარებაშია.

ერთდერითი, რასაც ლიტერატურა ვერ ეგუება, კლასიფიკაციაა! ამა თუ იმ ლიტერატურული ფაქტის სახელდება თუ დეფინიცია მეორე პლანისმიერია. უმთავრესი თავად ლიტერატურული ტექსტია; ხოლო რა სახელს მიუსადაგებენ მას – „ტოტალიტარულს“, „ანტიტოტალურს“, „პოსტს“ თუ „პრეს“, ეს როგორც აღვნიშნეთ,

ე.წ. „მუშა“ ტერმინებია. ზოგჯერ, ერთი და იგივე ან მსგავსი ლიტერატურული პროცესი, სხვადასხვა კრიტიკულ-ესთეტიკური დაჯგუფების მიერ განსხვავებულადაა მარკირებული.

The paper is marked by the attempt to re-read and thoroughly analyze Osip Mandelstam's essay „Two words about Georgian Art“.

Mandelstam visited Georgia three (1920,1921, 1930) times and dedicated to it several essays, five of which were published in communist

press. All of them comprise sudden attack and biased criticism against political and cultural orientation of Democratic Republic of Georgia (1918-1921), which did not go without an aggressive response of T.Tabidze. Researchers (the Georgians among them), although, had always kept way from the detailed analyze of Mandelstam's dubious passages and prefer to maintain, at least, political correctness.

As the research has shown, both – the common pathos and some specific toposes of an essay are saturated with the great-power chauvinism, anti-European and pro-soviet spirit.

**Key Words:** Mandelstam, T. Tabidze, Georgia, Great-power chauvinism, anti-European attitudes

## **გრიგოლ ჯობაძე**

*საქართველო, თბილისი*

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **არალიტერატურული კონფლიქტი (ტ. ტაბიძე VS. ო. მანდელშტამი)**

ოსიპ მანდელშტამის ნარკვევის – „ზოგი რამ ქართულ ხელოვნებაზე“ – არათუ ზოგადი პათოსია ველიკოდერჟავული, ანტიევროპული და პროსაბჭოური სულისკვეთებით დანადმული, არამედ – კონკრეტული ტოპოსებიც, რის დადასტურებასაც შევეცდებით (ზოგი რამ ქართულ ხელოვნებაზე).

ნარკვევი ერთი უპასუხისმგებლო განცხადებით იწყება: **რუსულ პოეზიაში არსებობს ქართული ტრადიცია.**

არავითარი ქართული შემოქმედებითი ტრადიცია არც მეცხრამეტისა და არც მეოცე საუკუნის რუსულ პოეზიაში არ დამკვიდრებულა, და მანდელშტამის სეფესიტყვა, რბილად რომ ვთქვათ, სიცრუეა და თანაც – სრულიად უმიზნო და გაუმართლებელი.

ან იქნებ პოეტი იმ „ტრადიციას“ გულისხმობს, რომ რუსი პოეტები უნებლიეთ მოაწყდებოდნენ ხოლმე ე.წ. `თბილ ციმბირს“ – კავკასიას და თავიანთ ლექსებში ბინას უძებნიდნენ მშვენიერ ქართულ ბუნებას, მშვენიერ ქართულ ღვინოსა და კერძებს, რასაც მანდელშტამი „ყოფის ზედაპირულ ეგზოტიკას“ ეძახის, მშვენიერ



ქართველ ქალებსა და მხდალ ქართველ მამაკაცებს («И дикий крик и стон глухой Промчались в глубине долины – Недолго продолжался бой: Бежали робкие грузины!», М.Ю. Лермонтов «Демон»)? ნუ-თუ ეს არის „ქართული ტრადიცია“, რომელიც „რუსულ პოეზიაში“ დამკვიდრებულა და რომელმაც ბალღივით უნდა აგვაჭყლოპინოს?

რაგვარადაც ოცობოდო და მყიფეა ეს ფრაზა, იმგვარადვე ნაძალადევი ლირიზმით გამოირჩევა შემდეგი წინადადება, რომელიც პუშკინის არასწორად მოტანილი ციტატით მთავრდება:

**„გასული საუკუნის რუსი პოეტები როცა საქართველოს ეხებიან, მათი ხმა განსაკუთრებულ ქალურ სირბილეს იძენს და თვით ლექსიც თითქოს რბილ, ტენიან ატმოსფეროში იძირება: «На холмы Грузии легла ночная мгла» (უნდა იყოს: «На холмах Грузии лежит ночная мгла», გ.ჯ.).**

საქმე ის გახლავთ, რომ პუშკინის ამავე სათაურის ლექსი საქართველოს კი არა, რუსეთში დარჩენილ სატრფოს (სავარაუდოდ, ნატალია გონჩაროვას) ехеба, მანდელშტამისეული „საქართველო“ კი მხოლოდ ანტურაჟია: გორაკები, რომელთაც ღამის წყვდიადი დასწოლია, და მქმინავი არაგვი. აი, თურმე რა ანიჭებს რუსი პოეტების ხმას განსაკუთრებულ ქალურ სირბილეს და რა ძირავს ლექსს რბილ, ტენიან ატმოსფეროში!

ახლა – იმ ფრაზის თაობაზე, რომლის სინტაქსიც, სემანტიკაცა და კატეგორიზმიც, ძირითადად, მანდელშტამის „ფილოლოგიური გარჯის“ ნიმუშის – ვასილი როზანოვის (1856-1919) პოეტ ნიკოლაი ნეკრასოვის (1821-1877) შესახებ გამოთქმული აზრის ან ექოა, ან – ციტაცია (როზანოვი).

აი, რას წერს როზანოვი თავის ექსპერიმენტული ფორმის – „წამომახილთა, ამოოხვრათა, ნახევარაზრთა და ნახევარგრძნობათა“ – კრებულში „განმარტოებული“:

**„ისეთი, როგორც ნეკრასოვის ეს ორი სტრიქონია – «Еду ли ночью по улице темной, — Друг одинокий!»– ჯერაც არ არსებობს მთელ რუსულ ლიტერატურაში.**

მართალი გითხრათ, როზანოვის ამ შეფასებას ვერც წავაწყდებოდით, რომ თვითონ მანდელშტამი არ „უტევდეს“ მას წერილში „სიტყვის ბუნების შესახებ“. მანდელშტამი ამტკიცებს, როზანოვი ფილოლოგია და არა – ლიტერატურის კრიტიკოსიო.

აი, ეს პასაჟი: „კრიტიკოსს უნდა შეეძლოს თემების შთანთქმა, განზოგადებისას ძირითადის მიკვლევა. როზანოვი კი თავით ფეხამდე ისე ეფლობა ნებისმიერი რუსი პოეტის სტრიქონში, როგორც ნეკრასოვის პეკარში ჩაეფლო. «Еду ли ночью по улице темной» – პირველი, რაც თავში მოუვიდა ღამით ეტლში მჯდომარეს. როზანოვის შენიშვნა – საეჭვოა, ასეთი რუსული ლექსი მთელ რუსულ პოეზიაშიც კი მოიძებნოსო (.

როგორც ხედავთ, ციტირებისას აქ მანდელშტამიც „სცოდავს“, მაგრამ ამჯერად ეს სრულიად არ მეჩვენება საძრახის საქციელად, რადგან ძალიან ჰგავს ქართულ ხელოვნებაზე დაწერილი ნარკვევის ამ ადგილს: „აღბათ, მთელ ქართულ პოეზიაშიც კი არ დაიძებნება“, და ა.შ.

მეტიც: წერილის დასაწყისშივე მომთენთავად შემოპარებული მაქსიმა პირწმინდად იმპერიული და, მეტიც: ყალბია! ვგულისხმობ ფრაზას: „აღბათ, მთელ ქართულ პოეზიაშიც კი არ დაიძებნება ისე ქართულად მთვრალი და ისეთი ქართული სურნელით გაჯერებული ორი სტრიქონი, როგორებიც წარმოთქვა ლერმონტოვმა: «Пену сладких вин сонный льет Грузин...»

ჯერ ერთი, მანდელშტამმა არ იცოდა (და შეუძლებელიცაა, სცოდნოდა) „მთელი ქართული პოეზია!“

მეორე, ქართულ პოეზიაში თავისთავად ვერ იქნებოდა რუსულად წარმოთქმული სტრიქონები!

მესამე, მანდელშტამი სრულიად დაუფარავად შენიშნავს, თვით ქართველ პოეტსაც კი (ვთქვათ, მეთორმეტიდან – მეოცე საუკუნემდე!) ვერ დაუწერია აგრერიგად ქართული ორი პეკარიო!

განა გასაკვირი არ არის, რომ ეს ბრალდებად, ცილისწამებად თუ შეურაცხყოფად არც რომელიმე ქართველ პოეტს მოსჩვენებია, არც – ლიტერატორს?

შესაძლოა, მიწყვიტ სხვის ქებას დანატრებული ქართველის სმენა ამ დუბლირებული „ქართულის“ გაგონებას მოეშრბათებინა, მაგრამ მზერას ხომ მაინც უნდა განერჩია, რომ თურმე (მანდელშტამის ტექსტში ეს თავკიდური „აღბათ“ – აღბათ, რევერანსია!) მთელ ქართულ პოეზიაშიც კი არ მოიძებნება იმგვარად ქართულად შექეიფიანებულ-არომატიზებული პეკარები, როგორებიც ესაა (კვლავაც ლერმონტოვის ავტორიტეტმა რომ არ „დაავთორგუნოს“

და „მოგვეთნოს“, ამ სტრიქონებს ქართულად სიტყვა-სიტყვით ვთარგმნით):

„ტკბილი ღვინის ქაფს ძილმორეული ქართველი ღვრის ...“

ნუთუ ეს სტროფი მართლაც ისეთ პოეტურ მიღწევაზე მიგვითითებს, რომ კატეგორიულ განაცხადსაც არ მოვერიდოთ („ალბათ, მთელ ქართულ პოეზიაშიც კი არ მოიძებნება“... და ა.შ.)?

ნუთუ უნატიფეს ესთეტ მანდელშტამს კარგი სტრიქონების ამოცნობა გაუჭირდა, გემოვნებამ უმტყუნა?

ნაკლებდასაჯერებელია.

მგონია, რომ აქ ყველაზე „ქართული“ (სურნელოვანი და ბახუსშეპარული) მხოლოდ ის არის, რომ ქართველი „მთვრალი“, და საკუთარ „დიდებას“ – ქართულ ღვინოს ღვრის...

მაგრამ მანდელშტამი ციტირებისას სცოდავს (საგანგებოდ?):

საქმე ის გახლავთ, რომ მიხაილ ლერმონტოვის მიერ 1841 წელს დაწერილ ლექსში „სჯა-ბაასი“ («Спор») ეს სტრიქონები ასე იკითხება:

«Посмотри: в тени чинары  
Пену сладких вин  
На узорные шальвары  
Сонный льет грузин» (ლერმონტოვი).

ლერმონტოვის სტრიქონები გვამცნობს, რომ ჭადრების ჩრდილში ძილმორეული ქართველი ტკბილი ღვინის ქაფს შარვალზე იღვრის (!).

ნუთუ მანდელშტამმა იმიტომ არ მოიტანა სრულად ეს სტრიქონები, „დაფარული“ არ „გაცხადებულიყო“ და ის, რაც რუს პოეტს აგრერიგად ესალბუნება, სინამდვილეში ქართველის დაცინვა თუ არა, ცალყბა გაკილვა მაინცაა?

ან იქნებ პოეტური პიეტეტიც დაცინვანარევია, და ეს ქართველების (ქართული კულტურის) სიყვარულის რუსული ვერსიაა?

იქნებ ლერმონტოვის ეს სამაგალითო ლექსი (სრული ვარიანტი) მაინც გულისხმობს იმგვარ „ქართულად მთვრალ“ და „ქართული სურნელით გაჯერებულ სტროფებს“, რომელთა დაძებნა მთელ ქართულ პოეზიაშიც კი შეუძლებლად ეჩვენა მანდელშტამს?

ვნახოთ:

ერთმანეთს მთები – ყაზბეგი და იალბუზი ეკამათებიან. იალბუზი აფრთხილებს ყაზბეგს, რაკი ადამიანებს დამორჩილდი, მალე

შენს შეუვალ სხეულს გამოშიგნავენ, შენი წიაღიდან ბრინჯაოს და ოქროს ამოსრუტავენ, შენს ფრიალოებზე გზებს გაჭრიან, აღმოსავლეთის გემინოდესო. ყაზბეგი უპასუხებს, აღმოსავლეთი არ მაშინებს: ჭადრებქვეშ ბახუსშეპარულ ქართველს ღვინო შარვალზე ეღვრება, ფერად ტახტზე თრიაქით გაბრუებული თეირანი თვლემს, იერუსალიმის თხემთან ღვთის მიერ გადამწვარ ქვეყანას ენა ჩავარდნია, მკვდარია, ყვითელი ნილოსი სამეფო აკლდამებსდა რეცხავს, ცაში ვარსკვლავებსგამოკიდებული ბედუინი კი სიმღერით გარდასულ საქმეთა საგმიროთ იხსენებსო. მოკლედ, ჩაჩანაკ აღმოსავლეთს ჩემი დამორჩილება არ უწერიაო, – გულზვიადობს ყაზბეგი.

თავს წინასწარ ნუ იქებ, ჩრდილოეთით გაიხედეო, – ეუბნება „ყოვლისმცოდნე“ იალბუზი. ჩრდილოეთიდან რუსის ჯარი მოდის. შავნაღვლიანი ყაზბეგი მომხდურთა დათვლას თავს რომ ვეღარ გაართმევს, ღრუბლებს ქუდად ჩამოიფხატავს და საუკუნოდ დადუმდება (ლერმონტოვი).

რამდენად უინტერესოც უნდა იყოს ლერმონტოვის პოეტური ინტენცია (წინასწარმეტყველებაა ეს, სინანული, თუ სიხარულის ყიჟინა?!), მხატვრული (პოლიტიკური?) რეალობა ასეთია: დაჩაჩანაკებული, ღვინითა და თრიაქით გაბრუებული აღმოსავლეთი ბერწია, უმოქმედო და უსაფრთხო. ის, ვინც ყაზბეგიც კი დააფრთხო და შეაშინა, ჩრდილოეთი ანუ რუსეთია.

საშურია იმის დადგენა, მანდელშტამს რად დასჭირდა ამ ლექსის ინკორპორაცია და თანაც – ასეთი კატეგორიული შლეიფით? თავს ავარიდებ იმპერატიულობას (ექვეშეუვალი საბუთი არსად მოიპოვება!) და ვივარაუდებ:

მას უნდა გაემართლებინა თავისი თეზისი, რომ საქართველომ იდუმალად შეაყვარა თავი რუს პოეტებს (მანდელშტამის ნარკვევში ამგვარი საქართველოს პირველი განსახიერება ძველ, დარდიან საქართველოზე მომღერალი ქართველი მზეთუნახავია («Не пой, красавица, при мне Ты песен Грузии печальной»), რომლის ჰანგებიც პუშკინს სხვა ცხოვრებას, სხვა ქალს და რუსეთს აგონებს, მეორე კი – ღვინომორეული, მთვლემარე ქართველი, რომელსაც ნუნუა ეღვრება), და ორი პირველხარისხოვანი რუსი პოეტის (მოკლული ავტორიტეტების) სტროფები მოიტანა საბუთად – რაც გაახსენდა და როგორც გაახსენდა! ეს ჰგავს მის უაპელაციო

საქციელსა და განცხადებებს: თქვა, თითქოს დაასაბუთა კიდეც, და თავსატეხად ჩვენ დაგვიტოვა! დიახ, ზუსტად ასე მგონია, მაგრამ ისიც მეჩვენება, რომ რუსი პოეტის მიერ შემჩნეული ქართული ეროტიკის ორი მარკერი ქალია და ღვინო. კაცმა რომ თქვას, ვინ იტყოდა უარს ამგვარ ეროტიზმზე? არც არავინ. არც რუსები (რუსი პოეტები) ამბობენ! ცალკე აღნიშვნას იმსახურებს მეორე ტოპოსი, რომლის ხილვაც ქართველებს იმიტომ ეამათ (ყოველ შემთხვევაში, საპირისპირო აზრს არსად გადავწყდომივარ!), რომ ის მათი ეროვნული სიწმინდეა და, ამავე მიზეზით (როგორც ყოველთვის!), სიფხიზლე მოუდუნდათ. ეს ამბივალენტური ტოპოსია, მთავარმართებელ ვორონცოვს ჰგავს (და არა ვორონცოვ-დამკოვს, როგორც მანდელშტამს ჰგონია): თან ტკბილია და თან – მწარე, თან სიმართლეა და თან – სიცრუე... ვგულისხმობ ფრაზას: ამ მითის შუაგულში თამარი დგას, რომელიც მოსდევს მანდელშტამის მიგნებას, რომ პუშკინისეული ქართული მითი ლერმონტოვმა მთელ მითოლოგიად გარდაქმნა.

პუშკინისეული ქართული მითი... მართლაც მითია, ყოველ შემთხვევაში, იმ ლექსის მაგალითით მაინც, რომლის ერთ პწკარსაც საკმაზად იყენებს მანდელშტამი:

„თბილ ციმბირში“ მყოფი პროტაგონისტი უსმენს ქართველი მზეთუნახავის სიმღერას „სევდიან საქართველოზე“, რომელიც მას ახსენებს „სხვა ცხოვრებას და შორეულ ნაპირს“. მეორე სტროფში „სასტიკი ჰანგი“ პროტაგონისტს წარმოუსახავს სტეპს, მთვარიან ღამესა და შორეული, საბრალო ქალწულის ნაკვთებს. ქართველი ქალის ხილვა წამით ავიწყებს საყვარელ და საბედისწერო აჩრდილს, მაგრამ ქართული სიმღერა ხელახლა აცოცხლებს მას, და ეს პროტაგონისტს ასევდიანებს.

აი, ასეთია ამ „მითის“ არაპოეტური ნარატივი. ლექსის „ქართველი მზეთუნახავი“ ნამდვილი მაცდუნებელია, ლამის ლოტოფატა ქვეყნის პრინცესა. მისი ხილვა რუს ოდისევსს ყველაფერს ავიწყებს: მისი ჰანგების „დაგემოვნება“ ახსენებს, რომ შორს სამშობლოა და საბრალო სატრფო. პუშკინთან დაწყვილება მანდელშტამს უფრო ათამამებს და საქართველოს ნამდვილ მაცდურად წარმოადგენინებს, რომლის ინსტრუმენტებიც ერთგვარი ეროტიკა და თრობაა. ეს იზიდავდაო რუს პოეტებს.

მაშ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პუშკინისეული „ქართული მითის“ რუსეთს იზიდავს საქართველო, აცდუნებს მას და სამშობლოს ავიწყებს. ვინ არის დამნაშავე? ცხადია, საქართველო! მისი ეროტიკული და მომთენთავ-მათრობელი კულტურა!

მიხაილ ლერმონტოვმაც ასეთი მითებისაგან აკინძა ის „ქართული მითოლოგია“, რომლის მთავარი პერსონაჟიც, არც მეტი, არც ნაკლები, თამარია.

ამ სახელის მქონე ორ ფიგურას მაინც იცნობს ლერმონტოვის შემოქმედების მცოდნე კულტურული მკითხველი. ერთი მათგანი პოემა „დემონის“ გმირია, მეორე კი ლექსისა – „თამარი“. მიუხედავად იმისა, რომ თამარი ორივეგან საბედისწერო და მაცდურია, მგონია, რომ მანდელშტამისეული დისკურსის თამარი ლექს „თამარის“ თამარია. ეს იოლად დადასტურდება.

გავიხსენოთ ამ ლექსის ნარატივი (მით უფრო, რომ „თამარი“ ბალადაა და ამის საშუალებას იძლევა):

დარიალის ჩაღრმავებულ ვიწრობებში, სადაც წყვილია და შიგ მოფუთფუთე თერგი, შავი კლდე მდგარა, კლდეზე კი – შავად მოელვარე კოშკი. აქ უცხოვრია ანგელოსივით მშვენიერ და დემონივით ვერაგ დედოფალ თამარს. მთელ ამ წკვარამში მხოლოდ მისი კოშკი ციალებდა შუქურასავით, მგზავრს თვალს რომ სჭრიდა და მოსასვენებლად მიუხმობდა. მაცდუნებელი იყო თამარის ხმა: ვნებიანიც და მბრძანებლურიც. ირანული მითოლოგიის პერსონაჟ პერის – ქალწულად გარდასახული ფერიის მსგავსი არსების – ხმაზე, თამარი რომ გამოსცემდა, კოშკისკენ მიეშურებოდა ყველა: მეომარიც, მწყემსიც და ვაჭარიც. კარს პირქუში საჭურისი უღებდათ. სარეცელი გაეშალათ. თასში ღვინო შუშხუნებდა. საოცარი ხმა ედებოდა არემარეს: თითქოს ასი ვნებააშლილი ჭაბუკი და ასი ქალწული ერწყმოდა ერთურთს. დილით ისევ სიჩუმე და წყვილია ისადგურებდა. დუმილს არღვევდნენ თერგის ტალღები, კოშკიდან გადმოყრილთა ცხედრებს რომ მიაქროლებდნენ. იმ დროს სარკმელში რაღაც იელვებდა თეთრად და თითქოს პატიების თხოვნაც გაისმოდა. ისეთი ნაზი იყო ეს გამოთხოვება, ისე ტკბილად ჟღერდა ეს ხმა, თითქოს აღმაფრთოვანებელ შეხვედრასა თუ ალერსიან ტრფიალს ჰპირდებოდა ვინმეს (ლერმონტოვი).

რუსულ და ქართულ სალიტერატურო წრეებში უკვე ადარც არავინ დავობს იმაზე, რომ ლერმონტოვის პოემა „დემონის“ სა-

ბოლო რედაქციაზე გადამწყვეტად იმოქმედა ლერმონტოვის ყოფნა კავკასიაში და ქართულმა თქმულებებმა, ლეგენდებმა და სიმღერებმა, კავკასიელთა და, კერძოდ, ქართველთა ყოფისა და წეს-ჩვეულებათა გაცნობამ.

მაგ., ის, რომ პოეტმა „დემონის“ პერსონაჟ ქართველ ასულს „თამარი“ უწოდა, ფოლკლორულ გადმოცემებს განუპირობებია. ამ გადმოცემებს შემოუნახავთ ხან დევის მაცდუნებელი მზეთუნახავი თამარი, ხან თამარ დედოფალი, ხან ყაჩაღთა მეთაური, ვინმე დარია, ხან ბნელი ძალების პროტეჟე – დედოფალი, ჯადოქარი თუ თავადის ასული დარია და ა.შ. (გაჩეჩილაძე 1948; ხახანოვი 1892:44-45; ზუბოვი 1834:4; წერილი ბულგარინისადმი 1828:23; გამბა 1826:21-22; მურავიოვის ჩანაწერები 1886:461; ჩანაწერები ასტრახანიდან კავკასიასა და საქართველოში გამგზავრებისას 1829: 105; პუშკინი; ანდრონიკოვი; ყუბანეიშვილი 1969:3-11).

დღემდე ვერავის გაურკვევია, რატომ დაუკავშირა ლერმონტოვმა ბალადისეული ზნედაცემული და ვერაგი დარია ისტორიული დედოფლის – თამარის სახელს!

ისიც მწელი სათქმელია, რამდენად აქცევს ყურადღებას პოეტი ისტორიულ სიმართლეს (მით უფრო, თუ ეს მისი ქვეყნის ისტორია არ არის!), როცა ესთეტიკური სინამდვილის შექმნას მიეღტვის: ლერმონტოვის პოეტური არსება მოიხიბლა შთამბეჭდავი ლეგენდის სულისკვეთებით და უცნობი დარია ყველასთვის ნაცნობ თამარად გარდასახა!

ლერმონტოვის მიერ შეთხზულმა „მითოლოგიამ“, რომლის ცენტრშიც თამარი იდგა, დამთრგუნველად და არაერთგვაროვნად რომ იმოქმედა რუსული ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე, ამის დასტური თვით მანდელშტამი და მისი 1922 წელს გამოქვეყნებული წერილია.

მაგრამ გამახსენდა ვლადიმირ მაიაკოვსკის 1924 წლით დათარიღებული ლექსიც – „თამარი და დემონი“. მაიაკოვსკი ამ დროს, როგორც ამბობენ, სტაჟიანი ფუტურისტია, და ისიც სხვებივით აცხადებს, რომ თანამედროვეობის ხომალდიდან პუშკინი და სხვები უნდა მოისროლონ. ამდენად, გასაკვირი არცაა, რომ არც მან დატოვა „უყურადღებოდ“ ლერმონტოვისეული ქართული მითოლოგია, და პაროდია შემოგვთავაზა:

პროტაგონისტს სასაცილოდ არ ყოფნის არც თერგი (ის ნაპირიდან აფურთხებს მასში), არც პირქუში კოშკი, ზეცის საფეთქლისკენ რევოლვერად რომ აღერილა, არც იმდროინდელი რუსული ლიტერატურის საკულტო სახელები: პოეტი სერგეი ესენინი (1895-1925), განათლების პირველი სახალხო კომისარი ანატოლი ლუნაჩარსკი (1875-1933), ლიტერატურათმცოდნე პეტრე კოგანი (1872-1932)... ერთი მათგანი (ესენინი), ხულიგნობისა და დებოშისთვის ხშირად რომ დაუკავებიათ, თერგით აღრი-ალეებულა («шумит»); ზორჯომში დასასვენებლად გამგზავრებულ მეორე მათგანს (ლუნაჩარსკი) თერგი ასეთად თითქოს თვითონვე „წარმოუქმნია“ («организовал»); მესამისთვის (კოგანი), მთელი რუსული ხელოვნება რომ „ემორჩილებოდა“, ეგებ, ამ კოშკსაც უნდა მოეხარა ქედი... ამის მოფიქრალ პროტაგონისტს ჯერ, ალბათ, ის გაახსენდა, რომ ქართველია («Только нога ступила в Кавказ, я вспомнил, что я – грузин»), მერე კი იმან გააგულისა, რომ ეს „ველური ბუნება და კლდის შვერილები“ («дикость и выступления») გაცვალა დიდებაზე, რეცენზიებსა და დისპუტებზე. თავისი „საფირმო“ ხმა (გამორჩეული „სამაგელი კილოთი, მაგრამ შმაგი ძლიერებით“) თამარისთვის მიუწვდენია და დედოფლისთვის პირში მიუხლია: არაფრად მიღირს («начхать»), დედოფალი ხარ თუ მრეცხავი, მრეცხავისგან უფრო მეტი სარგებელია, ვიდრე შენგანო. დედოფალი ხანჯალს დასწვდომია, მაგრამ პროტაგონისტს ჩვეული „მეთოდი“ გამოუყენებია («вы ж знаете как...»), თავაზიანად გამოუდია ხელკავი და „კაცურად“ უთქვამს: ქალბატონო, რას თუხთუხებთ ორთქლმავალივით? («Чего кипятитесь, как паровоз?»), ვინმე ლერმონტოვისგან მსმენია თქვენზე, სხვას ვერ ნახავ მისდარ ვნებიანსო. მეც სწორედ ასეთად წარმომედგინეთ. სიყვარულის ლოდინით გული გადამელია, 30-ს ვარ, მოდი, უბრალოდ ვეტრფიალოთ ერთმანეთს ისე, რომ თვით კლდეც ბუმბულის სარეცლად გაგვეგოსო («Полюбим друг друга. Попросту. Да так, чтоб скала распостелилась в пух»). შემდეგ პროტაგონისტი ჰპირდება სატრფიალოდ შეთვალეებულ ბანოვანს, რომ მის თავს ვერც ეშმაკს დაუთმობს და ვერც ღმერთს, მას ვერც დემონი შეეტოქება – ეს ბებერი მითოლოგიური ფანტაზია... მას წყალში გადაგდებაც არად უღირს, პიჯაკის (!) გაგლეჯისთვისაც კი მზადაა, მკერდისა და ფერდის გაგლეჯაზე რომ აღარა ვთქვათ. მდინარეში



გადაგდებას რაც შეეხება, ის უფრო მტკივნეულია, მოსკოვში კიბიდან რომ გაგორებენო. მოკლედ, თამარის წინ ლერმონტოვისეული განსაცდელის დამაკნინებელი ვნებით აყფებული მამრი დგას, თითქმის – „უშიში, ვითარცა უხორცო!“ თამარი წინადადებას დასთანხმებია. სიყვარულით გათანგული წყვილის შემხედვარე დემონი გადაკარგულა. თურმე ლერმონტოვიც კი შეუვლიდათ ხოლმე და ტკბებოდა მათი ბედნიერებით, გამარჯვებული, კმაყოფილი (უფრო ზუსტად – დაკმაყოფილებული!) და სტუმართმოყვარე პროტაგონისტი კი თამარს სტუმრისთვის ღვინის დასხმას უბრძანებდა: «Налей гусару, Тамарочка!» (მაიაკოვსკი).

ამ სტატიაში მანდელშტამის ნარკვევის მხოლოდ რამდენიმე ტოპოსის ჰერმენევტიკა დაიტია. სათქმელი კი ბევრია. დასასრულ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ მუდმივად თანამედროვე ალტერნატივა: ქართული კულტურის გადასაწყვეტია, მაზრსა თუ ქვევრივით ჩაიჭედება მიწაში, როგორც ამისაკენ მანდელშტამი მოგვიწოდებდა, ან ქართველები „ბოქლომს დაადებენ რვეულსაც, ბაგესაც და ფრთებსაც“, როგორც ამას მანდელშტამის საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი პაველ ნერლერი გვიჩვენებს, თუ იფრენს – თავისუფლად და უშუამავლოდ!

### **დამოწმებანი:**

КОЕ-ЧТО О ГРУЗИНСКОМ ИСКУССТВЕ, [https://rvb.ru/mandelstam/01text/vol\\_2/03prose/2\\_179.htm](https://rvb.ru/mandelstam/01text/vol_2/03prose/2_179.htm)

**ანდრონიკოვი:** Андроников, И., Лермонтов. *Исследования и находки*. [http://loveread.me/read\\_book.php?id=67242&p=76](http://loveread.me/read_book.php?id=67242&p=76)

**გამბა 1826:** Gamba. G. F. Voyage dans la Russie méridionale et particulièrement dans les provinces au delà du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824, Paris, 1826, II

**გაჩეილაძე 1948:** გაჩეილაძე, ა. *ლერმონტოვის 'დემონი' და ქართული თქმულებები*. 'ლიტერატურა და ხელოვნება', 1948, N38.

**ექვსი წერილი ... 1834:** Шесть писем о Грузии и Кавказе, писанные в 1833 году Платоном Зубовым». Москва: 1834.

**ლერმონტოვი:** Лермонтов М. *СПОР*, <http://rupoem.ru/lermontov/kakto-razpered.aspx>

**ლერმონტოვი:** Лермонтов М. *Тамара*. <http://rupoem.ru/lermontov/v-glubokoj-tesnine.aspx>

**მაიაკოვსკი:** Маяковский Вл. *Тамара и Демон*, <http://rupoem.ru/mayakovskij/ot-etogo-tereka.aspx>

**მანდელშტამი:** Мандельштам О. *О ПРИРОДЕ СЛОВА*. [https://rvb.ru/mandelstam/01text/vol\\_1/03prose/1\\_264.htm](https://rvb.ru/mandelstam/01text/vol_1/03prose/1_264.htm)

**ნეკრასოვი:** Некрасов Н. *«Еду ли ночью по улице темной...»*, <https://rupoem.ru/nekrasov/edu-li-nochyu.aspx>

**პუშკინი:** Пушкин, А. С. *ПУТЕШЕСТВИЕ В АРЗРУМ ВО ВРЕМЯ ПОХОДА 1829 ГОДА*. <http://rvb.ru/pushkin/01text/06prose/01prose/0870.htm>

**როზანოვი:** Розанов В. В. *Апокалипсис нашего времени, Уединенное*, <http://iknigi.net/avtor-vasiliy-rozanov/54416-uedinennoe-vasiliy-rozanov/read/page-1.html>

**ყუბანეიშვილი 1969:** ყუბანეიშვილი ს. აკაკი წერეთლის დრამატული პოემები (*‘თამარ ცბიერი’ და ‘პატარა კახი’*). თბილისი: 1969.

**ჩანაწერები ... 1886:** *Записки Н. Н. Муравьева*. 1816 год. — «Русский архив», 1886, № 4

**ჩანაწერები ... 1829:** *Записки во время поездки из Астрахани на Кавказ и в Грузию в 1827 году*. М., 1829

**წერილი X 1828:** Письма Х... Ш... к Ф. Булгарину, или Поездка на Кавказ». — «Северный архив», 1828, № 8

**ხახანოვი (ხახანაშვილი) 1892:** Хаханов (Хаканашвили) А. „Предание о царице Тамаре“. *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа*, вып. XIII. Тифлис: 1892, отд. II, с. 44–45

# ლიტერატურული ტექსტი როგორც წინასწარმეტყველება Literary Text as Prophecies

---

**Gia Arganashvili**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

## **Influence of Allegorical Literature on Political Processes in the Post-Soviet Georgia**

In the harsh conditions of the totalitarian regime of the Soviet Union Georgian writers made use of allegorical form of expression.

However, when the Soviet Union was disintegrated and the country, like other republics decaled its independence, the literature tried to transform the acute political processes into certain schemes (biblical and mythological). Thus, it assumed prophetic function and also determined readers' political expectations.

To present the full picture there is a need for a general analysis of Georgian prose of the last decades of the last century.

**Key words:** Allegory, Politics.

**გია არგანაშვილი**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

## **იგავური ლიტერატურის გავლენა პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკურ პროცესებზე**

აზრის გამოხატვის იგავური ალეგორიზმის ფორმა მტკიცედ არის დამკვიდრებული ჩვენს ლიტერატურაში. როგორც განსახილველების ერთ-ერთ მხატვრულ ხერხი, იგი სათავეს შუამდინარული, ბაბილონური, ეგვიპტური, ანტიკური სახისმეტყველებიდან იღებს,

მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა მაინც ებრაულ და ქრისტიანულ ლიტერატურულ აზროვნებში შეიძინა.

სახარებაში იგავი ორი მნიშვნელობით გამოიყენება: ერთი, რომელიც მორწმუნეთათვის საიდუმლოს გაცხადებას ისახავს მიზნად, ხოლო მეორე უსჯულოთა წინაშე საიდუმლოს დაფარვას ემსახურება.

აქედან გამომდინარე, იგავი ლიტერატურაში არა მხოლოდ ხატოვანი მეტყველების ფორმად და მხატვრული ხერხად, არამედ წინასწარმეტყველების გადმოცემის ერთგვარ სახეობადაც შეიძლება ჩაითვალოს.

ეს უკანასკნელნი (წინასწარმეტყველელური ტექსტები) კი, საუკუნეების განმავლობაში (ჩვენი ქვეყნის მუდმივად გაურკვეველი ბედ-იღბლის პირობებში), მკითხველში განსაკუთრებულ (უმეტესად, უქმ) ცნობისმოყვარეობას აღძრავდა და სიტყვის ოსტატებიც დიდი ხალისით ასრულებდნენ მათ დაკვეთას.

ამ პატარა ქვეყნის დიდ იმპერიებთან ბრძოლას მწერლები სიმბოლურად ყოველთვის ბიბლიური დავითის გოლიათთან ბრძოლას ადარებდნენ და ამით, ნებისთ თუ უნებლიეთ, მომავალ წარმატებას წინასწარმეტყველებდნენ.

სიკეთისა და ბოროტების ესქატოლოგიური ბრძოლის კონტექსტში იყო ყოველთვის წარმოდგენილი წმინდა გიორგის ბრძოლა გველეშაპთან, სადაც „მეფეთა უძლეველი წინამბრძოლიც“ საქართველოს უცილო გამარჯვებას აანონსებდა.

წმინდა გიორგის ამგვარი ლიტერატურული ხატება ქართულ ცნობიერებაში ანტიიმპერიულ აფექტად ჯერ კიდევ ბიზანტიასთან დაპირისპირებისას გაჩნდა, შემდეგ რუსული და საბჭოთა კოლონიალიზმის პირობებში კვლავ აღორძინდა და პოლიტიკური აზროვნების არქეტიპის მნიშვნელობა შეიძინა.

წინასწარმეტყველური ტექსტები ჩვენს საერო ლიტერატურაში, მისი განვითარების პირველ ეტაპზე, სასულიერო მწერლობის უშუალო გავლენით იქმნებოდა. თუმცა, მათგან განსხვავებით, რეალისტური მწერლობის ე.წ. „წინასწარმეტყველება“ არა ხილვას ან სიზმრისეულ ჩვენებას, არამედ მოვლენათა ლოგიკურ ანალიზს და მეცნიერულ მსჯელობას უფრო ეყრნობოდა.

მეცხრამეტე საუკუნის დასარულს, პოლიტიკურ-სოციალური მოვლენების გააქტიურების კვალდაკვალ, ჩვენს ლიტერატურაში

მითოლოგიური პერსონაჟის რეანიმაცია და მის ხასიათში ჩადებული თვისებების გააქტიურება დაიწყო.

ეპოქალური ძვრების ფონზე ნაციონალურმა ლიტერატურამ კვლავ წარსულს მიმართა და დავიწყებული გმირი – ამირანი შეაფხიზლა (აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე). ჩვენმა კლასიკოსებმა ამ გოლიათს ეროვნული და სოციალური ჩაგვრიდან გამოხსნის ტვირთი აჰკიდეს და მომავალი გამარჯვების სიმბოლოდ წარმოუდგინეს მკითხველს. ბუნებრივია, ამ ბრძოლაში მის მემბოხური ხასიათს უნდა „ემუშავა“ და მასებში ბრძოლის სურვილი უნდა გაელვძიებინა.

მიჯაჭვული დეკაცის თავის გამოხსნა კი მართლაც სტიქიური ძალის გაღვიძებას ჰგავდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ მითოლოგიურ (უფრო კი ზღაპრულ) პერსონაჟს ამხელა ძალა და გაქანება ექნებოდა, თავისუფლების ეს „უწყინარი“ სიმბოლო თოვლის გუნდასავით აგორებულ რევოლუციურ ზვავს („უხვად მოიტანა სისხლი და ცრემლები“ – გალაკტიონ ტაბიძე) და შურისძიების დაუოკებელ წყურვილს აღძრავდა.

საბჭოთა რეჟიმის პირობებში ქვეყნის გათავისუფლების სახეობარი იდგა კვლავაც იგავური ალეგორიზმის ფორმით მიეწოდებოდა მკითხველს. როგორც ჩანს, ამ ჟანრის ლიტერატურამ (არა მხოლოდ უშუალოდ იგავმა) თავისი მხატვრული თვისებების (ლაკონიზმი, დაფარულობა) გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და მკაცრი ცენზურის პირობებში ურთიერთობის საუკეთესო საშუალებად დაიმკვიდრა თავი. ამ პირობებში, მთელი სამოცდაათი წლის (საბჭოთა რეჟიმის არსებობის პერიოდი) განმავლობაში, ქართულ საბჭოთა მწერლობას არ ჰქონია კომუნიკაციის პრობლემა საკუთარ მკითხველთან.

თუმცა დაიშალა საბჭოთა კავშირი და ჩვენმა ქვეყანამ, სხვა რესპუბლიკების მსგავსად, დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ლიტერატურაც შეეცადა ცხოვრების მძაფრ დინამიკას არ ჩამორჩენოდა და სათანადო აქტუალობაც არ დაეკარგა. ამისთვის მას შეეძლო, რომ ღია ტექსტებით, გახსნილად ესაუბრა მკითხველთან, თუმცა მან კვლავაც იგავური ალეგორიზმის ფორმას მიმართა. ამით კვლავ წინასწარმეტყველური ფუნქცია აიღო საკუთარ თავზე და მკითხველის პოლიტიკური მოლოდინებიც განსაზღვრა.

მართლაც, სამოქალაქო დაპირისპირება, საზოგადოებრივი დაბნეულობა, ქვეყნის გაურკვეველი პოლიტიკური მომავალი ყოველთვის კარგ ნიადაგს ქმნიდა, რომ ხელახლა აღორძინებულიყო წინასწამეტყველური ტექსტები და ლიტერატურას წარსულთან იგივეობის კუთხით ისევ საკრალური თემებისათვის მიემართა. ლიტერატურა ხომ ხშირად იყენებს წარსულთან შედარებით მეტოდს, რათა მისი გამეორების ალბათობა უფრო ლოგიკური გახადოს? მსგავსი პროცესები სხვადასხვა დროს ყველა ქვეყანაში (გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში) შეინიშნებოდა. სწორედ ეს ტრადიცია აღდგა, როდესაც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში (მათ შორის საქართველოში) ქვეყნის მომავალი ბედ-იღბალი წინასწარმეტყველურ ტექსტებში ჩაიწერა.

საერთოდ, ქრისტიანული ლიტერატურა ყოველთვის ცდილობს, რომ კონკრეტული დრო (წამი) კაცობრიობის განვითარების ხაზს (მარადიული დრო) დაუკავშიროს. ბუნების ცვალებადობაში შეამჩნიოს უცვალეზელის ანარეკლი. ამგვარი მსოფლმხედველობა ტრადიციულად სამყაროს აღქმის ბიბლიურ მოდელს ეყრდნობა.

აქ მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიური მოვლენები როგორც ისტორიული, ასევე სულიერი თვალსაზრისით, ორ ჯგუფად იყოფა. ერთი, რომელშიც დრო სწორხაზობრივია და არ ხდება მათი გამეორება. ხოლო, მეორე, რომელშიც დრო წრიულია და მოვლენები გარკვეული დროის შემდეგ მეორდება.

წინასწარმეტყველება ორივე დროს ეხება. სიტყვა წარღვნაზე, ნოეს მიერ შვილების კურთხევა, აღთქმა მესიის მოვლინებაზე და შობა ბეთლემში, მკვდრეთით აღდგომა, ამაღლება და მომავალი მეორედ მოსვლა მხოლოებითი, განუმეორებელი მოვლენებია, კაცობრიობის ისტორიული ხაზია შექმნიდან დასასრულამდე, მომავალ ცხოვრებამდე.

ამის ფონზე ხდება მოვლენები, რომლებიც დროდადრო მეორდება. ეკლესიასტე ამბობს: „ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა... ჟამი დუმილისა და ჟამი უზნობისა, ჟამი სიყვარულისა და ჟამი სიძულვილისა, ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა“ (ეკლეს. 3.7-8.)

სწორედ ჟამთა მონაცვლეობის თვალსაზრისით, ჩვენს დროს წმიდა წერილის შემდეგი სიტყვები შეიძლება მივუსადაგოთ (ქრისტიანი მამების კომენტარი): „დაივიწყეს უფალი და ემსახურებოდნენ ბაალებს და აშთორეთებს, აღიგზნო უფლის რისხვა ისრაელიანთა

მიმართ, ხელში ჩაუგდო ისინი მძარცველებს და აძარცვინა, ხელში ჩაუგდო გარშემორტყმულ მტერს და ველარ უმკლავდებოდნენ მათ“ (მსაჯულთა 2. 13-14).

ასეთი ჟამები ერის ცხოვრებაში ხშირად ათეულობით წელს ითვლის, დიდი ხნის წინ გაცხადდა იმის დასაწყისი, რაც დღესაც გრძელდება, ხოლო მისი ფესვები უფრო ღრმად არის ჩამარხული. განმეორებად მოვლენებში დროის კონკრეტულობა მხოლოდ გარეგნულია, ფორმალური. აქ მნიშვნელოვანია მხოლოდ მოვლენების არსებითი იგივეობა.

ალბათ, სწორედ ამგვარ „განუმეორებელ“ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ისრაელის ერის ეგვიპტიდან გამოსვლა. თავად ის ფაქტი, რომ ამ გზაზე მათ თვით უფალი მიუძღვოდა წინ, ცხადად აჩვენებს, თუ რაოდენ ამბიციურია ამ „მოგზაურობაში“ საკუთარი ქვეყნის წარმოდგენა, ოცდამეერთე საუკუნის ტოტალიტარულ რეჟიმგამოვლილი ქვეყნისა, რომელსაც გაურკვეველი პოლიტიკური მდგომარეობის გამო ისედაც ტანჯავს ცნობისმოყვარეობა და ქვეყნის აღორძინების ხილვის დაუოკებელი წყურვილი.

ბიბლიური იგავი, რომელიც მონობიდან გამოსული ხალხის უდაბნოში ხეტიალს „ავალდებულებს“, პირველად ხალხში (მიტინგებზე) ფოლკლორულ გარემოში დაიბადა. ანონიმი ავტორის უსაზღვრო ფანტაზიამ ქართველი ერის ბრძოლა საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ებრაელი ერის ეგვიპტიდან გამოსვლას შეუდარა. ამგვარმა ალუზიამ ჩვენს წარმოსახვაში ეგვიპტური მონობისთვის დამახასიათებელი რეკვიზიტები – უდაბნოს მანანა, ეგვიპტური ქვაბები – გააჩინა. ასევე ბუნებრივად დაიბადა ქარიზმატული წინამძღოლის (მოსეს) მოლოდინი, შეინიშნებოდა პოლიტიკური პროცესების რესაკრალიზაციის პროცესი. თუმცა, ეს ყველაფერი ხდებოდა ფოლკლორული ურთიერთობის დონეზე და ვინ წარმოიდგენდა, თუ პროფესიული ლიტერატურის წარმომადგენლები ამ „მიგნების“ გამოყენებას შეეცდებოდნენ.

ამჯერადაც, ლიტერატურამ ხალხისგან ისესხა მხატვრული იდეა და გარკვეული დამუშავების შემდეგ ის კვლავ ხალხს დაუბრუნა.

ბიბლიურმა ისტორიამ მხატვრული ტრანსფორმაცია ლიტერატურულ ტექსტებში პოვა. ამის გარდა, ზოგიერთ ლიტერატურულ ნაწარმოებში თითქმის სრულად აღდგა შუასაუკუნეებრივი ე.წ.

„ქადაგის“ ინსტიტუტი. მხატვრულ (ასევე პუბლიცისტურ) ტექსტში გაჩნდა მათი შინაგანი კავშირები ნაციონალურ მწერლობასთან, რაც ლიტერატურული პროცესებში ინტერტექსტუალობის დამკვიდრებასც გულისხმობდა. ყველაფერ ამის საილუსტრაციოდ რამდენიმე მწერლის (ოთარ ჭილაძე, ირაკლი სამსონაძე, ბესიკ ხარანაული, კობა არაბული) შემოქმედების განხილვაც იკმარებდა, თუმცა სრული სურათის წარმოსაჩენად მომავალში ამ კუთხით, ალბათ, მეოცე საუკუნის უკანასკნელი ათწლეულების ქართული პროზის ზოგადი ანალიზის აუცილებლობაც დადგება.

საერთოდ კი, კარგი იქნებოდა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა და თვით საბჭოთა პერიოდი (მიუხედავად ამდენი მსხვერპლისა), ერის მრავალათასწლიან ისტორიაში ხანმოკლე ინციდენტად ჩაგვეთვალა და ჩუმად „გამოვპარულიყავით“ მონობის უღლიდან. არ გამოგვივიდა. ხმაურით და ზედმეტი ემოციებით შევედით (თუ შეგვიყვანეს) იმპერიის შემადგენლობაში და იქიდანაც ხმაურით გვინდოდა გამოსვლა. ვერც კარი გამოვიჯახუნეთ, რადგან ანჯამები ჩამოწყდა და თავზე დაგვემხო. ეტყობა, რომ ამგვარ მასშტაბური პროცესებში ჩართვა ჩვენნაირი პატარა ქვეყნისთვის სახიფათოა, რადგან შედეგების წინასწარი განსაზღვრა ძალზე რთულია..

ბიბლიაში მონაწილეობის სურვილი არ გვტოვებს (ამ მხრივ ძველი აღთქმის სიუჟეტებს უფრო ვწყალობთ) და როგორც ირკვევა, ჩვენ ისევ უდაბნოში დავხეტიალობთ. ამ მხრივ თანამედროვე ქართველ მკითხველს ლიტერატურული ტექსტების საკმაოდ დიდი არჩევანი აქვს), თუმცა მხატვრული თვალსაზრისითაც, ალბათ, უფრო სასიამოვნოდ დაურჩება, თუ ირაკლი სამსონაძის რომანის („ღრუბელი, სახელად დარინდა“) პერსონაჟად წარმოიდგენს თავს:

ეს რომანი, მრავალი თანამედროვე ნაწარმოების მსგავსად (ჩვენი არჩევანი აქ ძალზე პირობითია), ქართველი ერის (ბიბლიური ანალოგიით) უდაბნოში ხეტიალს ეხება. ტექსტი თორმეტი ერთმანეთის მსგავსი ბიჭის ტრაგიკულ ისტორიას მოგვითხრობს (ისრაელის თორმეტი ტომი). მათ საღებავიანი ქილები შეაფრქვიეს ძეგლს (მონობის სიმბოლო) და სხვადასხვა მხარეს გაემართნენ... აქ, პირობითად, ავტორი მთელ ერს გულისხმობს და როგორც აღვნიშნეთ, ირაკლი სამსონაძის ეს რომანი ბიბლიურ „გამოსვლათა“ ციკლის ერთ-ერთ თანამედროვე ვერსიადაც შეგვიძლია ჩავთვალოთ.



ნაწარმოების სათაურიც – „ღრუბელი, სახელად დარინდა“ – უდაბნოში ხალხის ხეტიალს გვახსენებს. თუმცა, რომანის ბოლოს დარდის ღრუბლად შეკრული დარინდა (ღრუბელი), რომელსაც თორმეტი ერთმანეთის მსგავსი ღრუბელი მიყვება კვალში და კითხვა: „სად გაგწვიმდებით?“ ისევ ჩვენს რეალობაში გვაბრუნებს (სამსონაძე 2011).

მწერალი მესამე პირში წერს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავტორი სადღაც „გარეთ“ დგას და დისტანციურად მართავს პროცესს. მკითხველი საკუთარ თავზე იგრძნობს თუ როგორ ითრევს მას მოქმედებაში.

ჩვენ ვთქვით, რომ ამ თემაზე ირაკლი სამსონაძის რომანი სულაც არ არის გამონაკლისი. ეს პრობლემა ოთარ ჭილაძის შემოქმედებაში შეუნიშნავს ლიტერატურათმცოდნე ნესტან რატიანს და თავის წერილში: „ჩემი მოსწავლეების დაკვირვებები – იდენტობის კრიზისი ოთარ ჭილაძის რომანში „აველუმი“ – ბოლომდე ჩასძიებია ამ მოვლენას.

„საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მხატვრული ნაწარმოებების ალეგორიული ენა ნამდვილად იწვევს მკითხველის გაოცებას. ალეგორია ტოტალიტარულ, ავტორიტარულ, ერთპიროვნული ძალაუფლების მქონე ხელისუფლებების ბატონობის ჟამს არის აქტუალური. მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა ასეთი რეჟიმების პირობებში აკრძალულია. საფრთხე მხოლოდ ხელოვანი ადამიანების შემოქმედებას კი არა, მათ სიცოცხლესაც ემუქრება. ალეგორია თავის და აზრის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად რჩება. ისინი, ვინც ამ კომპრომისზე არ მიდიან, ეწირებიან ბოროტების იმპერიას; ვინც კომპრომისზე მიდის, ალეგორია განვითარების ახალ სიმაღლეებზე აჰყავს.

ამ მხრივ ოთარ ჭილაძის ნაწარმოებებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით. სსრკ-ის დაშლის შემდეგ ხელოვნება გათავისუფლდა მარწუხებისგან და ხელოვანებმაც ამოისუნთქეს. მათ საშუალება მიეცათ, სათქმელი უკვე პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ეთქვათ. ოთარ ჭილაძის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა. რატომ? რისი გამოთქმა აუკრძალეს მწერალს? თუ აუკრძალეს, მაშინ ვინ? მაგრამ საქმე აქ პირდაპირ აკრძალვასთან არა გვაქვს. მწერალს მიაჩნდა, მისი სათქმელი იმდენად მტკივნეული იყო, რომ ავტორისთვის, შეიძლება, არც

ეპატიებიანათ პირდაპირობა, ის კი არა, შეიძლება, მისთვის პასუხიც მოეთხოვათ ამ პირდაპირობისთვის ზუსტად ისევე თუ არა, როგორც ამას რეჟიმის პირობებში აკეთებდნენ, ანუ გადასახლებით ან დახვრეტით, არამედ მუდმივი წამოძახებით. არადა, მტკივნეული სათქმელი ოთარ ჭილაძეს ქართველებისთვის ბევრი ჰქონდა...” (რატინი 2017: 496-504).

მკვლევარი (ნესტან რატინი) ცდილობს გარკვეული ახსნა მოუძებნოს ქართული მწერლობის იგავური ტექსტებით გატაცებას, რომელიც თავისთავად წინასწარმეტყველურ დატვირთვისადაც ატარებდა. თვითონ ოთარ ჭილაძე კი თვითკრიტიკულად და ირონიით ეკიდება საკუთარ შემოქმედებას, ეჭვქვეშ აყენებს ალეგორიის გამოყენებას მწერლობაში, არც ის მოსწონს, პირდაპირ რომ ვერ ამბობს სათქმელს და წვეთობით აწოდებს მკითხველს:

„იქნება მართლა ისე დამაშინა ცხოვრებამ, ტყუილს სიმართლედ ვიყენებდი, უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ვტყუოდი, სიმართლე რომ არ მეთქვა, მაგრამ, პირადად მე, პირიქით მგონია, რადგან მხოლოდ სიმართლის თქმა იყო ჩემი მიზანი და არა რაიმეს თქმა ზოგადად. მით უფრო რომ, ჰონორარს ერთნაირად იხდიდა სახელმწიფო აშკარა ტყუილშიც და შენიღბულ სიმართლეშიც. ოღონდ, ტყუილის თქმა თუ უსუნდისობაა, მართლის მთქმელობა უბედურებაა – შენიღბულად, ქარაგმულად, ნამცვე-ნამცვე აპარებ შენს სიმართლეს ვიღაცას, ვისიც არ იცი სახელი და ვისი გადარჩენაც მიზნად დაგისახავს“ (ჭილაძე 2011: 28).

აქ მწერლის ახსნა სავსებით დამაჯერებელია და ალბათ, ეს ყველაფერიც დარჩებოდა კიდევ „ლიტერატურული ტექსტი როგორც წინასწარმეტყველება“ (მეცამეტე საერთაშორისო სიმპოზიუმის ერთ-ერთი სექციის სამუშაო თემა), დარჩებოდა ლიტერატურულ მოვლენად, ამ თემას თავის გაგრძელება რომ არ ჰქონდეს. წინასწარმეტყველებად გამოყენებული ბიბლიური იგავები დამოუკიდებელ მნიშვნელობას რომ არ იძენდეს და თვითონ რომ არ ასრულებდეს ამ საბედისწერო ისტორიას.

ალბათ, ყველას გვახსოვს, ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი „გამოსვლა“, რომელშიც აღწერილი თუ როგორ იხეტიალა ებრაელმა ერმა ეგვიპტის მონობიდან გამოსვლის შემდეგ ორმოცი წელი უდაბნოში, რომ ვერცერთმა მონობაში დაბადებულმა ადამიანმა (მათ შორის, ვერც მოსემ) ვერ მიაღწია აღქმულ მიწას.

არ ვიცი რამდენად გააზრებული ჰქონდა ჩვენს მწერლებს, რომ თანამედროვე ლიტერატურულ ტექსტებში ამგვარი ბიბლიური სქემის გამოყენებას გაუთვალისწინებელი შედეგიც მოჰყვებოდა, რომ ახალი თაობა, რაღაც ლოგიკის ძალით, სწორედ ამ ისტორიის თანაშემოქმედად იგრძნობდა თავს და მოუთმენლად დაელოდებოდა მონობაში დაბადებული თაობის გაქრობას, რათა ამით „ივერიის გაბრწყინების“ თარიღი მოეხლოვებინა:

„როცა საბჭოთა კავშირში დაბადებული უკანასკნელი ადამიანი მოკვდება, ვინც სრულწლოვანი საბჭოთა კავშირში გახდა, მერე შეიცვლება აქ მენტალობა (არაფერი პირადული..)“.

ამგვარ სტატუსებს სოციალურ ქსელში დღეს არცთუ იშვიათად შეხვდებით. ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თაობათა შორის რაღაც განსაკუთრებული მტრობა არსებობს და „შვილები“ „მამების“ სიკვდილს მოელიან, უბრალოდ, მწერალმა მკითხველს თავის წინასწარმეტყველურ ისტორიაში მონაწილეობა შესთავაზა და ისიც ბუნებრივად დაემორჩილა მხატვრული ტექსტის გავლენის ძალას .

#### **დამოწმებანი:**

**რატანი 2017:** რატანი ნ. „იდენტობის კრიზისი“. *კულტურათაშორისი დიალოგები. შრომები*, IV. თელავი: 2017.

**სამსონაძე 2011:** სამსონაძე ი. *ღრუბელი, სახელად დარინდა*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2012.

**ჭილაძე 2011:** ჭილაძე თ. *აველუმი*. თბილისი: გამომცემლობა „არტეკ“, 2011.

**Julieta Gabodze**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **„New Lamentations of Jeremiah“ – the Prophecy of Giorgi Chanturia**

The leader of the National-Democratic Party and writer – Giorgi Chanturia entered the Georgian political arena in the 70'es of the twentieth century. The topic of the writer's contemplations is eminently no-

ble: restoring lost faith and freedom, surviving as an individual – primal condition of the nation’s existence. In the novel “New Lamentations of Jeremiah” – the author predicted his future – the year of his assassination.

Twenty-five years have passed since his murder and 29 – since the first publication of his works. The political hurricanes have passed; it is time for the public to get to know Giorgi Chanturia closely.

**Key words:** prophecy, Giorgi Chanturia, assassination, politician, writer

## **ჯულიეტა გაბოძე**

*საქართველო, თბილისი*

*შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი*

### **„ახალი იერემიას გოდება“ – გიორგი ჭანტურიას წინასწარმეტყველება**

**პოლიტიკოსი გიორგი ჭანტურიას** სახელი საქართველოს უახლესი ისტორიის კუთვნილებს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან გამოჩნდა ქართულ პოლიტიკურ სარბიელზე. 35 წლის ასაკში იგი მსხვერპლად შეეწირა თავისუფალი საქართველოს იდეას.

**მწერალი გიორგი ჭანტურია** კი საზოგადოებამ 1990 წელს გაიცნო. ამ წელს გამოქვეყნდა მისი პირველი რომანი „ოჩოპინტრე“, სამი წლის შემდეგ, 1993 წელს – მეორე რომანი „მოსე“, ტრილოგიის შექმნა ჰქონია ჩაფიქრებული. ერთი წლის შემდეგ კი, 1994 წლის 3 დეკემბერს, „ტრილოგიის მესამე ნაწილი“ – უავტორო ტრაგედია გათამაშდა?! სამწუხაროდ, გიორგი ჭანტურია ამ დრამის მთავარი გმირი და მსხვერპლი აღმოჩნდა!

2011 წელს მისმა მეგობრებმა გია ჭანტურიას მხატვრული შემოქმედების წიგნად გამოცემა გადაწყვიტეს. თავი მოუყარეს გადარჩენილ და შემორჩენილ ნაწერებს და მათი გამოსაცემად მომზადება მომანდეს. ცხადია, ამ დიდ პატივს „პატიჟიც“ ახლდა, რადგანაც რედაქტორის მოვალეობაა, მაქსიმალურად გაითვალისწინოს ავტორის ნება და იმავდროულად, ისე წარუდგინოს ეს შემოქმედება მკითხველს, რომ მისი ინტერესი გაადვიდოს. გიორგი ჭანტურიას პიროვნებისადმი მკითხველი საზოგადოების

ინტერესს ნამდვილად არ სჭირდებოდა ჩემი შეფხიზლება, მაგრამ დამეთანხმებით, რამდენად ძნელი იყო მწერლის შემოქმედებითი ნების დაცვა მაშინ, როდესაც ავტორი გარდაცვლილია და მისი ნაწერები მისსავე სიცოცხლეში სრულად არ გამოქვეყნებულა. ასეთ შემთხვევაში ერთობ ძნელია ოქროს შუალედის პოვნა და სუბიექტივიზმისაგან თავის არიდება ამ დროს ყველაზე მისაღები მეთოდი ნაწარმოებთა ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით განლაგებაა და ჩვენც გამოცემის ამ ხერხს მივმართეთ, ოღონდ ამჯერად ქრონოლოგიური ხაზი ზემოდან ქვემოთაა მიმართული. ამრიგად, 2011 წელს გამოიცა გიორგი ჭანტურიას თხზულებების პირველი კრებული, რომელშიც შესულია ორი რომანი, მოთხრობები, ესკიზები, სამი უთარილო და ერთი დაუმთავრებელი მოთხრობა.

განყოფილებაში „მწვანე რვეულიდან“ განთავსდა ავტორისეული სათაურით „მოთხრობების ციკლი– პანდემონიუმი“, ლექსები პროზით და მინიატურები – „მძიმე წელი, წელი სასარგებლო“ 02.10.83.

რას წარმოადგენს მწვანე რვეული? ეს არის გია ჭანტურიას ხელნაწერებით სავსე რვეული, როგორც ჩანს დაწერილი ციხეში 1983 წელს. თითქმის ყოველ ჩანაწერსა და ნაწარმოებს ახლავს ავტორის ხელმოწერა, თარიღი და ნაწარმოების შექმნის ადგილი. ზოგ შემთხვევაში – კომენტარიც. აქვეა ავტორის მიერ ჩაწერილი სქემები და გეგმები რამდენიმე დაუწერელი მოთხრობისა, წარმოდგენილია ლიტერატურის სია (70 ერთეული) ასეთი მინაწერით: „ციხეში და სუკში წაკითხული“, უაღრესად შთამბეჭდავია ამ ჩამონათვალის შინაარსი. მწვანე რვეულის დიდი ნაწილი ეთმობა ამონარიდებს ნაწარმოებებიდან და აგრეთვე, სხვადასხვა გამოჩენილი მოღვაწის ნააზრევებს. აქვეა ლექსი სათაურით „საიუბილეო“, რომელსაც ფრჩხილებში მიწერილი აქვს „თარგმანი ჩემია“. ამონაწერი ჯღუხუკე მაძინის შესახებ; გიორგი ჭანტურიას ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების მოკლე ჩამონათვალი 1983 წლის 11 ივლისიდან 23 ნოემბრამდე და ის ათპუნქტიანი შესასრულებელი გეგმა, რომლის განხორციელებას, როგორც ჩანს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ აპირებდა, მათ შორის, წმინდა გიორგის საყდრის აგება და ყველა ტაძრის მოლოცვა და შესაწირავების გაღება.

ყურადღება მივაქციოთ! ამ დროს გიორგი ჭანტურია მხოლოდ 24 წლისაა, მას საზოგადოება იცნობს, როგორც კომუნისტურ

რეჟიმთან მებრძოლ თამამ ახალგაზრდას, მაგრამ არ იცნობს, როგორც მწერალს, არადა, აქ წარმოდგენილი ნაწერების უმრავლესობა უკვე დაწერილია! ოჩოპინტრე 1976-1980 წლებშია შექმნილი, მოსე – 1983-1985 წლებში! ეს ავტოგრაფული ჩანაწერები უაღრესად საინტერესოა მკითხველისათვის და საყურადღებოა გიორგი ჭანტურიას შემოქმედების მკვლევართათვის.

ამრიგად, ამ კრებულით მკითხველს საშუალება მიეცა თანმიმდევრულად გასცნობოდა გია ჭანტურიას 1985 –1972 წლების შემორჩენილ და გადარჩენილ ნაწერებს. წერა ადრე დაუწყია. როგორც ჩანს, წერდა ყველგან: სახლში, სკოლაში, აგარაკზე, ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით, „სუკის“ იზოლატორში, როსტოვისა და ორთაჭალის ციხეებში, ასეთი წარწერებით და მიწაწერებით: ეს არის გია ჭანტურიას ავტობიოგრაფიული ესკიზი, რომელიც დაწერილია პატიმრობის დროს „ბურში“ ყოფნისას, 1985 წლის 15 თებერვალი, როსტოვის ციხე, საკანი №3. დამე, 19-20 ოქტომბერი, 1984 წელი“. ან კიდევ „მოთხრობა დავიწყე 1985 – 31 აგვისტოს და დავამთავრე „ბურ“-შივე 19-20 ოქტომბრის დამეს. ბური პკტ-1.“

წერდა შემოქმედზე, სიყვარულზე, ცხოვრების უსამართლო სამართალზე, თუ მეოცნებე მათხოვარზე, დალატზე და სხვადასხვა სახით მოსულ მტერზე, წუხდა და ეძებდა ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას, ამიტომაც ახსენებდა მკითხველს საქართველოს წარსულს. გიორგი ჭანტურიას შემოქმედებაც, მისი თანამედროვე დიდი მწერლების მსგავსად, გაჯერებულია ბიბლიური და მითოლოგიური, ისტორიულ-ლიტერატურული ალუზიებით. ღრმა ერუდიციისა და ანალიტიკური ლოგიკის მეშვეობით მან მხატვრულ და სიმბოლურ სახეებად აქცია „დაკარგული სამოთხის“ დედაქალაქი – პანდემონიუმი, ბიბლიური მოსე და მითიური ოჩოპინტრე, – იაზონისგან უარყოფილი უძღები შვილი მედეა, რომელიც საბოლოოდ მაინც ქართლის დედის მკლავებში ჰპოვებს ნავსაყუდელს... ავტორი წმინდა ქალწულის თემებით შეკრული ჯვრით კვლავ და კვლავ ეზიარება და ცდილობს მკითხველიც მოაქციოს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე „ნინო“ (სურათები ქართლის მოქცევიდან); თანამედროვეთა გაუხეშებულ სმენას მიაპყრობს „მარაბდის გოდებას“ და მკითხველთან ერთად ხარობს ორმოდან ამოსული დავითისა და დაკარგული სამოთხის დაბრუნების იმედის სიხარულით.

მწერლის ფიქრისა და განსჯის საგანი უაღრესად დიადია – დაკარგული რწმენისა და თავისუფლების აღდგენა, პიროვნებად დარჩენა და გადარჩენა, ეს კი ერის არსებობის უწინარესი პირობაა! ყოველივე ამის გააზრებას გიორგი ჭანტურია შესანიშნავად ახერხებს მრავალრიცხოვანი ბიბლიური, მითოლოგიური, ისტორიული და მსოფლიო თუ ქართული ხალხური და კლასიკური პერსონაჟის დახმარებით. მწერლის გამორჩეულ უნარზე მეტყველებს ისიც, რომ ნაწარმოებში მრავალრიცხოვან პერსონაჟთა თანამოქმედებისა და რთულსიუჟეტის ეპიზოდების მიუხედავად, მკითხველს არ უჭირს მათი სწორი რეცეფცია. მარადიულ თუ ყოფით პრობლემებს შეჭიდებული მისი გმირები გამუდმებით ეძებენ სამყაროს საზრისს, მსჯელობენ, უყვართ, სძულთ, იბრძვიან, ეწირებიან, და ბოლოს, იმარჯვებენ კიდეც. ოზოპინტრე იარაღს აგდებს და ბავშვად გადაიქცევა, მკვლელი კურთხევას ითხოვს („მაკურთხე“), პატიმარიც, როგორც იქნა, ჩასწვდება მოსეს მოგზაურობის არსს, თუმცა ბოლო ყოველთვის კეთილი როდია.. და ახალ იერემიასაც ისევე ჩაქოლავენ მისი თანამედროვენი.

ეპოქის წინასწარმეტყველებად შეიძლება ჩაითვალოს გიორგი ჭანტურიას მოთხრობა „ახალი იერემიას გოდება“, რომელიც უფრო ადრეა დაწერილი (1985 წელს), ვიდრე ქვეყანაში ის მძიმე პოლიტიკური მოვლენები დაიწყებოდა, თავისი ტრაგიკული შედეგებით. ნამდვილად სულისშემძვრელია ახალი იერემიას გოდება!

ეს მოთხრობა გაჯერებულია ლიტერატურული და ისტორიული ალუზიებით – მკითხველის ყურადღებას იქცევს ერთ დროს „დაუმონავი თერგისა“ თუ მოღალატე, უმოქმედო, ჩამინებული მეთოფეების მხატვრული სახეები. თხრობა მეტად დრამატულად იწყება და მწერალი მკითხველს იმთავითვე მიანიშნებს გაქვავებულ აწმყოსა და უმოქმედო მომავალზე: „მეთოფეებს სძინავთ. სძინავს ყველას, თვით ბუნებაც კი, გატრუნულია და დუმს. ეს არის ბუნების ჩვეული და დიდებული პოზა, წამიერი გარინდება, მოძრაობის, ქარიშხლის მოლოდინში. ეს დუმილი და უძრაობა სისხლისგან დაცლას, სიკვდილს ნიშნავს. მდინარე ტბასავით დამდგარა. ცოცხალ-მკვდარი თევზნი წყლის ზედაპირზე ამოტივტივებულან და უაზრო ზეცას ევედრებიან, შველას ითხოვენ.

თერგი აღარ რბის, აღარ ღრიალებს.

და არც კლდენი ეუბნებიან ბანს...

მთის გამოფიტული წვერები, დაყვიტლებული და დაბერებული ხე თუ ბალახი.

დახეთქილი, დამზრალი მიწა.

მძიმე, მოწამლული ჰაერი.

დღე ღამესავით შავი.

დანგრეული სახლები და ნასახლარები, აჩეხილი ვენახები, დღეს ნავენახარი.

წელში გადამტვრეული სიმინდის ტაროები. ნაგვიტა და უწმინდურობით წაბილწული ბაღ-ბოსტანი, ჯვარმომტვრეულნი ნატაძრალნი“. როგორი დრამატული, მაგრამ იმავდროულად, რეალურია სურათი, და ამ მრუმე ფერებს კიდევ უფრო ამუქებს მწერლის ავბედიტი წინასწარმეტყველება მომავალზე: **„გადამწვარ-გადაბუგული ტფილისი** და ქუთაისი, წყლით დაფარული ბათუმი და **ალმოკიდებული აფხაზეთი... ჩამონგრეულ-ჩამოშლილი შატილი...ცარიელი აკვანი, ჩამქრალი კერა, დამსკდარი კედლები და ჩამტვრეული შუშები“**. მკითხველის თვალწინ ცოცხლდება საქართველოს უახლესი ისტორიის ეს ტრაგიკული რეალობა და ამ ყოფის ამსახველი შემზარავი კადრები.

ამის შემდეგ კი იწყება ავტორის მოგზაურობა წარსულის უდაბნოში, რომელიც იმავდროულად, ერთი დიდი სასაფლაოა. სამწუხაროდ, მწერალი ჩვენი წარსულის სამარცხვინო ეპიზოდებს იხსენებს: ვარსკენ პიტიახშის მიერ ღვთის უარყოფას, გორგიჯანოვისა და ყორღანაშვილის ღალატს, ცოტნე დადიანისა და 1832 წლის შეთქმულთა გაცემას. წინაპართა რამდენ სირცხვილს ინახავენ ეს საფლავები: „ერთს აწერია: „მე გორგიჯანოვმა გამცა“. ვუახლოვდები მეორეს: „ვარქსენ პიტიახშმა უარმყო მეც და შემოქმედიც“. იქვე, გვერდით, შედარებით მომცრო ლოდია. წელში ვიხრები, რომ გავარჩიო „გამცა ყორღანაშვილმა“ – ძლივს ამოვიკითხე... მეზობელი ქვის ძირში კი აწერია – „მონღოლთ ჩააბარეს ჩემი თავიო“. ცოტნე, ცოტნე!... ვაგრძნობინე, გხედავ-თქო, ისიც დამშვიდდა. ო, ღმერთო. გმადლობ იმედისთვის! და ამ უცნაური სასაფლაოს მოხილვას ვაგრძელებ. „გამცეს“... აწერია ერთ ქვას დიდი ასოებით. ოდნავ ქვემოთ, მომცრო ზომის ციფრების ამოკითხვაც შევძელი – „1832“. გასაგებია! თანდათან ყველაფერს ვხვდები. ბევრი ქვა, ბევრი ლოდი. პერ-ლაშეზისა და არლინგტონის სასაფლაოები კომედიურ თეატრებად გამოიყურებიან ჩვენი



ერის ამ საძმო საფლავთან შედარებით. გზას ვაგრძელებ. ერთ-ერთ ლოდზე ამოტვიფრულ წარწერას ვკითხულობ. „ჭეშმარიტებას ვუღალატე... ვინანიებ!“ ნეტავ რა იყო მისთვის ჭეშმარიტება? რას ინანიებს?“

ეს ხომ საქართველოს ისტორიაა, მძიმე და ავისმთქმელი წლები. სამწუხაროდ, აქ არ მთავრდება ახალი იერემიას (ავტორის) მოგზაურობა, ის გრძელდება გარინდებულ, უადამიანო ყოფაში, როცა ისევ თვლემენ მეციხოვნეები და მწერალს უწევს მათი შეფხიზლება, მაგრამ ვაი, რომ ახალი იერემია, ილიასგან განსხვავებით, ვერ აღწევს მიზანს. რადგან მეციხოვნენი, როგორც ჩანს, საგანგებოდ თვლემენ, შეგნებულად მდუმარებენ: „მე ციხისთავი ვარ, მკვდარივით უნდა მეძინოს, თუ გავიღვიძე, პირველს მომკლავენ“ – თქვა და ძილი განაგრძო“.

ამიტომაც გოდებს ახალი იერემია:

„– ოო, ვგოდებ უფალო, დავტირი დაბრმავებულ ბრბოს, ერად-ყოფილს!

– ვგლოვობ შეგინებულ ჩალისფერ დროშას!

– დავტირი მარად მძინარეთ და დედის საშოშივე მკვდრად ჩასახულ ნაყოფს!

– დავტირი ხუცესს, მტრის შიშით, მალვით რომ იძლევა ლოცვა-კურთხევას!

– დავტირი ტაძარს, გამოკეტილს და გაუქმებულს, დარჩენილს უმღვდლოდ!

– დავტირი ქალწულს, რომელსაც ამირანის ნაცვლად მთვლემარე ჰერმოფროდიტი შეატყუეს!

– დავტირი ენას, გაუქმებამდე მისულს!

– დავტირი გონებას, დარჩენილს აზრის გარეშე!

– დავტირი გულს, სიკვდილივით ცივს, გრძნობადაკარგულს!

– დავტირი სულს, სადაც აღარ არს ალაგი ღვთისათვის!

– დავტირი პირუტყვად ქცეულ საბრალო ადამიანს, ფოთლის შრიალიც რომ აფრთხობს შიშშეპყრობილს!

– და დავტირი საკუთარ თავს, რამეთუ ხმა ჩემი ყოველი წინასწარმეტყველის მსგავსად, რჩება „ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა“!

სამწუხაროდ, იერემიას წინასწარმეტყველება ამით არ მთავრდება. ერთადერთი მღვიძარე კაცი „ჯებენონის შთამომავალი,

რომელსაც ირანული ღიმილი და მეგობარი „ჩრდილოეთის“ ვერაგობა აღბეჭდვოდა სახეზე“, სუფთა ქართულით ამცნობს მწარე სიმართლეს – „**მე არ მოგკლავ შენ, თვითონ შენნი დაგკორტნიან. საზარელი სიკვდილი გელის! რომელი დათვი შენ მყავხარ, ღლაპო, ხომ ხედავ, რა დიდი ვარ! თქვენ კი აი, ამოდენა.**“

უაღრესად მძიმეა ახალი იერემიას მოგზაურობა უდაბნოში, უფრო სწორად, დიდ სასაფლაოზე, შთაეჭვდილება კი ისეთივე სულისშემძვრელი, როგორც მისი შემდეგი წინასწარმეტყველება: „**გადავდივარ უდაბნოს ბოლოს და უკანასკნელ ლოდზე ამოტვიფრულ წარწერას ვეძებ, იქვე საფლავია ამოთხრილი, უცხედრო საფლავი?! მივიხედ-მოვიხედე. ოდნავ, მოშორებით თეთრი მარმარილოს ქვას წავაწყდი. წარწერა ახალი უნდა იყოს. „პოლიტიკოსთა უგუნურების მსხვერპლი“. მარმარილოს „ცხელი“ სისხლის ფართო ლაქები აჩნია. იქვე ოთხციფრიანი თარიღია. ყველა კუთხოვანია. ბოლო ციფრის გარჩევა გამიჭირდა. მისი ზედა და ქვედა ნაწილი ჩამომტვრეულია. ბოლო ციფრი უნდა იყოს ან 4 ან 9 (ე.ი. 1994 ან 1999)?!**

**ნეტავ ვინ კიდევ?“**

სამწუხაროდ, ამ მოთხრობის დაწერიდან (1985) 9 წლის შემდეგ, 1994 წელს, ეს ავბედითი წინასწარმეტყველებაც ახდა. უგუნური პოლიტიკოსების ბრძანებით მისიანებმა, ქართველებმა, სასტიკად ჩაცხრილეს საკუთარ მანქანაში ახალგაზრდა, ნიჭიერი, პერსპექტიული პოლიტიკოსი და მეტად საინტერესო მწერალი გიორგი ჭანტურია – ახალი იერემია – და ვინ იცის მერამდენედ შეცვალეს ერის მომავალი?!

„ბოლოთქმის მაგიერ:

ახალი იერემია ჩაექოლათ ერის გაღვიძებული სინდისისათვის. დიდი შენობის კედელთან ეგდო მისი საზარლად დამახინჯებული და დასახიჩრებული გვამი.

ამოდენა ქალაქში კაცი არ აღმოჩნდა მისი მშველელი. მაყურებელი კი რამდენიც გნებავთ – ბევრზე ბევრი.

ეს საზარელი კაც-კვლა იმ ერთადერთი მღვიმარე კაცის ნამოქმედარი იყო.

აკი დაემუქრა კიდეც: „შენიანები მოგკლავენო შენ“. სწორედ მან გააღვიძა მძინარე მეთოფენი, ახალი იერემიასი და მის მცირე მიმდევართა ამოჟლეტა უბრძანა.

მსტოვრებს მოეტანათ ამბავი: მცხეთას ახალი იერემიას მოწაფენი გამოღვიძებულან და სვეტიცხოვლის ტაძართან იყრიანო თავს.“

პოლიტიკოსი და მწერალი გიორგი ჭანტურიას მკვლელობიდან – 25 წელი გავიდა. მისი ნაწერების პირველი პუბლიკაციიდან – 30 წელი! საკმაოდ დიდი დროა. პოლიტიკურმა ქართველებმა გადაიარა, მოვლენებს სახელებიც დაერქვა, თუმცა გიორგი ჭანტურიას შემოქმედება ჯერაც ელის ქართული კრიტიკის შეფასებას.

**Ketevan Elashvili**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Publicistic Discourse in the „Intellectual Mist“**

Jemal Karchkhadze found the most exact name for the profanation of national soul – „Intellectual Mist“. The intensity of this „mist“ was heterogeneous during seventy years, though, unfortunately, it reached the Georgian literature of 80-90 years, where impressive squad of yesterday’s „lead social realists“ with false pathos urgently fit in the robe of „caring about nation“.

That is why the publicistic works of Jemal Karchkhadze reminds Georgian society the supremacy of freedom and tries to scatter the mist of „false pathos“ spoken out loud in the name of freedom. The chrestomathic illustration of this is – „Monologue from Dialogue“ (1988).

**Key Words:** Jemal Karchkhadze, Publicistic Discourse, „Monologue“.

## ქეთევან ელაშვილი

საქართველო, თბილისი

მოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### პუბლიცისტური დისკურსი „ინტელექტუალურ ბურჟუაზიაში“

„წარსული ჩვენი ფესვებია...

არაფერი არ არსებობს ისე რეალურად,

როგორც წარსული...“.

ჯემალ ქარჩხაძე, „ქარავანი“

ყველა ეპოქა, რაღაც ნიშნით, სტერეოტიპულ წრეზე ბრუნავს. კერძოდ, ახალი საუკუნის დაბადება მაღალი „პოლიტიკური ტემპერატურით“, მკვეთრად აჩქარებული დროის ფენომენითა და ფეთქებადი საზოგადოებით გამოირჩევა. დროქაშული ათვლის სისტემაში ეს ყოველი ამგვარად აისახება; საწყისი ეტაპიდან მეტ-ნაკლებად 50-იან წლებამდე – ზემოაღწერილი ბობოქარი სულისკვეთება სუფევს. 50-80-იან (ზოგჯერ შეიძლება 90-იან წლებამდეც კი გაიწელოს) – დრო თითქოს ჩერდება და გაყინულ სიმშვიდეში, არაფრისმთქმელ „უძრაობაში“ იძიება მთელი სამყარო. აი, შემდეგ კი – იწყება სიფხიზლის პერიოდი, იქმნება ზედმეტად აალეზადი, იმპულსური საზოგადოება – ხმამაღალი, ეპატაჟური პოლიტიკური ლოზუნგებით შეიარაღებული.

ჩვენ ეს გზა უახლეს წარსულში გავიარეთ – ისეთი მძაფრი ემოციითა და დიდი ტკივილით, რომ დღემდე გვიჭირს ეს წლები ოდენ „ისტორიას“ მივებაროთ. ამიტომაც, დღესაც ვიხარშებით ამ განცდებში, ვერ ვახერხებთ ისტორიული შეცდომების მხოლოდ მშრალი გონებით გადაფასებას და, რაც მთავარია, – გვიძნელდება XXI საუკუნის „ენაზე“ ლაღად მეტყველება.

ეგებ ამაში, გასული საუკუნის 80-90-იანი წლების პუბლიცისტულ კავშირში გამოკვეთილი, – პოლიტიკური დისკურსის „გონების თვალთვლით“ გაცნობიერება დაგვეხმაროს. ეს ტენდენციები ყველაზე მძაფრად ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტულ კავშირში იკვეთება – ქრეს-

\* ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2018, 2;

აქ ორი ნაშრომი სწორედ ჯ. ქარჩხაძის პუბლიცისტურ ნარატივს ეხება: მ. ბერიაშვილი, „ზნეობრივისა და პოლიტიკურის გაგება ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტის მიხედვით“, 2018: 24-43; ა. ნიკოლეიშვილი, „ჯემალ ქარჩხაძე როგორც პუბლიცისტი“, 2018: 44-53.

ტომათიული ილუსტრაცია კი „მონოლოგი დიალოგიდანაა“, რომელიც საეტაპო ნაწარმოებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ქართული პუბლიცისტიკის ისტორიაში. ეს „მონოლოგი“ ზნეობრივი დისკურსისა თუ კეთილშობილი უშუალოების მაღალმხატვრული ნარატივით გამოირჩევა. აქვე, სავსებით ბუნებრივია, ჯემალ ქარჩხაძისვე სიტყვები გავიხსენოთ – „ყოველი მწერალი, მიუხედავად იმისა, მიმართავს თუ არა როდესმე ამ ჟანრს, მოწოდებით პუბლიცისტიკაა“ (ქარჩხაძე 2005: 9), რაც ყველაზე მეტად იკვეთება იმ დროს, „როცა ერის ცხოვრებაში კრიტიკული სიტუაცია დგება, მაშინ არავისა აქვს უფლება ცხრაკლიტულში იჯდეს და ყურები ბამბით ჰქონდეს გამოტენილი“ (ქარჩხაძე 2005: 13).

ცხადია, მწერლის შემოქმედებითმა ინტუიციამ წინარედ – 1988 წელსვე იგრძნო იმ პოლიტიკური კატაკლიზმების საბედისწერო ბიძგები, რომლებმაც ქართულ საზოგადოებას მოჩვენებითი კეთილდღეობის საყრდენი გამოაცალა და იმ „სიყალბის პერანგისგან“ განძარცვა, აგრე რიგად რომ ჰქონდა მორგებული.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მოხდა ისე, – რომ 1988 წლის ყურნალ „მნათობში“ (№8) გამოქვეყნებული ჯემალ ქარჩხაძის დიალოგი, კრიტიკოს აკაკი მინდიაშვილთან, რატომღაც ყურადღების მიღმა დარჩა „ეროვნულ ტალღაზე გადაწყობილ საზოგადოებას“. ამიტომაც, გაუცნობიერებელი სატკივართი საკმაოდ ხანგრძლივად აღმოჩნდა ქართული ერი ილუზიათა ლაბირინთში გამომწყვდეული. და შესაბამისად, საკუთარი ძალისხმევას ვერშემცნობ ერად ჩამოყალიბდა. ერთადერთი გამოსავალი კი, მაშინაც და დღესაც, უსიყვარულოდ\* ცხოვრებაშია საძიებელი,

\* „ჩვენ სხვა ჭირი გვჭირს: სიყალბით პერანგი, რომელიც ეპოქამ ჩავაცვა, ჩვენ სხვაზე უკეთ მოვირგეთ (იქნებ იმიტომ, რომ ჩვენი არტისტიზმისათვის იგი მახლობელი გამოდგა). წყალი აიძვრა, ორიენტირები გადაადგილდა. საზოგადოებრივი და სოციალური კრიტერიუმები დაიკარგა და ზნეობას საყრდენი გამოეცალა. მთავარი ხიფათი და ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ ცდუნებას ვერც მწერლობამ გაუძლო...“ (ქარჩხაძე 2005: 10).

\*\* „დღეს დედამიწაზე უამრავი გაუგებარი, უაზრო, აბურდული მკვლევლობა ხდება, რომლებიც ცოცხლად დარჩენილთათვის მხოლოდ შიშველი სტატისტიკაა, გულსა და გონებაში კი კვალს თითქმის არ ტოვებს. ეს არის სიყვარულის კრიზისი. ადამიანს სიყვარულის მარაგი შემოაკლდა“... (ქარჩხაძე 2005: 46). და კიდევ – „სიყვარული ეს არის ყველაზე ამაღლებული გრძნობა, სხვისადმი, ერთგულად მსახურების თავისუფალი არჩევანი“ (ილია II-ის საადღგომო ეპისტოლე, 2019 წელი).

რომელთანაც კვლავ დაბრუნება მწერლის სიტყვას შეუძლია მართოდ. რადგან ქართული მწერლობა ერის ცხოველმყოფელი ძალაა და ხსნის გზაც მასშია კოდირებული. არადა, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ქართული მწერლობა ქარისზმისგან სრულიად დაიცალა. ალბათ ამიტომ იყო, რომ მწერალი ჯემალ ქარჩხაძისათვის „ლიტერატურული სასწაული“ აღარ იკვეთებოდა. ყველაზე ტრაგიკული კი ის იყო, რომ ქართველმა კაცმა სიტყვის ზნის შეცნობის უნარიც დაკარგა და მხოლოდ ყალბი, ფუჭი, „თვითმიზნურად კაზმული სიტყვებით“ იწყო არსებობა. ასე უკეთესად მოერგო ტოტალიტარულ წნეხს – ამგვარ სიტყვებში სრულიად ჩაიფერვლა „თვინიერი სულის მოძრაობა“ და „მაღალი ინტელიგენტური სულიც“<sup>\*</sup> დაიშრიტა ჩვენს საზოგადოებაში“.

ასეთ ვითარებაში, – ჯემალ ქარჩხაძემ სრულიად ზუსტი სახელდება მოუძებნა ეროვნული სულის პროვანაციას – „ინტელექტუალური ბურუსი“. ამ „ბურუსის“ ინტენსივობა არა-ერთგვაროვანი იყო მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში, თუმცა, სამწუხაროდ, ის გასული საუკუნის 80-90-იან წლების ქართულ მწერლობასაც გადმოიწვდა, სადაც გუშინდელ „მოწინავე სოცრეალისტთა“ შთამბეჭდავმა რაზმმა ყალბი პათეტიკით სასწრაფოდ მოირგო ერის მოჭირნახულის მანტია.

---

\* „...არსად სიტყვას ასეთი სიყვარულით არ ელოლიავენბან, ისეთი რუდუნებით არ ძერწავენ, ისე ხარბად არ აგროვებენ და ისე უანგაროდ არ ხარჯავენ, როგორც ჩვენში. ჩვენში ყოველი კაცი სიტყვის შემოქმედია... და ქართული ხასიათის ფესვებიც, ალბათ, უმთავრესად სიტყვასთან ჩვენს დამოკიდებულებაშია საძიებელი“ (ქარჩხაძე 2005: 9). ამასთანავე – „ქართველი კაცის არსებაში სიტყვა ბუნებრივად იღებს ლექსის სახეს, ლექსი ჩვენ სისხლივით დავგიდის ძარღვებში და, თუ ოდესმე კაცობრიობას მართლა დაერია ისეთი ეპიდემია, რომელიც პოეზიაზე დაგეშილი, დარწმუნებული ვარ, საქართველო ერთი იმ ქვეყანათაგანი იქნება, სადაც უკანასკნელი ლექსი შეითხზებება და სადაც ლექსი უკანასკნელად წარმოითქმება...“ (ქარჩხაძე 2005: 12).

\*\* „...ნამდვილი ინტელიგენცია ჩვენ, არსებითად, არა გვყავს. მე ინტელიგენტში არ ვგულისხმობ ისეთ კაცს, რომელსაც ახლა ეძახიან ინტელიგენტს და რომლის ინტელიგენტობის მთავარი ნიშანი უმაღლესი განათლების მოწმობაა... ინტელიგენტს, უბრალოდ, არ შეუძლია პატიოსანი არ იყოს, დემოკრატი არ იყოს, ჰუმანისტი არ იყოს, შინაგანად თავისუფალი არ იყოს, თავდაბალი არ იყოს...“ (ქარჩხაძე 2005: 35). „ინტელიგენტის“ არსის ფილოსოფიული არქექტიპები მ. ბერიაშვილის ზემოდასახელებულ წერილშია განხილული (ბერიაშვილი 2018: 36).

სწორედ ამ დროს, მწერალთა „რჩეულ კასტას“ განაპირებულმა, მხოლოდ საკუთარ სიტყვასა და შემოქმედებით ნებელობას მინდობილმა ჯემალ ქარჩხაძემ შეძლო პუბლიცისტური დისკურსის ფორმატში მასშტაბურად „წაეკითხა“ ქართველი ერის თანადროული ისტორია, რათა საზოგადოებრივ ცნობიერებაში შთაენერგა თავისი ფილოსოფიური „განსჯა-განკითხვა“ – დაშრეტილი ეროვნული ენერჯის კვლავ ასაღორძინებლად.

ეს „ზეამოცანაც“ და ილიასეული „ბედნიერი ერის“ კრიტიციზმიც, როგორც ჩანს იმან განაპირობა, რომ ამ უკონტროლო სიტუაციაში, სულიერი გზააზნეულობის ბურუსმა შთანთქა ხიფათისაგან ამაოების ტალღებს მინდობლი საზოგადოება: ამ დროს კი „მწერლობამ მღვრიე წყალში უნდა შექმნას ზნეობის კუნძული – თავშესაფარიც, თავშესაყარიც და დაპირისპირებაც“ (ქარჩხაძე 2005: 42). აქ, ცხადია, გასათვალისწინებელია ქართული მწერლობის როლი ჩვენი ერის ისტორიულ თუ კულტურულ „ბიოგრაფიაში“. მწერალი, თავისი პროვიდენციალური ნიჭითა და „გულისხმიერი გონით“, ხან ერის წინასწარმეტყველად და ქურუმად გვევლინებოდა, ხან ჭირისუფლად და მარტიროლოგად, რათა როგორმე „ეროვნულ პასუხისმგებლობასა და მაღალ ზნეობას“ ბოლომდე არ განაპირებოდა ქართველი ერი. ამის საპირწონე კი, ყველაზე მეტად თავად მწერლის ცხოვრება იყო – „ბედისმიერი იმპულსის“ მძაფრი შეგრძნებით. ამიტომაც იყო, რომ ჯემალ ქარჩხაძე საკუთარი შემოქმედების გაშინაარსებისას ერთ მეტად მნიშვნელოვან შტრიხსაც გამოკვეთს; ესაა ბარათაშვილთან“ ერთგვარი თანამესულეობა – საკუთარ თავთან სულიერი კომფორტის შექმნა და იმავდროულად მარტოშთენილობის ამბივალენტური განცდა... და კიდევ, ის ზნეობრივი დისკურსი, რომელიც მისი მხატვრული ცნობიერების

---

\* „ჯემალ ქარჩხაძე კი პრინციპულად არ იყო საბჭოთა მწერალი, თან გარიდებული იყო მთელ იმ უმსგავსობას, ზნეობრივად გამაჩანაგებელ იმ ორომტრიალს, რომელსაც ლიტერატურული ცხოვრება ერქვა და რომლის მესვეურნიც რანგებსა და წოდებებს აწესებდნენ, უფრო სწორედ, თვითონ იწესებდნენ“ (წერედიანი 2000: 8).

\*\* „...ნათესაობას კი ყველაზე მეტად ბარათაშვილთან ვგრძნობ (თუ ასეთი განცხადება ვინმეს კადრიერებად მოეჩვენოს, შევახსენებ, რომ ნათესაობა შედარებას არ ნიშნავს და მხოლოდ ისეთ მსგავსებაზე მიუთითებს, რასაც არც „ნიჭთან აქვს რაიმე საერთო და არც სხვა რამ ღირსებასთან“ (ქარჩხაძე 2005: 14).

უმთავრესი განსჯის ფენომენია.\* თავად ჯემალ ქარჩხაძე, როგორც პიროვნება „იყო იმის ზნეობრივი მაგალითი – როგორ უნდა ეცხოვრა დიდ მწერალს საკუთარ „სინდისთან გარიგებულ“ ადამიანთა მიერ შექმნილ კონფორმისტულ გარემოში“ (ჯამბურია 2018: 23). აქვე უთუოდ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ მწერლის „შემოქმედებითი მონოლოგი“ – საკუთარი ცხოვრების ხელახალი „გადაკითხვა“, ოღონდ მკვეთრი ეროვნული აქცენტებით. თავად ჯემალ ქარჩხაძე თვლიდა, რომ „ეროვნულ ხასიათსა და ეროვნულ სულს მეტნაკლებად „ზებულონით“ მიუახლოვდა“ (ქარჩხაძე 2005: 19). რომანი „ზებულონი“ („მონოლოგი დიალოგიდან“ არ იყოს) 1988 წელს გამოვიდა, სადაც ისტორიული რაკურსით თანამედროვე საბედისწერო რეყვებისა და ეროვნული სულის მინავლების თითქოსდა „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოგლეჯილ ფურცლებს ვაწყდებით. ეგებ იმიტომ რომ – ჯემალ ქარჩხაძე, როგორც მწერალი გარკვეულ საშიშროებას წინმსწრებად ჰვრეტა; „ერი თვალდათვალ იცვლის სახეს. ცოტაც და იმ საქართველოდან, რომელიც ჩვენს ცნობიერებაში აღბეჭდილი და რომელიც გვიყვარს, სულ სხვა საქართველოს მივიღებთ... თუ ახლაც ვერ დავძლიეთ ჩვენი გულარხეინობა და ღვთისმომიმედობა, ხვალ ჩვენს ადგილას სხვა საქართველო იქნება...“ (ქარჩხაძე 2005: 37). და რაც მთავარია, ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ჩვენს ეროვნულ ნავს ძირი აქვს გახვრეტილი და წყალი შემოგვდის. კი ვცდილობთ ამოვხაპოთ, მაგრამ ჩვენი მცდელობა „პროფილაქტიკული ზომებია“ და საქმეს ვერ შველის“ (ქარჩხაძე 2005: 39).

სწორედ ამგვარივე ვითარების შედეგი იყო, რომ „ილია ჭავჭავაძემ, როდესაც ქვეყნის წინაშე თავისი ვალი გააცნობიერა, ეყო ძალა მწერლობაზე უარი ეთქვა...“ (ქარჩხაძე 2005: 40). მაგრამ ილიას საბედისწერო აღსასრულთან ერთად – საქართველოში „ერისკაცობაც“ და „მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაც“ დავიწყებას მიეცა...

მხოლოდ XX ს-ის მიწურულს ჩვენმა „ზნეობრივმა სატკივარმა“, გაცილებით მასშტაბური სახით, კვლავ შეგვახსენა თავი და ქართულმა საზოგადოებამ ამგვარი გამოსავალი ჰპოვა, ილია ჭავ-

---

\* „ყოველი მწერლის ყოველი ნაწარმოები, გარკვეული აზრით, ავტობიოგრაფიულია, რადგან შემოქმედება, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი შინაგანი სამყაროს იგავური გაცხადება“ (ქარჩხაძე 2005: 17).



ჭავჭავაძის სახელს ამოეფარა, წმინდანად შერაცხა და ნეტარ სიმ-  
შვიდეს მისცა თავი... არადა, „ილია ჭავჭავაძის მიზანი ის კი არ იყო,  
წმინდანად შეგვერაცხა და „ილია მართალი“ გვეწოდებინა, არამედ  
ის, რომ ჩვენ გვეცხოვრა წმინდა ცხოვრებით და ჩვენ გვევლო  
სიმართლის გზით“ (ქარჩხაძე 2005: 44).

მაგრამ ჩვენ ხომ თავის მოტყუების, წარსულისა და აწმყოს  
(მომავალზე რომ აღარაფერი ვთქვათ...) მითოლოგიზირების დი-  
დოსტატნი ვართ; რადგან არ გვსურს „ნიღბები გადავყაროთ და  
საკუთარ თავს მწარე სიმართლე ვუთხრათ“ (ქარჩხაძე 2005: 44).  
თუმცა მოხდა ისე, რომ ხანგრძლივი დისტანცირების შემდეგ მა-  
ინც დადგა დრო გამოფხიზლების, დრო – რომ ჯემალ ქარჩხაძის  
პუბლიცისტიკით ჩვენმა საზოგადოებამ შეიცნოს თავისუფლების  
უზენაესობის არსი და თავისუფლების სახელით წარმოთქმული  
„ცრუპათეტიკის ბურუსი“, ერთხელ და სამუდამოდ, გაფანტოს.

#### **დამოწმებანი:**

**ბერიაშვილი 2018:** ბერიაშვილი მ. „ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2, „ადამიანი,  
საზოგადოება, სამყარო ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედებაში“. ზნეობრივისა  
და პოლიტიკურის გაგება ჯემალ ქარჩხაძის პუბლიცისტიკის მიხედვით.  
თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2018.

**ნიკოლეიშვილი 2018:** ნიკოლეიშვილი ა. ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2, *ჯემალ  
ქარჩხაძე როგორც პუბლიცისტი*. თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2018.

**ქარჩხაძე 2005:** ქარჩხაძე ჯ. პუბლიცისტიკა. თბილისი: „ქარჩხაძის  
გამომცემლობა“, 2005.

**წერედიანი 2000:** წერედიანი დ. „სათქმელი ბევრია“. „არილი“, № 16 (161).  
საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი, 9 ნოემბერი. 2000.

**ჯამბურია 2018:** ჯამბურია კ. ჯემალ ქარჩხაძის ფორუმი, 2, *ჯემალ ქარჩხაძე  
კონფორმიზმის წინააღმდეგ*“. თბილისი: „ქარჩხაძის გამომცემლობა“, 2018.

## Gocha Kuchukhidze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

### „Krtsanisi Poppies“ and „Drop of Bloody Poppy at Uplistsikhe“

The presentation provides discussion of the verses by Georgian poets Lado Asatiani and Murman Lebanidze: „Krtsanisi Poppies“ (1940) and „Drop of Bloody Poppy at Uplistsikhe“ (1971).

Asatiani appeals to Georgian warriors killed in Krtsanisi battle (1795), mentions wound of one of them and looks to the blood shed by those, who sacrificed their lives to the native land. Lebanidze's verse is about self-sacrificing to the native land, there is mentioned the poppy as well, in our opinion, in this verse Lebanidze makes hint on „Krtsanisi Poppies“.

Attention should be paid to the fact that Asatiani writes about the already sacrificed blood to the native country while Lebanidze writes about the one that will be shed in the future, there is an impression that **Lebanidze in some way „continues“ Asatiani's verse, implying that in Krtsanisi, where the Georgians were defeated, was not the end of Georgians' war, that in the future we shall have to fight and sacrifice ourselves. Reading of this verse by Lebanidze in the same context as „Krtsanisi Poppies“ makes what the poet wanted to say clearer.**

**Key Words:** comparative analysis, Murman Lebanidze's poem

## გოჩა კუჭუხიძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### „კრწანისის ყაყაჩოები“ და უფლისციხესთან ხილული „სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“

მურმან ლებანიძის საქვეყნოდ ცნობილი უსათაურო ლექსი, რომელიც ამ სიტყვებით იწყება – „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“, ჩვენი აზრით, სრულყოფილად მხოლოდ

მაშინ აღიქმება, როცა სხვა პოეტთა ზოგიერთი ლექსის ფონზე განვიხილავთ მას, იმგვარი სპეციფიკით არის იგი დაწერილი, რომ თავისი სრული სახით მხოლოდ სხვა ლექსებთან ერთად ამჟღავნებს თავს.

გავიხსენოთ ლექსის პირველი სტროფი:

*უფლისციხესთან  
სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი  
არა დაღვრილის –  
დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...  
არავითარი  
სხვა სამშობლო ამაზე მეტი  
არ გამაჩნია!*

როცა ვკითხულობთ სიტყვებს – „სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“, ჩვენ ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“ გვახსენდება. კრწანისის ბრძოლაში 1795 წელს გმირულად დაღუპულ მეომრებს ასე მიმართა ლადო ასათიანმა, ასე შეუძახა მათ:

*ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადლარო ომითა,  
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.  
შავროხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია?!  
ეს სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?!*

ყაყაჩოების ხილვა ბრძოლაში დაღუპულთა სისხლს ახსენებს ლადო ასათიანს, ერთ-ერთი მეომრის ჭრილობა უდგას თვალწინ, ისეთ მხატვრულ პოზას ღებულობს, თითქოს ვედარ გაურკვევია, მართლა ყაყაჩოებია მის წინაშე გადაშლილი თუ გმირთა მიერ სამშობლოსათვის მსხვერპლად გაღებულ სისხლს ხედავს.

როცა უფლისციხესთან წითლად აელვარებულ ყაყაჩოებს გაჰყურებდა მურმან ლებანიძე, როცა სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი ახსენა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოები“ არ ახსოვდა მაშინ; ისიც ომზე წერს, ყაყაჩოები მურმან ლებანიძესაც მეომართა სისხლს აგონებს და ძალიან ძნელი წარმოსადგენია, ისე ეხსენებინა ყაყაჩოები და სისხლი, რომ ლადო ასათიანის ძალზე ცნობილი სტრიქონები არ ხსომებოდა, ლადოს

ყაყაოები არ სდგომოდა თვალწინ; პოეტმა, ცხადია, მშვენივრად იცოდა, რომ ხალხში ძალიან კარგადაა ცნობილი ასათიანის ეს ლექსი, რომელიც სკოლაშიც ისწავლებოდა, იცოდა, რომ უყვარს ხალხს იგი, ვფიქრობთ, ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაოებზე“ გააკეთა მან მინიშნება, რომ ალუზიას, რემინისცენციას მიმართა თავისი ლექსის წერისას და ამ საშუალებით შემდეგი გვითხრა: **კრწანისში დამარცხდა ქართველი ხალხი, მსხვერპლად გაიღო იქ სისხლი, მაგრამ ამით არ დამთავრებულა ომი, ჯერ წინ არის ყველაფერი, ზრძოლა ისევ გველის, საქართველოს ისევ მოუწევს ომი და მსხვერპლად სისხლის გაღება**<sup>\*</sup>. მურმან ლებანიძის ეს სტროფი, ჩვენი აზრით, ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაოების“ რემინისცენციაა, ანტითეზა (დაღვრილი – დასაღვრელი) ასათიანისა და ლებანიძის ლექსების საერთო სივრცეშია განსახილველი, – ლადო ასათიანთან გმირთა მიერ **დაღვრილი სისხლია** დახატული, მურმან ლებანიძე კი **„დასაღვრელ სისხლზე“** წერს და, ვფიქრობთ, **თანამოკალმეს ეხმაურება ამით პოეტი**.

„უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაოს წვეთი“ „დათბობის პერიოდშია“ დაწერილი. იმ დროს სათქმელის გაპარება უკვე იმდენად ძნელი აღარ იყო, ამასთან, ცენზურის მიერ რაიმე საეჭვოს დანახვის შემთხვევაში, ავტორს შეეძლო ეთქვა, – იმის შესახებ ვწერ, რომ, თუ საქართველოს ისევ შემოესია მტერი, არ გაუჭირდება ქართველ ხალხს, კვლავ დაღვაროს სამშობლოსათვის სისხლიო, – ან რაიმე მსგავსი აზრით შეეცდებოდა ცენზორის დამშვიდებას, თუმც, ბოლო სტროფის სტრიქონები: და კითხვა: „ვინ ვის?!“ / ბებერ გულში ლახვრად მაჩნია... ცხადად ბადებს შეგრძნებას, რომ დიდი ხანია, რომელიღაც კითხვა აწამებს პოეტს, იმას კი არ

\* საერთოდ, კრწანისის ტრაგედია მძიმე ტკივილი რომ იყო პოეტისათვის, ამ ლექსიდანაც კარგად ჩანს: „*ყურში მიწივის კრწანისის განაჩენივით, / ასიოდ მხედრით / თბილისით უკუქცეული, / გამახსენდება / ხმაღს მტრისას გადარჩენილი, / შემეცოდება / საწყალი მამაჩემივით / ერეკლე – სულკურთხეული*“. ზოია ცხადაიას სიტყვით, ერეკლე მეფისადმი მიძღვნილ ამ უსათაურო ლექსში იხატება „*მრავალბრძოლაგამოვლილი, სისხლისგან დაცლილი, ზედდართული სიბერის ჭირი, კრახით დასრულებული კრწანისი*“; ცხადაია 2012: 247). ძალიან ტევადია ეს ფრაზა: „*შემეცოდება / საწყალი მამაჩემივით / ერეკლე – სულკურთხეული*“, მოკლე წინადადებით ერთდროულად გამოხატავს პოეტი უდიდეს სიყვარულს თავისი მამისა და მეფე ერეკლესადმი.

ფიქრობს მთელი ეს ხანი, რომ, შესაძლოა, საიდანღაც უეცრად ახალი მტერი შემოვარდეს, არამედ ძველი სადარდებელი აწუხებს, ის უღრღნის გულს და მთავლიტის წარმომადგენელი ალბათ მაინც დაფიქრდებოდა, – ასეთი რა კითხვა აჩნია ამ ბებერ გულში მურმანსო – და ბოლომდე მშვიდად იქნებ არც იყო იგი, ძალიანაც კარგად მიხვდებოდა, რაც იგულისხმა პოეტმა, რა სტანჯავდა, რა ჰქონდა გულში წლების განმავლობაში გაჩრილი; სტალინური რეპრესიების წლები უკვე დიდი ხნის ჩავლილი, პოლიტიკა კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, გარკვეულწილად შეცვლილი იყო, მაგრამ ჯერ მაინც საბჭოთა იდეოლოგია ბატონობდა და ალბათ მთავლიტის წარმომადგენლებსაც სჭირდებოდათ გაბედულება და, თავისთავად ცხადია, 60-იანელთა თაობის მწერლებისაგან ჯერაც საკმაოდ დიდ გაბედულებას მოითხოვდა ასე წერა (თუ ძალიან დიდი ნიჭი არ ჰქონდა შემოქმედს, ნაკლებად პატიობდნენ ამგვარ გაბედულებას); მურმან ლებანიძე ამკარად ამბობს, რომ დიდი ხანია, სტანჯავს, დაპყრობილი რომ არის საქართველო.

ამ ლექსში თითოეულ სიტყვას, ვფიქრობთ, სასვენი ნიშნებსაც კი, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს მინიჭებული. „არა დაღვრილის – / დასაღვრელის, ალბათ, მაცნეა...“ – ამბობს პოეტი და სიტყვა „მაცნეა“-ს შემდეგ სამ წერტილს სვამს, რაც იმაზე უნდა მიაანიშნებდეს, რომ მეტის თქმა უნდა ავტორს, მაგრამ აღარ ამბობს და გვახვედრებს, გვანიშნებს მხოლოდ სათქმელს. ეს სამი წერტილი, რომელიც შემდეგ სტროფებშიც მეორდება, შესაძლოა, გაუცნობიერებლად, იმ შინაგანი განწყობილებიდან გამომდინარე დაწერა, რომ ბოლომდე არ თქვა სათქმელი, შეწყვიტა საუბარი, თუმც, ჩვენ საეჭვოდ გვეჩვენება, გაუცნობიერებლად გაჩენილიყო ეს სასვენი ნიშნები, – ტაეპებად დაყოფა, დიდი და პატარა აზრაციც კი ძალზე გააზრებულად ჩანს ამ ლექსში დაცული და საფიქრბე-ლია, რომ სამი წერტილიც გაცნობიერებულად დაწერა პოეტმა და სასვენი ნიშნებითაც გვესაუბრება იგი.

შემდეგი სტროფი:

*მე დავინახე  
სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი,  
თოთხმეტი ციხე  
ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია...*

არავითარი  
სხვა სამშობლო ამაზე მეტი  
არ გამაჩნია!

აქ ლოცვის განწყობილება ემატება ლექსს. სვეტიცხოველი წარმოსახვაში დაუდგება პოეტს თვალწინ, თოთხმეტ ციხესაც წარმოსახვაში ხედავს და ლოცვასთან ერთად ხმლით დაცულობაც რომ არის საჭირო, ამასაც გვეუბნება. სვეტიცხოველი გალაკტიონის მიერ წარმოსახულ ნიკორწმინდის ტაძარს გვახსენებს, გვაგონდება გალაკტიონის: „ვგრძნობ, ვით დიადია / თორმეტი სარკმელი, / ხაზებში ანთია / ცეცხლი მისარქმელი“ და ჩვენ იმასაც ვგრძნობთ, რომ ლოცვის განწყობა დაუფლებია მურმან ლებანიძეს ამ დროს (თუ რატომ ვახსენეთ აქ გალაკტიონი, ამის შესახებ ქვემოთ ვიტყვი), პოეტმა დასაწყისში კრწანისის მარცხი გაგვახსენა, მინიშნებით გვითხრა, რომ ქართველთა ომი ჯერ არ დამთავრებულა და შემდეგ კი ტაძრისაკენ გადაიტანა მზერა და თითქოს თორმეტი მოციქული წარმოსახა ქართველთა მხსნელად, იქვე თითქოს გაახსენდაო, რომ ხმალიც საჭიროა სამშობლოს დასაცავად და ციხეები ახსენა; შინაგანი ტექსტი აქ საკმაოდ მკაფიოდ ჟღერს, – დაემარცხდით ქართველები, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ არის, ბრძოლა კიდევ გველის და ამიტომ ვილოცოთ და მკლავიც არ მოვადუნოთ.

ბოლო სტროფი ასე ჟღერს:

მშვენიერია  
ორ ზღვას-შუა კავკასის ხედი  
და კითხვა: „ვინ ვის?!“  
ბებერ გულში ლახვრად მაჩნია...  
არავითარი  
სხვა სამშობლო ამაზე მეტი,  
არავითარი  
სხვა გზა, სხვა ხსნა  
არ გამაჩნია!

ამ სტროფში უკვე მკაფიოდ არის გაკეთებული გალაკტიონზეა მინიშნება; საქართველოში საყოველთაოდაა ცნობილი ლექსი

– „მშობლიური ჩემო მიწავ!“, „კრწანისის ყაყაჩოებთან“ ერთად ისიც ისწავლებოდა სკოლებში და გალაკტიონის სიტყვები: „ორ ზღვას შუა ძველისძველად / საომარი იყო ლელო – / ის გადარჩა და სახელად / ეწოდება საქართველო“, იმათაც ეცნობათ, ვისაც არ უყვარს პოეზია. მურმან ლებანიძემ, ცხადია, ძალიან კარგად იცის, რომ გალაკტიონ ტაბიძის ლექსი გაახსენდება ბევრს მაშინ, როცა წაიკითხავს ამ სიტყვებს: „მშვენიერია / ორ ზღვას-შუა კავკასის ხედი“ და იგი, ვინც ამჯერად უკვე გალაკტიონის ლექსის კონტექსტში აღიქვამს ამ სტრიქონებს, მიხვდება, თუ რას გვეუბნება შემდეგ პოეტი, – იგი ისევ ცხადყოფს, რომ მომავალში უნდა გაირკვეს, თუ ვინ ვის დაამარცხებს ერთიმეორესთან ასპარეზში და ამჯერად უკვე გალაკტიონზე მინიშნებით აზუსტებს, რომ ომია ეს ასპარეზი, „ორ ზღვას-შუა“ მდებარე „კავკასის ხედის“ ხსენება მკითხველს გალაკტიონის „საომარ ლელოს“ ახსენებს და კიდევ ერთხელ უცნობიერებს, რომ ომი მოელის საქართველოს, რომ საომარი ლელოა მისი სამშობლო (გალაკტიონი თუ მხოლოდ საქართველოზე წერს, მურმან ლებანიძე კავკასიის ხედს ახსენებს და იმის შთაბეჭდილებასაც ტოვებს, რომ მთელ კავკასიასთან წამოწყებულ მოსალოდნელ ომზე წერს). მურმან ლებანიძის მიერ ორი ზღვის ხსენების შემდეგ უკვე სრულიად აშკარა ხდება, რომ გალაკტიონისაკენ ჰქონია მზერა მიმართული პოეტის და ცხადი ხდება ისიც, რომ მეორე სტროფში სვეტიცხოველისა და თორმეტი სვეტის ხსენებით გალაკტიონის „ნიკორწმინდაზე“ მიუნიშნებია; რადგან მესამე სტროფში მკაფიოდ ამახვილებს პოეტი ყურადღებას გალაკტიონზე, ირიცხება ვარაუდი, რომ მეორე სტროფის წერისას პოეტურ ზეგავლენაში მოქცევის ფაქტის წინაშე ვდგავართ (რადგან მესამე სტროფში ცხადად და გამიზნულად მიანიშნა გალაკტიონზე, საფიქრებელი ხდება, რომ მეორის წერის დროსაც ალუზიისათვის მიუმატავს), იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრწანისის ტრაგედიის გახსენების შემდეგ ნელ-ნელა გალაკტიონის სამყაროსკენ იწყებს პოეტი გადასვლას, გალაკტიონივით სულიერი ტაძრისაკენ გადააქვს მზერა, ტაძრის თორმეტი სვეტის ხსენებით გალაკტიონისეული „ნიკორწმინდის“ ასოციაციას გამიზნულად იწვევს და ბოლოს კი უკვე გამოკვეთილად გადააქვს აქცენტი გალაკტიონზე და ამ პოეტზე გაკეთებული ამჯერად უკვე მკაფიო მინიშნებით გვეუბნება, რომ „საომარი ლელოა“ ჩვენი სამ-

შობლო და არ ასვენებს იმაზე ფიქრი, თუ ვინ ვის დაამარცხებს მოსალოდნელ ომში. იბადება განწყობილება, რომ ქართველ პოეტთა სულიერ საუფლოში შესულა მურმან ლებანიძე, თითქოს ლადო ასათიანს სწვევია იმქვეყნად და მასთან ერთად კრწანისის ბრძოლა და არაგველები გაუხსენებია, მერე გალაკტიონისკენ წასულა, მის სულიერ სამყაროს მიახლება და დიდი პოეტის გვერდით ტამარში ულოცია, ბოლოს კი თითქოს თავად გალაკტიონი ამეტყველდაო მურმან ლებანიძის ლექსში, თითქოს გალაკტიონის ხმა გვესმის, როცა ვკითხულობთ სიტყვებს: „ორ ზღვას-შუა“ და ვხედავთ გალაკტიონის მახლობლად მდგარ მის თანამოკალმეს, სამშობლოზე რომ წუხს ამ ლოცვის დროს. ვფიქრობთ, რომ „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ – ეს არის ლექსი, რომლიდანაც სამი პოეტის ხმა მოისმის, ლადო ასათიანისა და გალაკტიონის ლექსებთან თანახმიერებაშია იგი დაწერილი.

ზემოთ ითქვა და ისევ გავამახვილებთ ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ, სანამ რეფრენს („არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი!“) დაწერდეს, სტრიქონების ბოლოს ყველგან სამ წერტილს სვამს პოეტი. რეფრენი კი ძახილის ნიშნით სრულდება, მოკლედ ჭრის პოეტი სათქმელს, – მკითხველმა მთელი სიმძაფრე უნდა იგრძნოს ამ სიტყვებისა; მინიშნებით ნათქვამ ფრაზებს ყველა ჯერზე სამი წერტილი მოაყოლა მურმან ლებანიძემ, რეფრენი კი ყველგან ძახილის ნიშნით დაასრულა და მკითხველისათვის გასაგები უნდა გახდეს, რომ მეტის თქმა აღარ არის საჭირო, – პოეტთან ერთად ყველას უნდა გვაწუხებდეს საქართველოს მომავალი, – იმიტომ, რომ ამის მეტი სხვა სამშობლო ჩვენ არ გაგვაჩნია! მესამე სტროფში ორჯერ არის ნახსენები სიტყვა „არავითარი“ და განმეორება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ სიტყვას, – მთელი სიმძაფრით გამოაჩინა პოეტმა, რომ ერთადერთია ქართველის სამშობლო, ცხადია, უკვე შეიძლება პირდაპირ ითქვას, გვითხრა, რომ – საქართველოა ჩვენი სამშობლო და არა – მთელი საბჭოთა კავშირი... მანანა კვაჭანტირაძის აღნიშვნით, მურმან ლებანიძის ამ ლექსში „ზუსტად შემოიხაზა სამშობლოს ცნების გეოგრაფიული და ემოციური საზღვრები, აშკარად, სრული რადიკალიზმით გაცხადდა ბრძოლის იდეა და მზადყოფნა“ (კვაჭანტირაძე 2016: 229).



გარდა იმისა, რომ მინიშნებები, ალუზიები ცხადად იკითხება, ეს ლექსი ინტერპრეტაციის საშუალებასაც გვაძლევს, ანუ ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმ განწყობილებაზე, რომელიც არაერთ მკითხველში, შესაძლოა, აღძრას ლექსმა, მაგრამ რომლის შექმნაზე მიზანმიმართულად არ უზრუნია ავტორს. ლექსი „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“ ჩვენ გვაცხენებს გურამ რჩეულიშვილის ცნობილ მოთხრობას – „უსახელო უფლისციხელი“, რომელიც ასევე ბრძოლის, ქართველთა გადარჩენის თემას ეხება. არც ისაა გამორიცხული, რომ, როცა უფლისციხეზე წერდა, „უსახელო უფლისციხელი“ ახსოვდა მურმან ლებანიძეს მამინ, არ არის შეუძლებელი, რომ გაითვალისწინა, მკითხველში ამ მოთხრობასთან ასოციაციასაც რომ დაბადებდა მისი სტრიქონები და, იქნებ, შორეული მინიშნება გააკეთა კიდეც მასზე, დაზუსტებით ვერ ვიტყვით, ფიქრობდა თუ არა წერის დროს გურამ რჩეულიშვილზე, მაგრამ ჩვენში მის მოთხრობასთან ასოცირდება ეს ლექსი და ორი ნაწარმოების ერთ კონტექსტში განხილვა კი ასეთ სურათს გვაძლევს: მუნჯია „უსახელო უფლისციხელის“ მთავარი პერსონაჟი, უენო, ჩანს, ტყვედ ჩაუგდიათ ოდესღაც და ენა მოუკვეთიათ მისთვის, რადგანაც მტრის მთავარსარდალს მზარეულად ემსახურება და მტერს კი ურჩევნია, უენო იყოს იგი. ეს მუნჯი კაცი უფლისციხეში გამაგრებულ თანამემამულეებს აფრთხილებს, რომ მტერმა ციხეში შესასვლელი საიდუმლო გზა იცის და თავდასხმას აპირებს. რადგან ვერ ლაპარაკობს, ხელით ანიშნებს თავისიანებს, თუ სად არის მტერი.

დიდი საქმის ჩუმად მკეთებელი ერთ-ერთი გმირი წარმოდგება ამ მოთხრობიდან ჩვენ წინაშე, მურმან ლებანიძის ლექსიდან კი ვხედავთ ავტორს, რომელიც ასევე შემალულია, „უხმოდ“, გაცხადებული სიტყვების გარეშე, მინიშნებებით გვესაუბრება, ალუზიებით ამბობს, რომ „ახალი კრწანისი“ წინ არის და უნდა ვილოცოთ, თავი უნდა დავიცვათ მანამ, სანამ ეს მოსალოდნელი ბრძოლა გაიმართებოდეს. ვხედავთ ამ სურათს და ჩვენს ასოციაციაში „უსახელო უფლისციხელის“ უენო პერსონაჟი (ხელით რომ ანიშნებს თანამემამულეებს, თუ სად არის მტერი და ჩუმად რომ ლოცულობს) და მინიშნებებით მოსაუბრე პოეტი ერთმანეთს ემსგავსებიან. ჩვენ წინაშე მოჩანს სემანტიკური ველი, რომელშიც

ზემოხსენებულ პოეტებთან ერთად გურამ რჩეულიშვილიც არის თავისი მოთხრობით შემოსული და მომავალში შეგვიძლია, იმაზეც ვიფიქროთ, გაცნობიერებულად შემოიპატიჟა ამ ველში პოეტმა გურამ რჩეულიშვილი თუ მისი ქვეცნობიერებიდან გამომდინარე, ან თავისთავად, მოხდა ეს შემოსვლა.

მურმან ლებანიძესთან ვიპოვით ბევრ ლექსს, რომლიდანაც მთის არდაცლას, შრომას გვევედრება ავტორი. მთისა და სოფლის მოვლა, ანუ შრომა არის, პოეტის თანახმად, ხსნის ერთ-ერთი უმთავრესი გზა, შრომამ და სულიერმა ღვაწლმა, შემოქმედებამ გადაარჩინა საქართველო, ამ ქვეყანაში „ყოფილან ოპიზრები – გასამტერებელი, / ყოფილა მოდრეკილი, ყოფილა ცურტაველი, / რასაც მოჰყოლია შოთა რუსთაველი...“, – მურმან ლებანიძის პოეზიაში მკაფიოდ იხატება გადარჩენის ის გზა, რაც შრომას, შემოქმედებით ცხოვრებას გულისხმობს და ამ ფაქტმა ყოველთვის უნდა დაიმსახუროს ყურადღება, ამასთან კარგად ჩანს, რომ ბრძოლის სულისკვეთებაც ძლიერად სუფევს მის პოეზიაში და არც ეს უნდა დაგვრჩეს ყურადღების მიღმა (ბრძოლის სულისკვეთებასთან დაკავშირებით, მურმან ლებანიძის შემოქმედებიდან გავახსენდა და, როგორც ერთ-ერთ მაგალითს, მკითხველსაც მოვუყვანთ ერთ ლექსს და გავახსენებთ, თუ რა გაბედულად დაწერა პოეტმა სიტყვები, რომლებშიც საქართველოსადმი ავად განწყობილ რომელიღაც კონკრეტულ პიროვნებაზე მიგვანიშნა და რომლის სახე სიტყვებში – „თურქის თემი“ შენიღბა; „თურქიაო“ – არ ამბობს, „თურქის თემისად“ გვაცნობს ამ კაცს, ანუ გვაგებინებს, რომ ეროვნებით თურქზე არ საუბრობს და გვაფიქრებს, თუ ვინ უნდა იყოს იგი: „აფხაზეთზე / ამ კაცს თვალი უჭირავს – / ეს კაცია, / ალბათ, თურქის თემის... / და მე ვყვირი: / – ჩემს სისხლს დალევს უწინამც! / და მე ვმდერი: / – აფხაზეთი ჩემი!“. მთელი ხმით შემოგვძახის და მოგვიწოდებს ლექსის ავტორი, რომ არ დავამარცხებინოთ ასეთებს თავი. ზოგ მკითხველს, იქნებ, ერთი კონკრეტული ადამიანი, დიდი თანამდებობის ფუნქციონერი, ახსენებოდა „ამ კაცში“, – ის, ვინც ქართველთა და აფხაზთა გათიშვის მოსურნედ იყო ცნობილი ხალხში... ჩვენი აზრით, „თურქის თემისად“ იმიტომ მოიხსენია, რომ შეენიღბა მისი სახე, – ამ სიტყვებით ნათლად გავგაგებინა, რომ თურქზე არ დაუწერია და, ასე ამგვარად, შენიღბვის

გარდა, კონკრეტული მინიშნების ფუნქციაც შეასრულებინა თავის სიტყვებს...)\*.

ქართულ მწერლობაში, ერთი მხრივ, ბრძოლის, თავგანწირვის სულისკვეთებაა წინ წამოწეული, მეორე მხრივ კი, სულიერი ღვაწლი, შემოქმედებითი ცხოვრება და შრომაა ხსნის გზად დასახული (ცხადია, საბჭოთა ნარატივის სტილით გადმოცემულ შრომის სულისკვეთებას არ ვგულისხმობთ)... მე-19-ის ქართულ ლიტერატურაში ეს გზა ყველაზე უფრო გამოკვეთილად ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილით „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“ არის წარმოდგენილი („*ებლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა*“...). ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ მივიჩნევთ, რომ ქართველ ხალხში მე-20 ს-ში და მანამდე თავისუფლების იდეა უფრო ბრძოლის სულისკვეთებასთან და საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გაღებასთან ასოცირდებოდა, შინაგანად უფრო მეტად სწორედ ამგვარი სულისკვეთება ავსებდა ხალხს და ახლა, როცა, ჩვენი სიმპოზიუმის თემატიკიდან გამომდინარე, გასული საუკუნის 80-იან წლებზე გადაგვაქვს სიტყვა, ვფიქრობთ, არც ამ შემთხვევაში შეეცდებით და ვიტყვით, რომ ამ დროს საქართველოს ეროვნული მოძრობისათვის უფრო პირველი გზის იდეა იყო პოპულარული

---

\* შენიღბულ სათქმელთან დაკავშირებით დავძენთ: ხშირად ხდება, რომ ესა თუ ის ლექსი უყვარს მკითხველს მიუხედავად იმისა, რომ პოეტის სათქმელი ზოგჯერ არცთუ ბოლომდე გასაგებია; გავიხსენოთ ლექსი „სამშობლო“: „*ჯიხვი ქარაფზე ხტის, / ბუზს არ აიფრენთ ქედებო! / კავკასით პონტის პირს / ძირს ჩაკიდულხართ ხედებო! / მე რომ სიკვდილი მჭირს, / ხომ შენგნით, ჩემო ედემო?! / ამბავს წაუღებთ ვის, / თქვენ, ფრინველებო ღვთის – / წითელ-ფეხება მტრედებო?!“; უმშვენიერესია ამ ლექსის ფერები, ისეთი შთაბეჭდილებაც იქმნება, რომ ერთგვარი ზღაპრული სამყაროც წარმოდგება ჩვენს თვალწინ მაშინ, როცა „წითელფეხება მტრედებზე“ ვკითხულობთ, – ის სამყარო, რომელსაც თავისი „ლოგიკა“ აქვს, რომელშიც ყველაფერი არ საჭიროებს ლოგიკურ ახსნას; ეს მართლაც ასეა, ოღონდ, ლექსს, ვფიქრობთ, ლოგიკას სავსებით დაქვემდებარებული სათქმელიც აქვს: რა თქმა უნდა, სამშობლოს გამო იტანჯება პოეტი და „სიკვდილია“ ამ ტკივილის მეტაფორა; როცა ძირითადად ამაზე გადავიტანთ ყურადღებას, ადვილად აიხსნება, თუ რას ნიშნავს სიტყვები: „ამბავს წაუღებთ ვის“: – ცხადია, რომ „ღვთის ფრინველები“ ღმერთთან წაიღებენ ქართველთა ტკივილის „ამბავს“... ღვთისგან რომ არაფერი იმალება, ამას გვეუზნება პოეტი... ვფიქრობთ, ასეთი სურათის დახატვით ღმერთის იმედზე წერს ლექსის ბოლო სტრიქონებში მურმან ლებანიძე.*

და მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა მხრიდან ბრძოლას უკიდურესად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, სწორედ ამ პირველი გზის განსაკუთრებული პოპულარობაც შეიქმნა ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იმისა, რომ სისხლის ფასად დაჯდა თავისუფლებისაკენ სვლა, რის საყოველთაოდ თვალსაჩინო გამოხატულებად 1989 წლის 9 აპრილი იქცა, შინაგანად სწორედ ბრძოლისა და საკუთარი თავის მსხვერპლად მიტანის იდეით იყო დამუხტული ქართული ცნობიერება და, სხვა ფაქტორებთან ერთად, ამ მენტალიტეტმაც განაპირობა, რომ თავისუფლების გზაზე მსხვერპლის გაღება მოუწია ქართველ ხალხს...

ეს არის საკითხები, რომლებიც მეცნიერების არაერთი დარგის ასპექტებიდან საჭიროებს შესწავლას და ჩვენ მათზე აღარ გვაგრძელებთ სიტყვას, ამჯერად ყურადღებას მხოლოდ იმ გარემოებაზე გავამახვილებთ, რომ ქართული მწერლობა ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ერის მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში და, როცა პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებს მიმოვიხილავთ, ისიც ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აკისრია მწერლობას ამ მოვლენათა განვითარებაში. პროზა, პოეზია ადამიანთა სულიერ სახეზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს (თუ მას მხოლოდ გართობისა და თავშექცევის როლი დაეკისრა, ცხადია, სულ სხვა ზეგავლენას მოახდენს...), ქართული მწერლობა უმეტესწილად ყოველთვის უფრო მაღალი იდეალებით აყალიბებდა ხალხის მსოფლმხედველობას და პოლიტიკურ ცხოვრებაზეც დიდი გავლენა აქვს მას მოხდენილი. მსხვერპლის გარეშე ალბათ ძნელია თავისუფლების გზაზე სვლა, თუმც, როცა მწერლობა იმ გზასაც გვიჩვენებს, რომელიც ილია ჭავჭავაძის ზემოხსენებულ წერილში ერთგვარად ფორმულირებული სახით წარმოჩნდა და რაც, როგორც ითქვა, მურმან ლებანიძესთანაც არის ასახული, ცხადია, ხალხის მიერ მხედველობის არეალიდან მეორე პლანზე მისი გადატანა გამართლებული არ არის.

ახლა, რადგან სიტყვამ მოიტანა, სანამ დავასრულებდეთ მოხსენებას, გვინდა, ორიოდე სიტყვით გალაკტიონის ზემოხსენებული ლექსისა („გამარჯობა, აფხაზეთო შენი“, – 1945 წ) და მურმან ლებანიძის „აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავს“ (1976 წ) ურთიერთმიმართების საკითხსაც შევხებით. გალაკტიონთან კვითხულობთ:

გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!  
ლურჯო მთებო, თეთრო სანატორია,  
მომენატრა მზე სინათლის მფენი,  
მომენატრა ზღვა, რომელიც შორია.  
მომაგებე შენ იგივე პალმა,  
სად ოდესმე მშვენიერმა ქალმა  
გადიწერა ჩუმად ლექსი ჩემი,  
მომაგებე მშობლიური მიწა,  
შენი ძველი მეგობარი მიცან!

ამ ლექსმა, რომელშიც მშობლიური მიწის მიგებებას და იმას ითხოვს პოეტი, რომ ძველი მეგობარი იცნოს აფხაზეთმა გალაკტიონში, ჩვენს თანამედროვე მკითხველში ისეთი შთაბეჭდილება დაბადა, თითქოს ქართველთან ძველებური მეგობრობის არმოშლისაკენ მოუწოდებს პოეტი აფხაზს, თითქოს ერთი რიგითი ქართველის ენით ამეტყველებულა და სთხოვს, არ დაავიწყდეს აფხაზს, ქართველი რომ არის მისი ნამდვილი მეგობარი და არ გაუუცხოვდეს ერთიან საქართველოს, გალაკტიონის ლექსში ეს სათქმელიც დაინახა თანამედროვე ქართველმა მკითხველმა, რაც არცთუ დიდი ხნის წინათ დაწერილ სიმღერაში აისახა და ამგვარი განწყობილება მართლაც უნდა იყოს ჩადებული ხსენებულ ლექსში; დასაწყისში, როცა გამარჯობას ეუბნება, თითქოს უმღერს გალაკტიონი აფხაზეთს, შემდეგ კი სთხოვს მას, რომ ძველებური სიყვარულით შეეგებოს. შესაძლოა, ნაწილობრივ პოეტის დროს არსებულმა ვითარებამ და ნაწილობრივ კი პოეტის შინაგანმა, გაუცნობიერებელმა შეგრძნებამ, იქნებ, ერთგვარად წინასწარმეტყველურმა განცდამ გააჩინა ამ ლექსში ძველებური მეგობრობისაკენ მოწოდების განწყობილება; მურმან ლებანიძის მიერ აფხაზეთისადმი მიძღვნილ სტრიქონებში გალაკტიონის ამ ლექსისეული რიტმი, ლექსიკა და სიტყვათა წყობა მეორდება („გა-მარჯობა, აფხაზეთო, შენი“!, – „და მე ვყვირი: – აფხაზეთი ჩემი!“); მურმან ლებანიძეს საკუთარი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რიტმი და სინტაქსი ჰქონდა, შეეძლო, თავისი გამოკვეთილი სტილით ეწერა ყოველთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში გალაკტიონის მიერ აფხაზეთისადმი მიძღვნილი ლექსის რიტმს მიმართა და, ჩვენი აზრით, ეს შემთხვევით არ მომხდარა, – ვფიქრობთ,

რომ მან ასეთივე განწყობილებით ადრიდანვე აღიქვა ხსენებული ლექსი, დიდი პოეტის სიტყვებში სხვა სათქმელთან ერთად ესეც ამოიკითხა და აფხაზეთზე წერის დროს რიტმის გამეორებით შინაგანად გაეხმაურა გალაკტიონის ამ ლექსს, თითქოს აფხაზეთთან მოსაუბრე გალაკტიონის გვერდით დადგა მაშინაც და მასთან ერთად დაიწყო ამ მხარეზე საუბარი, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თავისი საყვარელი პოეტის სტრიქონების წაკითხვის შემდეგ გალაკტიონის მიერ ნათქვამის „გაგრძელება“ მოუნდა და განგაში ატეხა იმის გამო, რომ ვიღაცას აფხაზეთის ხელში ჩაგდება, ერთიანი საქართველოსაგან მისი ჩამოშორება და დამონება მოსურვებია; მრისხანებს პოეტი *ამ კაცზე* და სამშობლოსათვის თავგასაწირავდაც არის მზად; ვიმეორებთ, მურმან ლებანიძეს საკუთარი მხატვრული სამყარო აქვს, მისი ფერები, ხმა გამორჩეულია და მკაფიოდ ჩამოყალიბებული თავისთავადი რიტმითა და სიტყვათწყობითაც არის მკითხველისათვის ეს პოეტი საყვარელი (ლექსის კითხვის მისეული მანერაც უყვარს მკითხველთა უმეტესობას), ამდენად, ჩვენ პოეტურ ზეგავლენაზე, ისევე, როგორც გალაკტიონის ზემოხსენებულ ორ ლექსზე მსჯელობისას, არც აქ ვსაუბრობთ, ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გალაკტიონის რიტმიკასთან მიახლოებით ასევე რემინისცენციას მიმართა მურმან ლებანიძემ და დაბადა განწყობა, რომ თითქოს შეავსო გალაკტიონის ის ნათქვამი, 40-იანი წლებიდან რომ მოგვაწვდინა პოეტმა, თითქოს განავრცო მისი სიტყვა, დიდი პოეტის მიერ თქმულს თავისი მხრიდანაც დაამატა სათქმელი და ახლა უკვე 70-იანი წლების პოზიციიდან თქვა ის, რაც გალაკტიონს 1945 წელს არ უთქვამს, გალაკტიონის საუბარი განაგრძო და დასძინა, რომ მის დროში უკვე რეალური გახდა იმისი საფრთხე, რომ აფხაზმა ქართველში ვეღარ იცნოს ძველი მეგობარი, რომ არსებობს ამქვეყნად ერთი კაცი, რომელსაც აფხაზეთზე უჭირავს თვალი და რომელსაც სურს, რომ აფხაზმა სხვათა საშუალებით წაგვართვას და აღარ მოგვაგებოს მშობლიური მიწა, გაგვიუცხოვოს და სიყვარულით ნათქვამი გამარჯობის თქმისას ასეთივე გამარჯობით აღარ შეგვეგებოს, სურს, ვეღარ იცნოს აფხაზმა ქართველში ძველი მეგობარი, გადაამტეროს ისინი ერთუბრთს და შემდეგ დაანაწევროს მათი ქვეყანა და თვითონ იგდოს ხელთ აფხაზეთი (ერთ ადამიანზე მიგვანიშნებს, თუმც, ცხადია, იცის, რომ მარტო არაა ეს კაცი და მთელი სისტემა დგას მის უკან). გალაკტი-

ონის ლექსი, როგორც ითქვა, „სიმღერის“ განწყობით იწყება და შემდეგ ძველებური მეგობრობისაკენ მოწოდება გაისმის; მურმან ლებანიძე წერს: „და მე ვყვირი: / – ჩემს სისხლს დალევს უწინამც!“, მერე თითქოს ახსენდებაო, „სიმღერაც“ რომ არის გალაკტიონის ლექსი და თავის ნათქვამს, შესაძლოა, ისევ გალაკტიონთან შეხმიანების მიზნით ამატებს: „და მე ვმღერი: / – აფხაზეთი ჩემი!“, თუმც, გალაკტიონისეზური „სიმღერა“ არ იგრძნობა მის სტრიქონებში, გალაკტიონის რიტმსა და სიტყვათწყობას იმეორებს, რითაც მის ლექსს გვახსენებს, მაგრამ სათქმელის შინაარსს ერთიანად ცვლის და, გალაკტიონისაგან განსხვავებით, განგაშისა და მრისხანების ზარებს რეკავს; პოეტები ხშირად მართავენ ხოლმე შინაგან დიალოგს, ეხმაურებიან ერთი-მეორეს, ზოგჯერ ძალიან ღრმადშინაგანი და შემალულია ეს დიალოგი და საჭიროა, გავიგონოთ მათი ურთიერთშეხმიანება.

ჩვენი მოხსენების მთავარი დასკვნა ასეთ სახეს ღებულობს:

**ფვიქრობთ, მურმან ლებანიძის ლექსის („უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი“) უკეთ გასაგებად აუცილებელია, რომ ლადო ასათიანის „კრწანისის ყაყაჩოებისა“ და გალაკტიონ ტაბიძის ლექსების („მშობლიური ჩემო მიწავ“ და, ასევე, – „ნიკორწმინდა“) კონტექსტში განვიხილოთ იგი, ჩვენი აზრით, მურმან ლებანიძე ლადო ასათიანისა და გალაკტიონის ხსენებულ ლექსებზე მიგვაწინიშნებს თავისი „სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთით“.**

P.S. ამ საკითხებზე ჩვენთან პირადი საუბრისას ქ-ნმა მანანა კვაჭანტირაძემ აღნიშნა, რომ „არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი“ გამომახილი უნდა იყოს გრიგოლ ორბელიანის სიტყვებისა, რომლებიც შემდეგ ანა კალანდაძესთან გამეორდა: „**სხვა საქართველო სად არის!**“; ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ შეხედულებას, სრულიად დამაჯერებელია აზრი, რომ ამ სიტყვებს მართლაც გაეხმაურა „უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოების“ მხილველი პოეტი, უდავოა, რომ სტრიქონები: „**სხვა საქართველო სად არის!**“ და „**ამაზე მეტი სხვა სამშობლო არ გამაჩნია!**“ მართლაც ერთ კონტექსტშია განსახილველი; გრიგოლ ორბელიანის ეს ფრაზა ტიცაინ ტაბიძემაც აიტაცა („**სხვა საქართველო მაინც სად არის!**“), იოსებ ნონეშვილმაც დაწერა მასზე რემინისცენციით ლექსი („**ერი გულადი, პურადი!**“, / **სტუმარს ღვთის კაცად თვლიან,** / **არის ასეთი**

**ქვეყანა, / მას საქართველო ჰქვია“)**, ალბათ ბევრს ახსოვს გიორგი ცაბაძის მიერ გიორგი ხუხაშვილის ლექსზე შექმნილი სიმღერა, რომლის ტექსტი, მიუხედავად იმისა, რომ მასში თბილისია ნახსენები და არა – მთელი საქართველო, ასევე გრიგოლ ორბელიანისაგან არის დავალებული (**„ვეძებ და ვერსად ვპოვე მე სხვა თბილისი“**), პოეტები დიდ სიყვარულს გამოხატავენ საქართველოს მიმართ, გულწრფელი სიყვარულით აღწერენ მის ღვთაებრივ მშვენიერებას, – აქაურ ხალხსა და ქვეყანას, გულწრფელად ეფერებიან სამშობლოს და მურმან ლებანიძეც მხარს უბამს მათ, კითხვა – **„სხვა საქართველო სად არის“** პასუხს თავისთავად გულისხმობს და, როგორც ჩანს, ეთანხმება მურმანი გრიგოლ ორბელიანს, ტიციან ტაბიძეს, ანა კალანდაძეს, ადასტურებს, რომ **არსად არ არის სხვა საქართველო**, არ გაგვაჩნია ჩვენ სხვა სამშობლო...

და ერთსაც დავძენთ: კარგი იქნება, ცალკე ნაშრომში წარმოჩნდეს, თუ როგორი გრადაცია განიცადა **„სხვა საქართველოს“** ხსენების, მისი „ძიების“ თემამ ქართულ პოეზიაში: ბოლო, რასაც ამ სახეცვლილებათა და აღმა-დაღმასვლის მაჩვენებელ „რუკაზე“ ვხედავთ, **ჯერჯერობით** ვახუშტი კოტეტიშვილის ეს სტრიქონებია: **„გავაბითურეთ სამშობლო, / მართლა სამოთხის სადარი, / სხვა საქართველო კი არა, / თვით საქართველო სად არის!“**\* ღვთის წინააღმდეგ ამბოხების გამო ზეციდან გადმოგდებული ანგელოზი, **„ქება და დიდება ქართულისა ენისა“** და მკვდარი ლაზარეს საფლავთან მდგარი იესო ქრისტე გვახსენდება ამ ყოველივეს ფონზე და იმედად ის რჩება, რომ ქართულ პოეზიასა თუ პროზაში ოდესმე დაიწერება სულიერად მართლა განმაცოცხლებელი ფრაზები, უფლის ამ სიტყვებით რომ იქნება ნასაზრდოები: **„ლაზარე, გამოვედ გარე!“**...

---

\* ამავე სემანტიკურ სივრცეშია განსახილველი ეს ოპოზიციური კონტექსტი: ერთი მხრივ, – პოეტის მიერ გარემოს ასეთი აღქმა: **„რა ძნელია, [...] მიდიოდე და ჰფიქრობდე, ეს არ არის საქართველო“** (გალაკტიონი, მის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი) და მეორე მხრივ, – **„მიდიოდა ნინო მთებით [...] მწყემსმა უთხრა: საქართველო არის ესე“** (ანა კალანდაძე)...



## **დამოწმებანი:**

**ასათიანი 1988:** ასათიანი, ლ. *რჩეული (ლექსები, წერილები, ჩანაწერები)*. შეადგინა მანანა ასათიანმა, მურმან ლებანიძის რედ. და წინასიტყვაობით. თბილისი: 1988.

**გალაკტიონი 1988:** ტაბიძე, გ. *თხზულებანი ორ წიგნად, ლექსები*. ტ. I. შეადგინა ვ. ჯავახაძემ. თბილისი: 1988.

**კვაჭანტირაძე 2016:** კვაჭანტირაძე, მ. „ავტორის პრობლემა გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებაში“. *სჯანი*, 16. თბილისი: 2016.

**ლებანიძე 1987:** ლებანიძე, მ. *რჩეული ლირიკა*. თბილისი: 1987.

**რჩეულიშვილი 1961:** რჩეულიშვილი, გ. „სალამურა“. *მოთხრობები*. გ. შატბერაშვილის წინასიტყვაობა. თბილისი: 1961.

**ცხადაია 2012:** ცხადაია, ზ. „მურმან ლებანიძე“. *ლიტერატურული ძიებანი*, XXXIII. თბილისი: 2012.

პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტური ქვეყნების  
ლიტერატურული ტენდენციები  
**Literary Trends in Post-Soviet and Post-Socialist  
Countries**

---

**Manana Kvachantiradze**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

**The Concept of Freedom in Novels of Otar Chiladze  
(„March Rooster“, „Avelum“)**

Freedom is one of the main signified and complex semantic structure in Otar Chiladze's novels. The second member freedom-slavery opposition is viewed not as indispensable determination but as challenge that could be overcome by human effort.

In Otar Chiladze's novels we meet wide range of freedom-attachment semantics. For example attachment to the will of destiny, to homeland, to love and hate, illness and sin, poverty and freedom etc. With a chain (Amiran); bed (Nico's father) sin (Gogia's uncle); love (Avelum); grave (Gij-kola); dream (children with wings) etc. Being attached, chained, being incapable to escape something or from something is the global form of existence represented in the symbol of Amiran.

The text of Otar Chiladze's novels generates significances of freedom on the level of content and representation in narrative as well as in poetic figures. The concept of freedom in correlation with concepts of life, savior, love, past and memory creates associational field of long-lasting emotional impact where mental image of freedom in connection with new signs acquires important shades.

**Key words:** Freedom, existence, memory.

## მანანა კვაჭანტირაძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

### თავისუფლების კონცეპტი ოთარ ჭილაძის რომანებში („მარტის მამალი“, „ავალუმი“)

ოთარ ჭილაძის რომანებში თავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად არსანიშნს და რთულ სემანტიკურ სტრუქტურას. სულხან-საბა ორბელიანი თავისუფლებას ნეგაციის გზით განმარტავს: „თავისუფლება – არავისი მონა (I კორინთელთა, 9. 19). რაც ენებოს, ქნას. აზატი, თარხანი“. „რამეთუ თავისუფალ ვიყავი ყოველთაგან და ყოველთა თავი ჩემი დავამონე, რაითა უმრავლესნი შევიძინე“ (ასევეა განმრტებული თავისუფლების ცნება ჩუბინაშვილთან. სხვათა შორის, სარტრის ცნობილი ფორმულაც „ადამიანს მისჯილი აქვს თავისუფლება“ თავისუფლების სწორედ ასეთ, სასჯელთან (აუცილებლობასთან) დაკავშირებულ გაგებას უღლისხმობს).

ოთარ ჭილაძის რომანებში თავისუფლების მნიშვნელობა არ მოიაზრება ფართო კონოტაციურ-ასოციაციური არეალის გარეშე, სადაც მონობის, მიჯაჭვულობის, აუცილებლობის, მოვალეობის, პასუხისმგებლობის მნიშვნელობები მნიშვნელოვნად ცვლიან ცნების დენოტაციურ მნიშვნელობას. მნიშვნელობათა ამ ველში თავისუფლება ცნობიერდება როგორც წინააღმდეგობა, რომლის გადალახვაც ადამიანის განუწყვეტელ ძალისხმევას მოითხოვს.

ოთარ ჭილაძესთან ვხვდებით თავისუფლება მიჯაჭვულობის მნიშვნელობათა ძალზე ფართო სპექტრს: მიჯაჭვულობა განგების ნებაზე, შიშზე, მოვალეობაზე, სამშობლოზე, სიყვარულზე, სიძულვილზე, ავადმყოფობაზე, ცოდვაზე, სიბეჩავეზე, თავისუფლებაზე და ა.შ. – ჯაჭვით (ამირანი); საწოლით (ნიკოს მამა); ცოდვით (გოგას ბიძა); სიყვარულით (მედეა); საფლავით (გიჟკოლა); ვენახით (გიორგ), „სანგრით, რომელშიც განგება ჩავსვამს“ (ყველა); აფრისხელა ტილოთი (უხეირო); სიკეთით (ანა); ბოროტებით (ქაიხოსრო); წარმოსახვით (ფარნაოზი); რეალობით (კუსა); ოცნებით (პატარა უხეირო, ფრთიანი ბავშვები) და ა.შ. მიჯაჭვულობა, ტყვეობა, თავდაუღწევლობა რაღაცაზე და რაღაცისაგან წარმოადგენს

ადამიანის არსებობის გლობალურ ფორმას და ამირანი მისი მარადიული სიმბოლოა.

თავისუფლების მნიშვნელობებს და ფორმებს ოთარ ჭილაძე ეძებს როგორც მატერიალური ყოფიერების, ისე აზრის დონეზე, როგორც შინაარსის, ისე ასახვის დონეზე, როგორც ნარატიულ სვლეტში, ისე პოეტურ ფიგურებში. იგი განუწყვეტლივ გადალახავს მზა სტრუქტურებს და პოულობს ახლებს ახალ მნიშვნელობათა შემოსატანად. თავისუფლების კონცეპტი სიცოცხლის, გადარჩენის, სიყვარულის, წარსულისა და ხსოვნის კონცეპტებთან კორელაციაში ქმნის ხანგრძლივი ემოციური ზემოქმედების ასოციაციურ ველს, სადაც ახალ ნიშანთა გარემოცვაში თავისუფლების მენტალური ხატი მნიშვნელობათა ახალ ნიუანსებს იძენს. ასე, მაგალითად: თავისუფლება-ტყვეობის ოპოზიციის პირველი წევრის მეტისმეტი სემანტიკური გაფართოება ერთი მიმართულებით მარტოობის, უპასუხისმგებლობის, იმპულსური ნებისა და „მიუბმელობის“, უსიყვარულობის, დავიწყების სემანტიკურ მნიშვნელობათა ველს ემიჯნება (ქაიხოსრონოე, პეტრე, კუსა, იაგორა), და ესაა თავისუფლების გაგების უარყოფითი ინტენცია. მეორე წევრი კი – ერთგულებას, მორჩილებას, თავგანწირვას, პასუხისმგებლობას, შიშს, სიყვარულს, ტანჯვას – ამ სემანტიკაში არათავისუფლების დადებითი ინტენციები იჩენენ თავს (აველუმში, გიორგა, ანა, ფარნაოზი, ინჟინერ ნიკოს მამა, მელანია).

აველუმის განხილვა ინდივიდუალური თავისუფლების კუთხით წარმოაჩენს თავისუფლების შესაძლებლობა-შეუძლებლობის, მისი შინაგანი წინააღმდეგობების კონოტაციათა რიგს, სადაც თავისუფლება წარმოდგენილია როგორც ყველგანშემდღვევი სტრუქტურა, ადამიანის შინაგანი არსის ოპოზიციურობის, ორბუნებოვანების უმთავრესი ნიშანი, აქცენტირებულია თავისუფლება – მონობის (როგორც აუცილებლობის) გადაულახავი ერთიანობა. ეს შინაგანი წინააღმდეგობა მუდავნდება ყველა დონეზე, ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში: შინაგანსა თუ გარეგანში, ფიზიკურსა თუ სულიერში, სოციალურსა თუ მორალურში და ა.შ. და ა.შ.

„მარტის მამალში“ თავისუფლების პრობლემა გადაიჭრება ინდივიდუალურ დონეზე იმ ზნეობრივი პასუხისმგებლობის გაცნობიერებით, რომელიც ერთიანობის თითოეულ წევრს აკისრია

საერთო წარსულისა და მომავლის, საკუთარი პიროვნების, როგორც ამ მთელის ნაწილის სულიერი სრულყოფის მიმართ.

აველუმის შინაგანი ბრძოლა და მცდელობა იმისათვის, რომ „სწორედ თავისუფალი, სწორედ სრულყოფილიანი მოქალაქე იყოს თუნდაც მის წარმოდგენაში არსებული ქვეყნისა“ უკავშირდება სიყვარულისა და გადარჩენის კონცეპტებს, ანუ ოთარ ჭილაძის მთელ დანარჩენ სისტემას უღრმეს სტრუქტურულ დონეზე. აველუმის აზრის განუწყვეტელი წრიული მოძრაობა სიყვარულის, თავისუფლებისა და გადარჩენის იდეების გარშემო იმეორებს ამირანის მოდელს, მხოლოდ კულტურულ-სულიერ ღირებულებებზე მიჯაჭვულობის აზრით. თავისუფლებაც სხვა არაფერია, თუ არა სიყვარულის, სიკეთისა და ადამიანობის გადარჩენისათვის ბრძოლის უფლება. ბრძოლა იმისთვის, რომ არასოდეს აღმოჩნდე მათგან თავისუფალი. და თავისუფლება, ისევ და ისევ, სხვა არაფერია, თუ არა მიჯაჭვულობა წინაპარზე, სამშობლოზე, დედაზე, ქალზე, ოჯახზე, შვილზე, ენაზე – ურიცხვი ჯაჭვი, რომელიც აზრს აძლევს სიცოცხლეს და მარტოობისაგან იფარავს ადამიანს.

თავისუფლების ცნება ძველი შუმერის გაგებიდან, ან სულაც, ამირანიდან დაწყებული დღემდე, თანამედროვე გაგებამდე მოიცავს მნიშვნელობათა ძალზე ფართო სპექტრს: სტიქიური თავისუფლებიდან (რომლის აღკვეთის ფორმა არის კიდევ ძალისმიერი ქმედება – ჯაჭვით პალოზე მიბმა) სულიერ თავისუფლებამდე, რომლის აკრძალვა ნიშნავს სიყვარულის აკრძალვას და სამწუხაროდ, გარეგნულად არაფერი ვლინდება თუ არა კვდომის, და არა სიკვდილის – ხანგრძლივ პროცესში, მხოლოდ საშინელ, უჩუმარ და შემტევ ზეწოლაში ყველაფერზე, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს. „აველუმში“ წარმოდგენილია თავისუფლების იდეის ყველაზე ღრმა ასოციაციური მნიშვნელობები, ცნაურდება თავისუფლება – ტყვეობის ოპოზიციის თითქმის ყველა ასპექტი, მთელი მისი შინაგანი წინააღმდეგობები – ცენტრალური და პერიფერიული, ზედაპირული და სიდრმისეული, უხილავი, ასოციაციური და ამკარა, ხელმესახები. დგინდება თავისუფლების იდეის კავშირი სხვადასხვა ეგზისტენციებთან, ფსიქოლოგიურ მდგომარეობებთან, ცნობიერების მიმართულებებთან – სიყვარულთან, მოვალეობასთან, ოჯახთან, შვილთან, წარსულთან და

მომავალთან, პიროვნული და ეროვნული ღირსების გრძნობასთან, სიკვდილთან და სიცოცხლესთან, მარტოობასთან, გადარჩენასთან, ადამიანის ცნობიერ და არაცნობიერ იმპულსებთან.

თავისუფლების ნება წარმოდგენილია როგორც ადამიანური ყოფიერებისა და ცნობიერების უღრმესი სტრუქტურა, ადამიანის ძირითადი სასიცოცხლო ნება და სწრაფვა. ნებასა და უფლებას შორის განფენილ სივრცეში შემოდის სწორედ კაცობის, ადამიანობის კონცეპტი, როგორც ნების განუწყვეტელი სვლა უფლებისაკენ და მთელი ტრაგიზმი ამ ლტოლვისა: „თავზარდამცემი სისასტიკითა და დაუნდობლობით იგრძნო, თუ რა მძიმე ტვირთია კაცობა, რა ძნელი სატარებელი“ („აველუმი“). თავისუფლების კონცეპტი უკავშირდება შინაგანი და გარეგანი დაბრკოლებების გადალახვას. ამ გზით კი სიცარიელეს, ღია სივრცეს, მარადისობას, მიუკუთვნებლობას, უსხეულობას, უდროობას. ყველა ესენი ერთი სემანტიკური იზოტოპიის ელემენტებია, ანუ წარმოდგენები, რომელთა სემანტიკური ველები ერთ რომელიღაც წერტილში ერთმანეთს აუცილებლად გადაკვეთენ. თავისუფლება უწყვილდება ბედნიერების აბსტრაქციებსაც. სიყვარულის კონოტაციითა სივრცეში ჭილაძე თავისუფლების კონცეპტს უკავშირებს მის ოპოზიციურ ცნებას – მონობას, მიჯაჭვულობას და ამ გზით გადალახავს თავისუფლება-ტყვეობის ოპოზიციას. ამრიგად, მაშინ, როცა თავისუფლებისა და სიყვარულის ფარული მნიშვნელობები ერთმანეთს გადაკვეთენ (სიყვარული = თავისუფლება), თავისუფლების კონოტაციურ დონეზე ჩნდება მიჯაჭვულობის, მიკუთვნებულობის, მორჩილების მნიშვნელობები (სიყვარული = მიჯაჭვულობას). თავისუფლება-ტყვეობის ეს მნიშვნელობა თავს იჩენს ფარნაოზისა და ინოს სიყვარულში, ელენესა და თბილისელი მსახიობის ურთიერთობაში და განსაკუთრებით ძლიერად – „აველუმი“; სადაც სიყვარულის მნიშვნელობა თავისუფლებისა და ტყვეობის ნიშანთა განუწყვეტელი მონაცვლეობითა და ურთიერკავშირებით იქმნება.

ნიკო ამირანულის მატარებელიცაა („ყველა შვილი ამირანია“) – „მარტის მამალი“ და უარყოფილიც ერთსა და იმავე დროს („მე თუ მკითხავ, არაფერია მაგაში სატარაბახო“). „ამირანულის“ კრიტიკული გაცნობიერებით მზადდება ნიკოს იდენტიფიკაცია გენეტიკურ-კულტურულ ერთიანობასთან. გასათვალისწინებელია,

რომ ამირანი და მედეა ჰომოლოგიური, ანუ ფუნქციურად ანალოგიური სტრუქტურებია („მედეასა და ამირანის ქალიშვილი“), – ამბობს მწერალი ერთგან თანამედროვე ქართველ ქალზე. ორივე შემთხვევაში სახეთა საერთო ნიშანია ნათესაურ-გენეტიკურ კავშირთა შეუფასებლობა: ამირანი – ნათლია ღმერთზე (მამაზე) ხელის აღმმართველი; მედეა – ნებსით თუ უნებლიეთ მამის უარყოფელი და ძმის მკვლელობის თანამონაწილე. ის, რასაც თაობათა დაპირისპირების არქაულ მოდელებში მამრობითი სქესის შთამომავალი ასრულებს (მამის დამხობა), შეასრულა მედეამ, ქალმა.

ამირანის მოდემისანი ყველანი – მამებიცა და შვილებიც – მიჯაჭვულნი არიან: შიშს, დედის მონატრებას, ბავშვობას, უძლურებას, სიყვარულს ან მეგობრობას; ხთონური ძალების სიჭარბეს, გენეტიკური ერთიანობის შეუფასებლობას, სიძულვილს, ცოდვას და ა. შ. შვილმა უნდა გადაჭრას თავისუფლების პრობლემა წარსულის გაცნობიერებით. უცნობი, როგორც წარსულის ხატი გზისმკვლევის, წინამავალის უღრმესი ნიშანია. ნიკო მხოლოდ მასთან შეხვედრის შემდეგ ხვდება, რომ შინაგანი თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა ბრძოლის უფლება და მორალური პასუხისმგებლობა ყველაფერი იმის მიმართ, რითაც სიცოცხლე აზრს იძენს.

ამირანის სახე რომანში გააზრებულია, როგორც საერთო-ქართული ფენომენის არქეტიპი: „ყველანი ამირანის შვილები ვართ“. იგი „მუშაობს“ იმგვარად და იმის ანალოგიურად, როგორც ადამიანის სუბიექტურ-პერცეფციულ დროში „მუშაობს“ დროის არქეტიპი – მითოსური ციკლური დრო. ამირანის არქეტიპი ჩვენი ცნობიერების ფესვეული ეთნოფსიქიკური მოდელია, რომელშიც ქართული კოლექტიური არაცნობიერი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თავისუფლების პრობლემისადმი თავის დამოკიდებულებას ავლენს: უძველეს არქაულზე – სასიცოცხლო ყოფითი წესებითა და ცნობიერების პრობლემებით აღძრული აკრძალვებისა და დაბრკოლებების მიმართ; უფრო გვიანდელ და თანამედროვე ეპოქებში კი – ეროვნული და პიროვნული არათავისუფლებისადმი (რელიგიური, მორალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და ა.შ.). ის, რაც ითქვა, კიდევ ერთხელ ადასტურებს იუნგის აზრის საფუძვლიანობას, რომ არქეტიპი წარმოადგენს „კოლექტიური

არაცნობიერის ნაყოფს, რომელიც ატარებს უპიროვნო ობიექტურობას და ასახავს ადამიანური ფსიქიკის უღრმეს შრეს. მისი შესაბამისი მითოლოგიები სიმბოლური აზრის კატეგორიებია, რომელთა გაშიფვრა მხოლოდ სხვა ხატოვან ენაზე გადატანით ხდება შესაძლებელი“.

ეს „გადატანა“ და „გაშიფვრა“, რომელიც ჩვენს შემთხვევაში ცნობიერების რომანის მეშვეობით ხორციელდება, გარკვეულ მიზანს ისახავს. იგი აზუსტებს „ამირანულის“ კონცეპტის ისტორიულ ცვალებადობას თავისუფლების იდეასთან მიმართებაში. ყოველგვარი მითოლოგიური სტრუქტურისა და მოდელის ლიტერატურული რედუბლიკაცია წარმოადგენს ცნობიერესთეტიკურ ოპერაციასა და მორალურ ინსტრუმენტს საზოგადოებრივ-ისტორიული წინააღმდეგობების დასაძლევად – განსხვავებით მითოლოგიისაგან, რომელიც კლოდ ლევი-სტროსის აზრით „არაცნობიერი ოპერაციების არენა და ლოგიკური ინსტრუმენტია ცნობიერებისეული და ყოფითი დაბრკოლებების გადასალახავად“.

მითის, არქეტიპის ხელახალი სიცოცხლე, ეს ხელახალი „ჩართვა“ ახალ კულტურულ-ფასეულობით სისტემაში ოთარ ჭილამის „მარტის მამლის“ მიხედვით ამირანის არქეტიპის ახლებურ გააზრებას გვთავაზობს. მასვე უკავშირდება რომანის სიმბოლური ქვეტექსტის გააზრებისათვის აუცილებელ ნიშანთა მთელი სისტემა (ფასკუნჯი, ნაცარქექია, მჭედლები, ჯაჭვი, გოშია, ყვავ-ყორნები, გამოქვაბული...)და ყველა მხატვრული თუ აზრობრივი სტრუქტურა, რომლებიც სხვადასხვა სივრცული და დროითი პლანების (ისტორიული, მითოლოგიური, მხატვრული, სუბიექტური და ობიექტური) გამთლიანებაში იღებენ მონაწილეობას.

თავისუფლება-ტყვეობა სიკვდილ-სიცოცხლის მედიალური (შუალედური, მომრიგებლური) ოპოზიციია. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ისტორიული განვითარების გარკვეული ეტაპიდან ამირანის მითის ამ მედიალურ ოპოზიციამში თავდაპირველი რადიკალური ოპოზიცია გამჟღავნდა და თავისუფლება, მონობის მიღმა ქართველმა კაცმა სიკვდილ-სიცოცხლის, დარჩენა-გაქრობის ალტერნატივა წაიკითხა. თავისუფლება შენი სასიცოცხლო ძალისა და უფლების აღიარებაა სამყაროს მერ. სადაც ეს აღიარება



წყდება, იქ სიკვდილის ბილიკი იწყება. უფლებას მოპოვება უნდა, მოპოვებას კი ძალა სჭირდება. ამიტომ, თავისუფლება-ტყვეობის ოპოზიცია იმთავითვე გულისხმობს სიკვდილ-სიცოცხლის ოპოზიციას.

თუკი ამ თვალთ გადავხედავთ მითოსურ და არქეტიპულ სიმბოლოებს „მარტის მამალში“, მაშინ ნიკოს თვალდახუჭული წოლა და ფიქრი – უკვე მოვკვდიო, საკუთარ ცნობიერებაში ჩადირვა და კვლავ სიცოცხლისაკენ გამობრუნება (საწოლიდან წამოდგომა), ასევე, გიჟკოლას საფლავეში ჩაწოლა, ძილი და გამოღვიძება ინიციაციის რიტუალზე მიგვანიშნებს (ძილი სიკვდილის ფსიქოლოგიური არქეტიპია). მისთვის, ვინც რომანის ტექსტს იცნობს, გასაგებია, თუ რაზეა აქ საუბარი: შემთხვევის გამო ინტენსიურად იწყება ნიკოს თხუთმეტი წლის ბიჭის ცნობიერების ყველა პლასტის ამუშავება. ნიკომ უნდა დაძლიოს და გადალახოს სულიერი სიკვდილისაკენ მიმავალი გზა, დაძლიოს ცნობიერების ინფანტილიზმი და ზნეობრივ ღირებულებებთან მიბრუნებით მონობის ბორკილი უნდა ახსნას საკუთარ თავს. ამიტომ კაცობისაკენ გადადგმული პირველივე ნაბიჯები ჯაჭვის მსხვერვის ხმას გამოსცემს. ნიკოს შეგრძნებაში ეს ხმა ერთდროულად ბავშვობის ბორკილის ახსნასთანაც ასოცირდება და მამის ავადმყოფობასთანაც, რომელიც „საწოლსაა მიჯაჭვული“.

მამები თავისუფლებასა და გადარჩენის კოდის შემნახველნი არიან, მაგრამ – ვერშემსრულებელნი, უძლურნი; შეფიცულები, მაგრამ უმწეოები. ოპოზიცია ჩნდება იმიტომ, რომ შვილებმა არ იციან კოდი და ვერც მამებისაგან გებულობენ გადარჩენის საიდუმლოს. სწორედ ამის გამო ყოველ მამაში არის ის, რაც მას დამნაშავის მდგომარეობაში აყენებს შვილის წინაშე და ყველა შვილშია ის, რაც სინანულს აღძრავს მამის წინაშე. შვილებმა უნდა იტანჯონ, სანამ მიხვდებიან, განუწყვეტლივ უნდა იარონ, როგორც მწერალი ამბობს, სიბნელიდან სიბნელეში, ერთი ციხიდან მეორეში, იმპერიის ერთი ქალაქიდან მეორეში, რადგან არანაირი ფასი არა აქვს ცოდნას, თუკი იგი შენი ტანჯვით არ არის მოპოვებული; შენივე მარტოობით, სიყვარულით, თავისუფლების ჯერ დათმობითა და მერე მისკენ განუწყვეტელი სწრაფვით, სიძულვილის დაძლევითა და სიკეთის გამრავლებით; მკვდრის დამარხვით ანუ პასუხისმგებლობით, სიყვარულით, ერთგულებით ძველის მიმართ და ყველაფერი იმის

მიმართავ, რაც ადამიანის ცნობიერებაში შემოაღწევს. ამიტომ არის აველუმი აველუმიც, ომში დახოცილი მისი თაობაც და 9 აპრილს დაღუპული შთამომავალიც. სხვისი შვილების, სხვისი გვამის, სხვისი წარსულისა და მომავლის მომპატრონებელი, გადარჩენისა და თავისუფლების მარადიული მძებნელი. მისი ცნობიერება შემკრები ცნობიერებაა ფარნაოზივით, ალექსანდრესავით, ნიკოსავით. მხოლოდ ასეთს შეუძლია გადარჩენაც და განთავისუფლებაც – თავისი კულტურული წარსულის მატარებელს, გადამცემს, გამომზოგავსა და განმანაწილებელს; თუ რეალურად გადამრჩენს ვერა, შემნახველს მაინც – მფრინავი ბავშვის მშობელი ფარნაოზივით, აველუმივით; შიშით შეჭმულს, მაგრამ ამ შიშის დამთრგუნველსაც ერთდროულად – ნიკოსავით; მარად თავისუფლების მძებნელს – გელასავით. და ადამიანობაც ხომ მხოლოდ ესაა – „ბრძოლის უფლება“...

ნიკოს გაღვიძებული ცნობიერება ერთ რკალში მოაქცევს პიროვნული და ეროვნული თავისუფლების იდეებს. ეროვნული თავისუფლების პრობლემის გადაჭრა, ოთარ ჭილაძის კონცეფციის თანახმად, მხოლოდ ასეთ პერსპექტივას გულისხმობს. ეს გზა, არსებითად, მკვდრეთით აღდგომის, ხელახლა დაბადების, ლაზარეს გზაა: „ლაზარე ოთხი დღის მკვდარი გააცოცხლა, თურმე, დმერთმა“.

ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე ამირანის მითის მენტალურ სტრუქტურებს შეჯახება უხდებოდათ ახალ-ახალ ობიექტებთან და იცვლებოდნენ კიდეც ან შეჯახებებისაგან მიღებული გამოცდილების კვალობაზე. ისინი გამოხატავდნენ კოლექტიური არაცნობიერის გამყარებულ შეხედულებას მოვლენაზე, მოვლენათა ურთიერთმიმართებაზე მათი დანიშნულებით ასპექტით. იმისათვის, რომ გავარკვიოთ, სახელდობრ, საზოგადოებრივი ცნობიერების რა ტენდენციებს ასახავდნენ ამგვარი ცვლილებები არქეტიპში და რა სამომავლო პერსპექტივაზე იყვნენ ისინი ორიენტირებულნი, აუცილებელია თვალი გადავავლოთ ამირანის არქეტიპის განვითარების ზოგად ტენდენციას ისტორიულ ჭრილში.

ამირანის მითის განვითარებისა და ისტორიული ცვალებადობის კვალდაკვალ თანდათან ხდებოდა არქაული ფენების გადაფარვა უფრო გვიანდელი ეთნოკულტურული ცნობიერების ფენებით.

ამის შედეგად უკუგდებული აღმოჩნდა მითის უმთავრესი მენტალური სტრუქტურა და დანაშაული-სასჯელის ოპოზიციის ამხსნელი თავდაპირველი ელემენტი – ნათესაურ კავშირთა შეუფასებლობა. ის, რაც არქაულ სისტემებში „მუშაობდა“ როგორც ნათესაურ-გენეტიკური კავშირი (სავარაუდოა, რომ ამირანის მითის არქაულ ვარიანტში ღმერთის ნაცვლად უშუალო სისხლისმიერი ნათესაური კავშირის განმასხიერებელი ელემენტი იკითხებოდა. ამ ვარაუდის ნებას გვაძლევს სტრუქტურული ანთროპოლოგიის გამოცდილება და ტოტემის და ტაბუს ფროიდისეული თეორიაც), უფრო გვიანდელ სისტემებში თანდათან მოიშალა და სხვა რელიგიურ-ეთიკურ კონტექსტში აღმოჩნდა ჩართული. აქ ამირანის მოწინააღმდეგე უკვე ქრისტე-ღმერთია და მისი ნათლიაა. თუ გავიხსენებთ, რომ ქრისტიანული ტრადიციით, ნათელმრონობა სისხლისმიერზე უფრო ძლიერ კავშირად მიიჩნეოდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ აზრით, ამირანის დანაშაულზე ემფატიკა კიდევ უფრო გაძლიერებულია. სამაგიეროდ, ამირანის მზვავობის, მოუთოკავი ხთონური ენერჯის ნიშნები ეპოსში ერთგვარად გაზავებულია რელიგიურ-მორალური ნიშნებით: უპატრონო მკვდრის დამარხვა, მორალური სენტენცია „სისხლიან პურსა ვჭამთ ყველანი“. ნებისმიერ შემთხვევაში, ღმერთთან ჭიდილი არის ზღვარს გადასვლა დამზადებლის, სიცოცხლის მიმნიჭებელის მიმართ (ბიოლოგიურ თუ რელიგიურ კონტექსტში), ე. ი. გენეტიკურ – მეტაფიზიკური ერთიანობის შეუფასებლობა, ერთი სიტყვით, უმთავრეს სასიცოცხლო ძალასთან კავშირის უგულვებლყოფა.

არქაულ ვარიანტში ამირანი ისჯება სწორედ შეუფასებლობისთვის, მზვავობისთვის, და არა რაიმე მისიის შესრულებისათვის (როგორც, მაგალითად, კულტურული გმირი), სწორედ სტიქიურ ძალთა მოურევნელი, უკონტროლო სიჭარბის გამო.

კოლექტიური არაცნობიერების განვითარების გვიანდელ ეტაპებზე აშკარად შეინიშნება მითის მთლიანობის რღვევა. მისი არქაული მენტალობა რაღაც ძალზე მნიშვნელოვან და აუცილებელ ელემენტს კარგავს. ლოგიკურ სტრუქტურებს ფსიქიკის ამორფული სტრუქტურები ენაცვლება. ამირანის მითის ეპოსურ შრეებში დანაშაულისა და სასჯელის ლოგიკური ურთიერთგამომდინარეობა დარღვეულია ისევე, როგორც ხასიათის ნიშანთა ლოგიკური ურთიერთშესაბამისობა და აღქმისას ფსიქოლოგიურ და მორა-

ლურ დისკომფორტს ქმნის. ამ ხარვეზზე თანამედროვე ქართულმა ლიტერატურათმცოდნეობამაც გაამახვილა ყურადღება (იხ. გ. ბარნოვის, რ. ჩხეიძის წერილები). ეს უხერხულობა იმითაა საგულისხმო, რომ გარკვევით მიგვითითებს რაღაც საშუალებდო გარდამავალი ელემენტის არარსებობაზე, ამოვარდნაზე, რაც სისტემათა გადართვის მომენტში დაიკარგა, ან უბრალოდ, კოლექტიურმა ცნობიერებამ ვერ გამოძებნა სისტემათა შორის ურთიერთშეწონილობის საზომი.

ისტორიულ გარემოებათა გამო მითის შინაგანი რღვევის ეს პროცესი განსაკუთრებით გაღრმავდა ბოლო ორ საუკუნეში. მხატვრულმა ლიტერატურამ იგი ღრმად გაიცნობიერა და მოახდინა ამირანის არქეტიპის, როგორც ქართული სინამდვილისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მითოლოგიური მოდელის ხელახალი რედუბლიკაცია მომავალთან მიმართებაში (აკაკი წერეთლის „თორნივე ერისთავი“), ვაჟა-ფშაველას („მკვდარი ამირანი“). არქეტიპის გამძლეობა გამოხატავს ეროვნული ცნობიერების ერთგულებას მის მიმართ, ამიტომ ამირანის ძეგლისა და გამოცნობის, ასევე სიკვდილის მოტივებში (ვაჟა, გალაკტიონი) გარკვეულად აირეკლა ამ ერთგულების შესუსტების ხარისხი, მის კვალდაკვალ კი არქეტიპის ესთეტიკურმა აღქმამ ტრაგიკული ჰეროიზმიდან ტრაგიკომიკურ ფარსამდე ჩამოინაცვლა (გიჟკოლას სიზმარი „მარტის მამალში“). გიჟკოლას სიზმარი კოლექტიური არაცნობიერის სტრუქტურათა გადალაგების გამოხატულებაა, როცა მიჯაჭვული კაცი აღარავის აღარ მიანიშნებს ამირანზე, როცა ხდება არქაული იდეალის შინაგანი დამხობა. ეს ის შემთხვევაა, როცა მოვლენის არსი კვდება თვით მასშივე მარადიული განუხორციელებლობის გამო, როცა მნიშვნელობის მრავალჯერადმა გამეორებამ კოდი მოშალა და უაზრობად აქცია.

თავისთავად ის ფაქტი, რომ სწორედ მხატვრულმა ლიტერატურამ შესთავაზა ქართველ ხალხს ამირანის სახეცვლილი მოდელი, მოწმობს, რომ თავისუფლების პრობლემის სიღრმე და ტრაგიზმი, ასევე პასუხისმგებლობაც მის მიმართ საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა დონეზე მთელი სერიოზულობით იქნა გააზრებული. ამ დონეთა გამთლიანება ეროვნული ცნობიერებისათვის შინაგანად აუცილებელი პროცესი იყო.

როცა არქექტიპული სიმბოლოს ზემოქმედება იწურება, იგი ხელმეორედ უნდა ამეტყველდეს სხვა ენაზე, მისი პარადიგმატიკა ახალ მიმართებებში უნდა გამჟღავნდეს. ოთარ ჭილაძეს იგი გადააქვს კოლექტიური ცნობიერებიდან პიროვნულ ცნობიერებაში, რათა ამიერიდან იქ მოხდეს მისი უძირითადესი სტრუქტურების შენახვა და გადარჩენა. ამირანის შთამომავლის თვითშეგნებას უკვე პიროვნული ცნობიერება ინახავს და არა კოლექტიური. „ყველა შვილი ამირანია“ ინდივიდის ცნობიერებაში დაფიქსირებულ გენეტიკურ უწყვეტობაზე და ამირანის სახეში კოდირებული მნიშვნელობის საყოველთაობაზე მიგვითითებს.

ამირანის მითის ლიტერატურული რედუბლიკაციისათვის ოთარ ჭილაძემ საწყისად გამოიყენა მისი ძირითადი ბინარული ოპოზიციები: თავისუფლება-ტყვეობა და ძირითადი მენტალური სტრუქტურა – გენეტიკურ კავშირთა უგულვებელყოფა. ეს სტრუქტურები მან პიროვნული თვითშემეცნების ძირითად ქვაკუთხედად აღიარა, მითივე მეშვეობით ახსნა საზოგადოებრივ ცნობიერების ანომალიებიცა და პიროვნული ცნობიერების რღვევაც: „მთელ შენს ჯილაგს, მთელ შენს მოდგმას და მთელ შენს ხალხს დანარჩენი მსოფლიოსაგან განსხვავებით, კიდევ სხვა, განსაკუთრებული ცოდვაც ადევს – მამის მკვლელობა და ამდენად, დანარჩენი მსოფლიოსაგან განსხვავებით, ყველაფერი მეტი მოეთხოვება – მოთმენაც, ატანაც... ცოდნაც“. ამ „განსაკუთრებული ცოდვის“ გაცნობიერებას დაუკავშირა მწერალმა სამომავლო გზაც და პიროვნების ზნეობრივ-ეთიკური კონცეპციაც მისი გათვალისწინებით ჩამოაყალიბა, ანუ ის საქმე შეასრულა, რაც ბოლო ათწლეულების ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცნობიერების მთავარი საზრუნავი იყო. ამით მან თავისუფლების პრობლემისადმი ემოციურ დამოკიდებულებას მორალური საყრდენი შეუყენა.

ნათესაურ-გენეტიკურ კავშირთა შეუფასებლობა, მათზე უარის თქმა ახალ კულტურულ-ეთიკურ სისტემაში არის მორალური დანაშაული – ტრადიციულ ზნეობრივ ფასეულობათა დავიწყება, რომელიც სასჯელს იმსახურებს. ეს სასჯელი არის ტყვეობა, მონობა ან, ლელთლუნის განსაზღვრით, ის ვითარება, როცა „ჩვენი თავი ჩვენავე არ გვეყუდნის“, დავაკვირდეთ: ეს იმგვარი ვითარებაა, როცა ჩვენ ჩვენ კი აღარ ვართ, არამედ სხვა, როცა პიროვნებაცა და ერიც

იმდენად შორდება საკუთარ კულტურულ და ფსიქოგენეტიკურ მონაცემებს, რომ მათი იდენტურობა არ მჟღავნდება, და რაკი შორდება, რაკი უცხოვდება, უკვე ვეღარც თავის უფლებას ფლობს. თავისუფლების ფლობა ამ იდენტურობას, საკუთარ შინაგან „მე“-ს-თან იგივეობას გულისხმობს, მასთან განუწყვეტელ დაახლოებას როგორც პიროვნულ, ისე საერთო-ეროვნულ დონეზე. ეროვნული თავისუფლებისაკენ გზა პიროვნული თავისუფლების მოპოვებით იწყება, სწორედ პიროვნული თავისუფლების გზით ერთვება ცალკეული ინდივიდი ეროვნული „არათავისუფლების“, ეროვნული მიკუთვნებულების უღელში.

გენეტიკური (აქედან, ეროვნული) კავშირების უგულებელყოფა, სტიქიურ განცდათა შეუზღუდველი ძალმომრეობა შეგნებულ ცნობიერებაზე ანგრევს საზოგადოებისა და ინდივიდის სოციალურ, მორალურ, ფსიქოლოგიურ ერთიანობას და „მარტის მამალში“ სწორედ ეს ვითარებაა აღწერილი. გიჟკოლა, მამის საფლავის დამკარგველი კაცი აზრობრივად ნათესაურ-გენეტიკურ კავშირთა ვერშემფასებელია ისევე, როგორც ნათლია-ღმერთთან შეჭიდებული ამირანი; ან, როგორც გოგიას ბიძა – სულიერი წინამძღოლისა და ერის მამის მკვლელი; ან, როგორც გოგია – უდანაშაულო, უიარაღო თვისტომის მკვლელი. ან სულაც, როგორც ნიკო – „ამირანის შვილი“ – უცნობის მკვლელობის უნებლიე თანამონაწილე, ან ილიას მკვლელობის წარმოსახვითი თანამონაწილე. რომანის მხატვრული სამყაროს მთელი ეს ასოციაციური ურთიერთკავშირები უცდომლად მიგვითითებს თაობათა გენეტიკურ ერთიანობაზე, ერთიან მორალურ პასუხისმგებლობაზე აწმყოს, წარსულისა და მომავლის მიმართ; როგორც რეალობის, ისე წარმოსახვის მიმართ, ყველაფერ იმის მიმართ, რაც ადამიანში შემოდის არა მხოლოდ ობიექტური ყოფიერების, არამედ ცნობიერების გზით. ეს ასოციაციური კავშირები და ცალკეულ ეპიზოდთა სიუჟეტური განმეორებები (უცნობთან შეხვედრის, ბოშა ქალის, ბავშვობის, ილიას მკვლელობის) თანდათან ხსნიან ნიკოს ცნობიერების ფენოვან სტრუქტურას და ყველაზე მყარ ზნეობრივ და ფსიქოლოგიურ შრეებამდე აღწევენ. ნებისმიერ შემთხვევაში, უწერია თუ არა დილემას გადაჭრა, ისინი გამოხატავენ ნიკოს ცნობიერების მოუთმელობას იმ ვითარების მიმართ, რომელშიც იმყოფება. ნიკოს შემკრები ცნობიერება სხვა-

დასხვა დროს თავს აიგივებს უცნობთან, მამასთან, ამირანთან, გიჟკოლასთან, სოსოსთან. თავისუფლება მხოლოდ ცნობიერების მონაპოვარია, რომელსაც ძალუმს, მორალური პასუხისმგებლობა იგრძნოს ყველაფრის წინაშე, რაც მის არეალში შემოადღწევს. სწორედ ამ გზით თავისუფლდება ნიკოც.

ნიკოს ცნობიერების დრო „მარტის მამალში“ შეიცავს არაცნობიერი დროის პლასტებსაც. ბიჭის ფსიქოლოგიური დრო ინახავს თავისი გენეტიკურ-ნაციონალური კუთვნილების მთელ სპექტრს, მთელ ეროვნულ დროით გამოცდილებას, გარკვეულ გენეტიკურ „იძულებას“ მის მიერ განუცდელი დროის მიმართაც. ამავე დროს, იგი შეიცავს მომავლის პოტენციურ შესაძლებლობათა ინდივიდუალურ შეგრძნებათა ჩანასახსაც. დროის ეს ნიშანი დაფიქსირებულია ოთარ ჭილაძის ყველა რომანში და ადამიანის ფსიქოლოგიური დროის უმთავრეს თვისებადაა აღიარებული. ეს კი, თავისი მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ადამიანი არის არა მარტო ათვლის სისტემათა ორგანული ერთიანობის ნაწილია, არამედ ათვლის ინდივიდუალური სისტემაც ისევე, როგორც კოსმიური სხეულები უნივერსუმის ერთიან სისტემაში. იგი უფლებამოსილია არა მხოლოდ აღიქვას, არამედ განაგოს ეს სისტემა უნივერსალური დროისაგან დამოუკიდებლად როგორც საკუთარი ფსიქოლოგიური ყოფიერება. მორალური კანონი სწორედ ცნობიერების ფუნქციაა და არა ყოფიერებისა, კულტურის ნაყოფია და არა ბუნებისა, „რომელმაც უფიქრელადაც იცის ჭეშმარიტება“ (გურამ რჩეულიშვილი). ცხოვრება ამ კანონის გარეშე ქაოსად იქცევა – გიჟკოლას მამის საფლავის გაქრობაცა და უცნობის მკვლელობაც ამ ქაოსის ნაყოფია.

უცნობი წარსულისა და დავიწყებული ცოდნის, დათმობილისა და დაკარგულის მხატვრული ხატია, ჩვენი შინაგანი ენერჯის, ოცნებისა და რწმენის „ვირტუალური ელემენტი“. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ იგი ნიკოს ერთდროულად მამასაც აგონებს და ამირანსაც („მამაჩემს გავდა... „მამა მეგონა უცებ“), ნაცნობსაც და უცნობსაც, მკვდარსაც და ცოცხალსაც („გაცოცხლებულ მკვდარს ჰგავდა, უფრო ზუსტად კი, მკვდარი იყო და ცოცხალსა ჰგავდა“), ზოგადად ნათესავს („ნათესაური გრძნობა გაუჩნდა მოკლულის მიმართ“), მაშინ აღარც ისაა მოულოდნელი, რომ სწორედ იგი აჰყრის ნიკოს ცნობიერებას უმეცრების ბორკილს; სწორედ იგი

ეტყვის ნიკოს იმ უკანასკნელ სიტყვას, რაც წინაპარმა უნდა უთხრას შთამომავალს – მარდისობასთან, ე. ი. ერთდროულად წარსულთან და მომავალთან დამაკავშირებელს; სწორედ იგი კვდება იმისათვის, რომ ნიკომ ღირსეულად იცოცხლოს („ახლა ერთი ჩვენგანი მოკვდება უკეთესის გადასარჩენად“), რადგან: სწორედ იგია სიცოცხლის მუხტის გადამცემი, სიყვარულის ცეცხლის შემნახველიც და გამჩაღებელიც, მარად ძველი და მარად ახალი („უცხო ფერ-ხორცი ჰქონდა: სიძველის, სიმყარის, სიმაგრის“), დროისაგან ჯერაც დაუღლეელი სული ამირანისა.

ამირანი – მიჯაჭვული კაცი, არსებითად უმოქმედო კაცია. მისი სასიცოცხლო პოტენცია განუხორციელებელია, რადგან იგი არა რაიმე სასარგებლო ქმედებაში, არამედ მხოლოდ განთავისუფლების მცდელობაში იხარჯება. ასეთი ყოფნა, ფაქტობრივად, სიკვდილ-სიცოცხლის სასაზღვრო ვითარებას გამოხატავს. ყორანი, ზოომორფული არსება, რომელიც ამირანს გულ-ღვიძლს უკორტნის (ამირანის სახე აკაკის „თორნიკე ერისთავიდან), მძორით იკვებება. მისი არსებობა უკვე თავისთავად მიგვანიშნებს სიკვდილის სიახლოვეზე, არსობრივად აქ უკვე იკვეთება სიკვდილის მზადყოფნა სიცოცხლს ჩასანთქმელად. ყორანი და ყურშა ურთიერგამაწონასწორებელი სიმბოლოებია. ერთი – სიკვდილის, მეორე კი – სიცოცხლის ადეპტი ამირანის დასაუფლებლად. ამირანის ყოფნობის (მიჯაჭვულობის, ტყვეობის) არსი მარადიული წონასწორობის შენარჩუნებაშია სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. ეს არის ამირანის ხვედრი, მისი ბედისწერა – ასეთია ამირანის მითოსური მოდელის უმთავრესი აზრობრივი სტრუქტურა. დანარჩენი – ინტერპრეტაციებია.

ქართველი კაცი ამირანს თანაუგრძნობს იმიტომ, რომ მის სასჯელს ხვედრად მიიჩნევს. ხვედრი კი გმირის კუთვნილებაა, გმირობის ატრიბუტია, დასჯილი გმირის ატრიბუტია. ხვედრი რჩეულთა ბედისწერაა, და არა ყველასი. ჩვეულებრივთათვის არსებობს ბედი, იღბალი, ბედ-იღბალი. ქუდბედიანიაო, – ამბობს ყოფითად ბედნიერ კაცზე ქართველი. ხვედრი ნიშნავს წილ-ხვედრობას, საერთოს წილობას, ამ საერთოში წილის დადებას, საერთო კაცობრიული გზისა და ხვედრის ნაწილად თავის შეგრძნებას. ხოლო მონაწილეობა გულისხმობს აქტიურ ქმედებას, არა უმოქმედობას, მორჩილებას, გულ-ხელის დაკრეფას, არამედ შემართებას, გაბე-



დულებას, ბრძოლას. ამირანში არის ამ მონაწილეობის როგორც არქაული ელემენტები, რაც მასში ხტონურ, სტიქიურ ძალთა სიჭარბეზე მიგვითითებს (მაგ., ღმერთთან შერკინება), ისე უფრო გვიანდელი აზრობრივი სტრუქტურები, რაც მას კულტურული გმირის ნიშნებს ანიჭებს (მაგ., გმირების განთავისულება, მკვდრის მოვლა-პატრონობა). ამირანის მითის ფენოვან სტრუქტურაში ჩვენი საერთო კოლექტიური და კულტურულ-ინდივიდუალური ცნობიერების მთელი გზა და წინააღმდეგობები ასახული.

ოთარ ჭილაძეს შემოჰყავს განთავისუფლებული ინდივიდუალური ცნობიერება, როგორც დეტერმინაციის აღმკვეთი. „მე ამირანის მოდგმისა ვარ“ „მარტის მამალში“ უკვე ნიშნავს: მორალური არჩევანის შესასრულებლად გაცნობიერებულ ღწვას; სტიქიური შემართების მომაწესრიგებელი, მორალურ ქმედებაში გადამყვანი ცნობიერი მექანიზმის ამოქმედებას, რომელიც, პირველისაგან განსხვავებით, რეალური შედეგის მომტანია გარე სამყაროსთან კულტურული ურთიერთობს გზაზე. ისიც გავიხსენოთ, რომ ამირანის სასჯელის ფორმა უშუალოდ ფიზიკური თავისუფლების, სწორედ ხტონურ ძალთა აღკვეთის ფორმაა (ჯაჭვი, პალო) და არა, ვთქვათ, სიზიფესებური ქვის ზიდვა, რომელსაც თანამედროვე ევროპელი იძულებით მოვალეობად იცნობიერებს და რომელიც შესაძლებლობას ტოვებს, გადავიდეს სიამაყეში ამ მოვალეობის მიმართ, ან, სხვაგვარად, იქცეს ყოფიერების აბსურდულობის გამაბათილებელ არგუმენტად. ამ განსხვავებაში იკითხება სწრედ ქართული და ევროპული ცნობიერების განსხვავებული დამოკიდებულება პიროვნული თავისუფლების იდეის მიმართ. საერთო ეროვნული თვითშეგნება, როგორც კულტურული გამოცდილება, ყალიბდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი თითოეული წევრი აღიარებს პასუხისმგებლობას ამ ერთიანობის მიმართ. ადამიანი ეკუთვნის ჯიშს, მოდგმას, ერს, კულტურას, ენას. ადამიანის სრულქმნა, განკაცება ხდება მხოლოდ ამ კუთვნილებასა და მოვალეობის განხორციელების გზით.

ნიკო, მამა, დედა, გიჟკოლა, უცნობი – საბოლოოდ ყველანი უკავშირდებიან ამირანის სახე-იდეას, რომელიც წარმოადგენს არაცნობიერის სიგნალს გენეტიკური კოდით განსაზღვრულ აუცილებლობაზე. ყველაფერი ერთიანდება ნიკოში, რომელსაც ევალე-

ბა დავიწყებული მოვალეობის გაცნობიერება – პასუხისმგებლობა წარსულისა და მომავლის მიმართ, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ ხორციელდება „დროთა კავშირი“ და „მცირე დრო“ ერთვება „დიდი დროის“ დინებაში.

ყოველთვის, როცა ნიკოს ცნობიერებაში ამირანის არქეტიპი იღვიძებს, მისი არაცნობიერი იმპულსური ბიძგებით ირყევა, რათა ზედაპირზე ამოტივტივდეს და ცხოვრების სახელმძღვანელო ზნეობრივ პრინციპად იქცეს ნიკოს გენეტიკური საიდუმლო – თავისუფლების ნება და მასთან დაკავშირებულ ღირებულებათა მთელი კომპლექსი ანუ ის, რაც შეადგენს ეროვნული ყოფიერებისა და ცნობიერების გამოუსწორებელ, უმძიმეს დანაკარგს. სწორედ ამიტომ უკავშირდება ამირანის სახეს ნიკოს ცნობიერებაში აღდგენის პროცესი. გავიხსენოთ ამირანთან დაკავშირებული სახეები: ჯაჭვზე მიბმული და სამასხაროდ გადაქცეული გიჟკოლა; თვალდახუჭული და უძლური მამა; სახურავჩამოქცეული საყდრის (თუ ფეხსადგილის) ცეცხლთან ჩამუხლული, სიცივისაგან გათოშილი უცობი. ყველანი – უძლურების ჯაჭვზე მიბმულნი, ერთგული მეგობრის თუ მხსნელის მომლოდინენი. გავიხსენოთ თვითონ ნიკოც – მათთან სამუდამოდ დაკავშირებული – დაბადებისა და სიკვდილის წინაშე მოვალეობის გამო.

პიროვნულობისკენ, განკაცებისკენ ნიკოს სულიერი მოძრაობის პირველივე ნაბიჯები ჯაჭვის მსხვერვის ხმას გამოსცემს. ეს ხმა ამირანის ბორკილებთან ასოცირდება, რადგან „ერთთვიანი ავადმყოფობისა თუ ერთთვიანი სიკვდილის შემდეგ“ ნიკოს ცნობიერება შიშის ბორკილისაგან თავისუფლდება ცოდნისა და ხსოვნის წყალობით. იგი ხვდება, როგორ უნდა იცხოვროს, რათა ცხოვრების ჭუჭყიან მორევში არ ჩაძიროს უძრაობამ, თვლემამ, სიკვდილმა.

**Kakhaber Loria**

*Georgia, Tbilisi*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**Georgian Socio-Political Reality in the 1990-s According  
to Trilogy („Performing Coup“, „White Bear“,  
„Bermuda Triangle“) by Otar Chkheidze**

Otar Chkheidze is one of the outstanding representatives of modern Georgian literature. During post-soviet years Otar Chkheidze acknowledged his literary mastery once again, releasing the trilogy on tragic political events of the 90-s; the trilogy embraced novels “Performing Coup”, “White Bear”, and “Bermuda Triangle”. It can be said that these novels were written in the pace with the occurrence of the most important political events, which is always connected with taking certain risks in terms of creative work. However, rejection of chronological distancing was a deliberate choice made by the writer as well as the fact that he did not change authentic names of real characters.

**Key words:** modern Georgian literature; a literary chronicle; modern history of Georgia; chronological distancing.

## კახაბერ ლორია

საქართველო, თბილისი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სინამდვილე ოთარ ჩხეიძის ტრილოგიის („არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“, „ბერმუდის სამკუთხედი“) მიხედვით**

ოთარ ჩხეიძე უახლესი ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. ის უაღრესად მრავალმხრივი ავტორია, თუმცა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, უპირველეს ყოვლისა, შევიდა როგორც შესანიშნავი რომანისტი, რომელმაც არაერთი ძალზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები დაგვიტოვა. თავის მხრივ ოთარ ჩხეიძის რომანები გამოირჩევიან თემატური და მხატვრული მრავალფეროვნებით. იმავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საგულისხმო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ასახვას და ამ მხრივ უახლესი ქართული ისტორიის მხატვრულ მემკვიდრეობადაც კი გვევლინება.

პოსტსაბჭოთა პერიოდის წლებში ოთარ ჩხეიძემ თავისი მხატვრული ოსტატობა კიდევ ერთხელ გამოავლინა 90-იანი წლების ტრაგიკული პოლიტიკური მოვლენების ამსახველ ტრილოგიაში, რომელშიც შევიდა რომანები: „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“ და „ბერმუდის სამკუთხედი“. აღნიშნული რომანები, შეიძლება ითქვას, უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენათა ცხელ კვალზე იწერებოდა, რაც თავისთავად ყოველთვის გარკვეულ შემოქმედებით რისკთანაა დაკავშირებული. მაგრამ ქრონოლოგიურ დისტანცირებაზე უარის თქმა წარმოადგენდა მწერლის შეგნებულ არჩევანს, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ ავტორმა არ შეცვალა რეალურად არსებულ მოქმედ პერსონაჟთა ნამდვილი გვარ-სახელები. ოთარ ჩხეიძის გაცნობიერებული შემოქმედებითი არჩევანი ასევე გულისხმობს „შეულამაზებელი სიმართლის“ პრინციპის განხორციელებას, რაც იშვიათ ლიტერატურულ და მოქალაქეობრივ გამბედაობას გულისხმობს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე, არსებითად, ჯერ

კიდევ ბოლომდე დაუსრულებელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესსა და ამ პროცესებში ჩართულ რეალურად არსებულ ადამიანებს ეხება.

ტრილოგიის პირველი რომანი – „არტისტული გადატრიალება“ წიგნად პირველად 1994 წელს გამოვიდა. თხზულებას ეპიგრაფად უძღვის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და არჩილ მეფის ტკივილწარვეი სიტყვები: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგანვე თუისთა უფალთა“ და „ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ, გინდა მცირეთა, აზვადდებიან, იტყვიან: უჩემოდ ვინ იმღერეთა?“. ეპიგრაფი ზედმიწვნითი სიზუსტით განსაზღვრავს იმ უბედურების უმთავარეს მიზეზს, რომელიც თავს დაატყდა საქართველოს 1991-1992 წლების მიჯნაზე. აკი წერს კიდევ მწერალი უკვე მის თვალწინ განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით: „და ეს ერჩივნათ: ჩაძირულიყვნენ, ოღონდ არავინ გაეშვათ წინა, ოღონდ პირველი თვითონ ყოფილიყვნენ. პირველი, პირველი. უამრავი პირველი ყველა პირველი. უბედურებაა. პირველი რო ერთი ყოფილა, – როგორ იქნება უამრავი ერთი. ყველა ერთი როგორ იქნება. გაუჭირდებათ ამისი დამტკიცება მათემატიკოსებსა, ლოგიკოსებსაც გაუჭირდებათ. თუ იმათ შესძლეს, ღმერთი მაინც არ იყაბულებს. ემძაკი იყაბულებს“ (ჩხეიძე 1994: 28). მწერლის აზრით, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბაკხანალიის ერთ-ერთი გამომწვევი წინაპირობა, გაუკუღმართებულად გაგებული და ქართულ რეალობაში ტრაგიკომიკულ მოცემულობად ჩამოყალიბებული ე.წ. პარტიული პლურალიზმია: „ასსამოცი პარტია აბურთავენდა სამშობლოსა, ერთი მოედანი, ერთი ბურთი და ასსამოცი გუნდი“ (ჩხეიძე 1994: 47). სიტუაციის სრული აბსურდულობა და, იმავდროულად, უმწვავესი დრამატიზმი რომ მკითხველამდე ბოლომდე მიიტანოს, მწერალი ადამიანთა საზოგადოების ფუტკრის სკასთან შედარებასაც კი მიმართავს: „პარტიებად დაშლილიყო ერი, სამშობლო-სახელმწიფო პარტიად თუ ითქმის, ითქმის მხოლოდ ერთ პარტიადა. ფრაქციები?... კეთილი, ბატონო: გაიყოს მხოლოდ ორ ფრაქციადა: კონსერვატორები და ლიბერალები, ორადა, ორადა. მესამე უკვე ხრწნის დასაწყისია, მესამოცი – უბედურებაა... ფუტკარმა იცოდა. ფუტკარმა იცოდა: ოჯახი რო ერთი დედა გახლდა, ერთი, ერთადერთი. ცრუდედები

უბედურება იყო. ფუტკარმა იცოდა, იცოდა, იცის. თავთავის ამა-  
ლას მოიკრებენ ცრუნი დედანი და შეერევთან ერთიმეორეს ჟი-  
ნითა, ვნებითა გაბატონებისა. მწერის ჟინითა. შეერევთან. გაანად-  
გურებენ. სკაში ჩაცხრება შფოთის ზუზუნნი. სკაში სიცოცხლე  
ამოიკვეთება. მწერული ჟინია ასე დაუმცხრალი. მწერი ჟინია. მეტი  
ჰკუა არცა აქვს მწერსა. თუმცა არაო, იმდენი ჰკუა მაინც მოეპოება,  
ორ-სამს რო არ აღემატება ცრუ დედაი, ასსამოცი არ გაგონილა, ამას  
ფუტკარიც ვერ წარმოიდგენს, შხამით გატენილი ფუტკარი. შხა-  
მით გატენილი ეტყობა კაცი უარესი შხამია, უარესი ჟინი, ვნებაი  
უარესი. ას სამოცი პარტია, ას სამოცი ლიდერი, ერთს რომ გაუს-  
წრია და ვერ აუტანიათ... იმ ერთს დაესევა უთუოდ დანარჩენი.  
ვნება, ჟინია, ჰკუა რომ ვერ დაიმორჩილებს“ (ჩხვიძე 1994: 55).

როგორც ნესტან ფიფია მართებულად შენიშნავს თავის სა-  
დოქტორო ნაშრომში, „არტისტული გადატრიალება“ მემატიანის  
სიზუსტით გადმოსცემს მოვლენების არსს, თავისებურებას, ამ-  
ხელს ტრაგედიის ორგანიზატორებს თუ შემსრულებლებს. თვით  
რომანის სახელწოდება შესაშური მიგნებაა [...]“ (ფიფია 2009:  
194). ჩემის მხრივ, ადრეც ვწერდი, „რომ სიტყვა „არტისტული“  
ყველაზე უფრო ტრაგიკული და, ამავე დროს, ყველაზე უფრო  
ირონიული აქცენტირების ქვეშ მოქცეული სიტყვაა ამ რომანში.  
შემოქმედობრიობის, ქმნადობის, უნარიანობის, ნიჭიერების ნაც-  
ვლად იგი ატარებს ყალბი ნიღბის, ფუქსავატობის, ზერელობის,  
ამპარტავნობისა და ზნედაცემულობის გაგებას. ზოგჯერ სრუ-  
ლიად ნეიტრალური საგნები თუ მოვლენებიც შეგვხვდება ამ  
ატრიბუტით, მაგრამ მაშინაც მძაფრია ირონიული განწყობილება“  
(ლორია 2009: 96). რომანში დახატულია ვითარება, როდესაც ღი-  
რებულებები ტოტალურადაა აღრეული, ყველაფერი თავდაყირა  
დგას. ხალხი მასობრივადაა ქუჩაში გასული, „თეატრიც ქუჩაში,  
ან თუ უფრო სწორი იქნება: თეატრი რო გამოსულიყო ქუჩაში და  
ხალხიც თან რო გამოჰყოლოდა ქუჩაში. ხალხი ქვეულიყო თე-  
ატრადა, თეატრი – ქუჩადა“. ქვეყანა გაუთავებელი მიტინგების  
ტრაგიკომიკურ არენად გადაქცეულა. ამ „ორატორულ“ ისტერიას  
მწერალი მართლაც რომ დაუვიწყარ შეფასებას აძლევს: „ყველა  
მიიწევდა ტრიბუნისკენა, ყველა მიკროფონს მისტანებოდა, ყვე-  
ლაი, ყველაი: ბრუნდი და სწორი, ცრუ და მართალი, თაღლითი და

წრფელი, ბრძენი და სულელი, გიჟი უამრავი გვაროვნებისა. ჯაჭვიც რო აღარ იშოვებოდა ამდენი“.

მაგრამ თვით იმ საქართველოშიც კი, სადაც საკმარისი „ჯაჭვიც რო აღარ იშოვებოდა“ რათა როგორმე ვინმეს დაეოკებინა „გიჟი უამრავი გვაროვნებისა“, სადაც, როგორც რომანის ერთი პერსონაჟი ჩივის, მხოლოდ ერთი რამ ხდება, „შინ კამათი!.. გარეთ კამათი!.. ლოგინშიც კამათი: ცოლ-ქმრობაც მოიშალა, საყვარლობანაც მოიშალა. კაცი კაცად აღარ ვარგა, ქალი ქალადა“, მაინც შეიძლება იშვას სამოქალაქო თავგანწირვის სულისშემძვრელი მაგალითი, და ოთარ ჩხეიძე ის მწერალი არ არის, ესოდენ ფართომასშტაბიან, პანორამულ მხატვრულ-დოკუმენტურ რომანში, როგორც „არტისტული გადატრიალება“ გია აბესაძის მიერ გაღებულ ერთ-აუწერელ მსხვერპლს გვერდი აუაროს: „კაცს თავი დაუწვავს. ბართი დაუგდია: ოღონდ შერიგდით. მსხვერპლი მე ვიყო. უკანასკნელი მე ვიყო დიდი უბედურების მოლოდინშიო“ (ჩხეიძე 1994: 117). თუმცა, ადამიანთა გარკვეული ნაწილი იმდენად არის აყოლილი ამბიციებს, იმდენად დაუბრმავებია პოლიტიკური აღზევების და ძალაუფლების მოპოვების არაჯანსაღ სურვილს, რომ თანამემამულის თვით ასეთი თავგანწირვაც კი ხელს ვერ ააღებინებს აკვიატებული მიზნიდან. თანაც, „არტისტული გადატრიალების“ ავტორის აზრით, თბილისის ქუჩებში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს თავისი რეჟისორები საქართველოს გარეთ ჰყავს. მათთვის კი როცა საქმე იმპერიის საზღვრებსა და გავლენას ეხება, უკან დახევა და კომპრომისი სრულიად უცხოა. იმავდროულად, თავის შავბნელ საქმეს აკეთებს ქართველთა თითქმის ყოვლისმომცველი ურთიერთსიძულვილი და ამ სულიერი სიმახინჯის გამომხატველი „სიძულვილის ენა“: „იგინებოდნენ მერე შოფრებზე უარესადა, მამაკაცები რაღა თქმა უნდა, არაფერი რო ავიწყებოდათ, ყველგან რო ასე იგინებოდნენ, შინა თუ გარეთა, გაბრაზებულნი თუ დამშვიდებულნი, თავსაც იწონებდნენ ახალ-ახალი მეტაფორებითა, უხამსითა რაღა თქმა უნდა. ი გინებოდნენ, იწყევლებოდნენ“ (ჩხეიძე 1994: 69). უაღრესად წუხს და განიცდის ავტორი. ვინ თუ არა მან კარგად იცის სიტყვის ძალა და ყოველივე ის, რაც ამგვარ მანკიერ რიტორიკას მოჰყვება თუ მოჰყვება: „ენაც მოქარგულა, აშვებულა მოქარგული ენაი, ეშმა-

კის ენა აშვებულა, ქარგავს სიავესა, სიმახინჯესა ქარგავს“ (ჩხეიძე 1994: 101).

მართალია, „არტიტულ გადატრიალებაში“ გადმოცემული პოლიტიკური მოვლენების რეჟისორები სცენაზე უშუალოდ არ ჩანან, მაგრამ შემთხვევითი არაა, რომ ყოველივე რაც ირგვლივ ხდება მწერალს ხშირად მაინც 1921 წლის თებერვალს აგონებს. ასე, მაგალითად, სრულიად აშკარაა ეს განწყობა თბილისის სატელევიზიო ანძისათვის ბრძოლის აღწერისას: „ანძისთვის იბრძოდნენ, მთაწმინდა ჰქუხდა გათენებამდისა... გაჰქონდა ქუხილი კოჯრის ქარებსა მთიდან მთაზედა, ქალაქის გარშემო ოცდაერთის ქარებივითა... იბრძოდნენ ისე, მე-11 არმიას შესჯახებთან თითქოსაო. რა ნამყო. რა აწყო. რა მყოფადიო. ერთფეროვნებაა“ (ჩხეიძე 1994: 193). მაგრამ განსხვავება მაინც არის და მწერალ-მემატციანის მახვილი თვალი ამ განსხვავებასაც მშვენივრად აღიქვამს. თუ ოცდაერთში რუსები უშუალოდ თავად დაგვიპირსპირდნენ ქართველებს, ახლა ერთმანეთის ხელით გვანადგურებდნენ და თან ისე რომ თავად თითქოსდა არც ჩანდნენ: „გაეშალათ და ტრიალებდა ზედა ულმობელი კვერი. ეშმაკის კვერი ეშმაკის კალოზედა... ეშმაკის კვერი ეშმაკის კალოზედა... იგივე კალოა. იგივე კვერი. ეშმაკიც იგივეა. ხერხია უარესი. თვითონვე გვლეწავდა აქამდისა, ახლა გვალეწინებს ერთმანეთსა...“ (ჩხეიძე 1994: 273).

იმავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ რომანი „არტიტული გადატრიალება“ არ ასახავს მხოლოდ და მხოლოდ 1991-1992 წლების მიჯნის მოვლენებს. ასე მაგალითად, რომანში დამსახურებული ადგილი უკავია 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის მხატვრულ წარმოჩენასა და სიღრმისეულ გააზრებას. საზოგადოდ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „[...] მწერალი გულის თვალებით ხედავს და ხატავს, მისი ირონია და სატირაც ცრემლგარეულია. აი, რომ იტყვიან სიმწრისაგან ეცინებაო“ (ჯალიაშვილი 2006: 100). მაგრამ, როგორც ამას წლების წინაც აღვნიშნავდი, „მწერალი ტრაგიკული განწყობილების მიუხედავად მაინც ხვალინდელ დღეზე ფიქრობს და, როგორც ჩანს, ცდილობს ჩვენი ტრადიციული, ისტორიულ-გენეტიკური ნაკლის გაცნობიერებით მომავალში მაინც აგვაშოროს თავს მსგავსი უბედურება“ (ლორია 2009: 88).



ოთარ ჩხეიძე რომანის – „თეთრი დათვი“ პირველი გამოცემის (1999 წ.) მოკლე წინასიტყვაობაში წერდა: „თეთრი დათვი“ უშუალოდ მისდევს „არტისტულ გადატრიალებას“ და იმასთან ერთად გამოჰხატავს ჩვენი საუკუნის 90-იანი წლების ვითარებას საქართველოში, ქართულ ტრაგედიას გამოჰხატავს საერთაშორისო ვითარების ფონზე; გამოჰხატავს გამძვინვარებას რუსული იმპერიალიზმისა, იმის გამო: საქართველო რო ეცლება ხელიდანა, – კავკასია ეცლება; გამოჰხატავს გამძვინვარებას რუსული იმპერიალიზმისა და ქართველ გამცემთა თანადგომას გახელებული იმპერიისადმი. ეს არის და ესა!.. და ეგება ამიხსნას ვინმემა: რამ გააბრაზათ ჩემი რომანის მტრები, – რამა?..“ (ჩხეიძე 1999: 2).

მართლაც, ისევე როგორც „არტისტულმა გადატრიალებამ“ ამ რომანმაც ცოტა ვინმე თუ დატოვა გულგრილი. და ეს დიდწილად განაპირობა მწერლის დაუდალავმა, და, იმავდროულად, სწორედაც რომ ყოვლისმომთმენმა ერთგულებამ „მართალი, პირუთვნელი, დაუთმობელი რეალიზმის“ (როგორც თავად უწოდებდა) მიმართ. რომანში ოთარ ჩხეიძე პრინციპულად დაუპირისპირდა მითს (და, ჩემი აზრით, უაღრესად გულუბრყვილო და, იმავდროულად, არცთუ უსაფრთხო მითს!) ორი რუსეთის არსებობის შესახებ, ბოლომდე და დაუნდობლად ამხილა რა რუსული იმპერიალიზმის კაცთმოძულე და დანაშაულებრივი ბუნება, გამოამჩეურა მისი უცვლელი და გამოუსწორებელი ხასიათი: „ორი რუსეთიო, აუხირებიათ ჩვენში. აუხირებიათ. ეგეც შენი ორი რუსეთი!.. ერთი, ერთი და განუყოფელი ერთი, ერთი და გაუმაძღარი, ბოროტების მზე იქ ამოდის. შავი მზე. ამოდის. არ ჩადის. თუ ჩავა, მსოფლიო ამოისუნთქებს“ (ჩხეიძე 1999: 37). დიახ, „ბოროტების მზე“ სწორედაც რომ „ბოროტების იმპერიაში“ უნდა ამოდიოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველივე ამას მთელი ქართველობა როდი აცნობიერებდა და აცნობიერებს. ზოგი, თუნდაც ამიტომ (უარესი რომ არ ვთქვა!) ეწეოდა ან, შეიძლება, დღესაც ეწევა ორმაგ პოლიტიკურ თამაშს.

რომანში ბოლომდე აქვს ჩამოხსნილი ნიღაბი რუს ე.წ. დემოკრატიებსა და რუსულ ე.წ. დემოკრატიას, რომლის განსახიერებას, სხვებთან ერთად და სხვებზე უწინარეს, წარმოადგენს „დიდი“ რუსი „დემოკრატი“, რუსეთის ფედერაციის პირველი საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტი – ბორის ელცინი: „ერთ გოჯსაც

მანც არავის დავუთმობთო. აი, პრეზიდენტი: ბარცობურცობს და მტვიცედ აცხადებს, დროც იმისია, მიწაც იმისი. დროცა. სივრცეცა“ (ჩხეიძე 1999: 82).

ამ განახლებული, ფასადშელამაზებელი „ბოროტების იმპერიის“ ერთერთი პირველი მსხვერპლია 90-იანი წლების საქართველო და ქართველობა. ქვეყანას გარე ძალების მიერ თავს-მოხვეული ძმათამკვლელი ომის შემდეგ კვლავაც დიდი უბედურება დაატეხა თავს რუსეთმა. უფრო მეტიც, ომი აფხაზეთში, გარკვეულწილად, 1991-1992 წლების მიჯნაზე განვითარებული ტრაგედიის გაგრძელებაა, მაგრამ, ოთარ ჩხეიძის გადასახედიდან, აფხაზეთის ომს მანც აქვს თავისი დამატებითი ბედუკუდმართი განზომილებებიც: „გაუგებარი ომი მოვლენოდათ. გაუგებარი. გაუგონარი. რო ვერ მიატოვებ შენ მიწა-წყალსა, – ამას გაიგებ რადა თქმა უნდა. ოღონდ თუ რატომ შენც არ შეუტევ, როცა გიტევენ, როცა გებრძვიან, შენც რად არ იბრძვი, ომი როცაა, რად არა ომობ, რატომა დგახარ პირდაღებული, რადა ნადგურდები უბრძოლველად, – ამას რო ვერა [...]“ (ჩხეიძე 1999: 69-70). ხსენებული «გაუგებარი» და „გაუგონარი“ ომის შედეგები კი თავზარდამცემი და შემადრწუნებელია. ამ მიმართებით პირდაპირ სულშიჩამწვდომია „თეთრი დათვის“ ავტორის ყოველი ფრაზა და ყოველი სიტყვა: „სისხლი. წინ სისხლი. უკან სისხლი. სისხლი. სისხლი. უსაზღვრო, აურწყავი, გაუმაღლარი მიწაცა, წყალი ვერ აძლობს დაშაშრულსა, გამხურვალეზულსა, ვერ ამწყურვალეზს, ოფლიც ვეღარ. სისხლიც თულა მოითქვამს სულსა... და საქართველოც უდაბნო იქნებოდა, სისხლით რო არ გაჯერებულიყო“ (ჩხეიძე 1999: 115). ნესტან ფიფია ჩემს მიერ უკვე დასახელებულ სადოქტორო ნაშრომში მართებულად შენიშნავს. რომ ოთარ ჩხეიძის „თითოეულ სიტყვას გულის შეძვრის, სულიერი თანაზიარების, ტრაგედიის ღრმად განცდის ფუნქცია ეკისრება. თითოეული სიტყვა და მათი წერტილებით (და არა მძიმეებით) გამოყოფა ცვლის მწერლის ლირიულ ჩართვას სიუჟეტის მდინარებაში. წერტილსაც მხატვრული ფუნქცია ეკისრება სათქმელის სიღრმისეულ გაცნობიერებაში“ (ფიფია 2009: 31).

ოთარ ჩხეიძის „თეთრ დათვის“, ისევე როგორც ტრილოგიაში შემავალ სხვა რომანებს, რა თქმა უნდა, ჰყავთ თავისი, მეტად თუ ნაკლებად გამოკვეთილი, მთავარი გმირები. და მანც, მიუხედა-

ვად ამისა, შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ „ოთარ ჩხეიძის მთავარი გმირი „რეალობა“, რომელიც ტრანსფორმაციას განიცდის მხატვრულ ტექსტში და მრავალგვარი ნიღბით გვევლინება. თუმცა ყველაზე ხშირად მაინც უნიღბოდ გამოდის ასპარეზზე, ასახავს ერთმორწმუნე რუსეთთან საქართველოს იძულებით-ბედისწერული ურთიერთობის ხასიათსა და შედეგებს“ (ფიფია 2009: 34). ჩრდილოელ მეზობელთან ჩვენი ქვეყნის ამ „იძულებით-ბედისწერულ ურთიერთობას“ სხვა ყველაფერთან ერთად, უთუოდ, თავისი ღრმა ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული-ისტორიული ძირებიც გააჩნია როგორც ჩვენი ისე, განსაკუთრებით, რუსული მხრიდან. ოთარ ჩხეიძე ყოველთვის ცდილობდა ბოლომდე ჩაწვდენოდა ამ ძირებს, მათ შორის, გაეგო და მკითხველისთვისაც გაეზიარებინა რუსული სახელმწიფოს მსოფლმხედველობრივი საფუძვლები: „იმპერიალიზმი სულია მისი და დემოკრატიზმმაც წარსულშიც ამიტომ ვერ იხეირა რუსეთში. წარსულშიც უჭირდა და ახლაც უჭირს. რუსული დემოკრატიზმი ყოველთვის შეზღუდული გახლდათ.... რა ახალი იდეოლოგიაც არ უნდა შემოეტანათ დასავლეთიდან, რუსეთში უსათუოდ იმპერიის ქარგზე უნდა მოჭრილიყო“ (ჩხეიძე 1991: 208). ეს არამარტო რუსეთის ყველა უშუალო მეზობელისა და, შეიძლება ითქვას, მთელი პოლიტიკური მსოფლიოს, არამედ არანაკლებ თავად რუსეთის დიდი პრობლემაცაა, იმის მიუხედავად თუ რამდენად აცნობიერებენ ამას საკუთრივ რუსეთში. ოთარ ჩხეიძეს კი ნამდვილად უნდა დავეთანხმოთ, რომ „[...] სწორედ ესაა ვნება რუსეთისა – იმპერია, რუსული იმპერია, ვნება საზღვარს გადასული თუ არ ვიტყვით, პათოლოგიამდის მისულიო, ვნება, რაც რომ ყველას აერთიანებს რუსეთში, რა პოლიტიკური, რა ფილოსოფიური თუ იდეოლოგიური მოძღვრების მიმდევარიც არ უნდა იყოს“ (ჩხეიძე 1991: 208).

ეს რუსეთის მართლაც რომ „პათოლოგიამდის მისული ვნება“ თავისთავად უდიდესი განსაცდელია საქართველოსთვის, მაგრამ, ოთარ ჩხეიძის რომანების მიხედვით, არანაკლებ საფრთხესა და პრობლემას წარმოადგენს ის არაერთი ქართველი, რომელიც „რუსულად მოზეილილიყო. რუსული ჰქონდა საფენელი. რუსულად ესმოდა 801, 921-იც რუსულად ესმოდა, 24-ცა რაღა თქმა უნდა ნუმც გაგიკვირდება: 37-იც რუსულად გაეგო“. შემთხვევით არ

წარმდგარა მწერალმა ტრილოგიის მესამე რომანს – „ბერმუდის სამკუთხედი“ ეპიგრაფად ქართული ანდაზის სიტყვები: „მუხამა თქვაო: ცული მე რას მიზამდა, შიგ ჩემი რომ არ ერიოსო“. არც თავად ამ რომანის სათაურია შემთხვევითი. როგორც ირკვევა, ნაწარმოების შექმნამდე მწერალი სპეციალურად გაცნობია ბერმუდის სამკუთხედის თეორიას, რათა მხატვრულად დაეკავშირებინა იგი ჩვენს პოლიტიკურ სინამდვილესთან. ოთარ ჩხეიძის აზრით, „ჩვენი ისტორია, სრული ისტორია, დასაწყისდაბადებიდან აგერ, აქამომდე ბერმუდული ბედისწერაა – ვიხრჩობით და ვიხრჩობით და... მაინც სულს ვითქვამთ“ (ფიფია 2009: 75). მწერალმა შემდეგნაირად განსაზღვრა „ბერმუდის სამკუთხედის“ ქართული ვარიანტი, ხოლო სერიოზულ პრობლემას კი, შორსმჭვრეტელურად, შემდგომი ხანგრძლივობა უწინასწარმეტყველა: „კომუნისტურმა რუსეთმა სამი ავტონომია ჩადო საქართველოში საქართველოს დასანგრევად: სოხუმი-ბათუმი-ცხინვალი. სამი კუთხე. ისევ იმას ებლაუჭება. იმიტომ მოშალა ავტონომიები გამსახურდიამა. ისევ აღადგინეს და ებლაუჭება ისევ ისევე. რაც უნდა გვეშველოს, ეს მაინც გასტანს, კარგა ხანს გასტანს და კაი გვარიანი ღონისძიებანიც დასჭირდება“ (ფიფია 2009: 75).

„ბერმუდის სამკუთხედის“ გმირი გიზო კორძეელი საკმაოდ დაშორებული ქართულ ფესვებს. „მამა იმედოვნებდა გიზოსი, ქართულს ხო ისედაც ისწავლისო“ (ჩხეიძე 2001: 6) და ამიტომაც რუსულ სკოლაში უკრა თავი. გიზოს „რომანტიკა, სიმბოლიკა, აბსტრაქცია, ფანტასტიკა, არაფერი ამის მსგავსი არ ეპიტნავებოდა... სინამდვილე უნდოდა ცხადი, ნათელი, მკაფიო, თვალდათვალი, სწორი, პირდაპირი, თავისთვის პირდაპირი, ხოლო სხვა თუ გაიხლართება, რა ვუყვით ცხოვრება ჰო უცნაურია, ყველას არ უმართლებს, როგორც რო ნებავს“ (ჩხეიძე 2001: 212). ნესტან ფიფია სამართლიანად შენიშნავს თავის სადისერტაციო ნაშრომში: „იმედისმომცემი პერსონაჟის – ბაადურ რიკოთელის („თეთრი დათვი“) შემდეგ, რენეგატის ახალი, სინთეზირებული სახე მოგვცა მწერალმა „ბერმუდის სამკუთხედში“ გიზო კორძელის დახატვით, რომელიც პუტჩის შედეგად დარბეულ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის, ამ უზარმაზარი, უსულგულო მონსტრის ერთ ჭანჭიკს წარმოადგენს სამოქმედო სქემით: „გაყიდოს და იქმნას ძვირად

გაყიდული“ (ფიფია 2009: 118). გიზომ „რა არ იცოდა, ღმერთო ჩემო, რა არ იცოდა, სოკოს ჯიშებიდან გენურ ინჟინერიაში“ (ჩხეიძე 2001: 30), მაგრამ, განსაკუთრებით საქართველოდან გადაკარგვის შემდეგ, მასში თითქმის აღარაფერი დარჩენილა ქართული. მოგვიანებით, „გიზო კორძელი რუსული სკოლის სარკმლიდან რუსული თვალთ დანახული სამშობლოს ტურისტივით აღმქმელი დაბრუნდა საქართველოში; ის უკვე ყოფილი ქართველია, რომელსაც არაფერი შეუძლია პატრონებისაგან დავალებული ფუნქციის შესრულების მეტი. იგი „ადგილის მწევარია, ადგილის კურდღლის დასაჭერად, იარაღია იმის ხელში, ვინც დიდი ხანია იცის: „ქართველი მხოლოდ ქართველით იძლივება“, იმ ქართველით, რომელიც დროდადრო მხოლოდ სახელს იცვლის: ვარსკენი, ლიპარიტი, ყვარყვარე, ოთარი, შალვა, მზეჭაბუკი, შადიმანი, სერგო, იოსები და...“ (კუხიანიძე 2005: 131).

ოთარ ჩხეიძე, ისევე როგორც ტრილოგიის პირველ ორ რომანში, „ბერმუდის სამკუთხედშიც“ პირუთენელად ამხელს რუსული იმპერიის მზაკვრულ „პოლიტიკურ მორალს“, რითაც მწერალი უპირველეს ყოვლისა ისევ საკუთარ თანამემამულეებს გვაფრთხილებს და პერმანენტული სიფხიზლისაკენ მოგვიწოდებს: „ზნეობა რუსისა, საქართველო მოსწონს, – უქართველებოდა. მე ვისაც ვუყვარვარ შევიწყნარებო. იტყუება, კავკასია მოსწონს. კავკასიელთა გარეშე თავისთვის მოსწონს. დნება. ვარვარებს. კავკასიის სიყვარულითა“ (ჩხეიძე 2001: 130). საგულისხმოა, რომ ამ ფონზე ჭეშმარიტ პატრიოტ მწერალ-მემატეიანეს არ ავიწყდება ტრადიციულ ღირებულებებზე და ეროვნული ღირსების გრძობის შენარჩუნებაზე აქცენტის საგანგებო გამახვილება, მიუხედავად იმისა რომ კარგად იცის, დასავლეთი სტრატეგიულად ჩვენი პოლიტიკური დასაყრდენი და სამომავლო მოკავშირეა: „მოგვაშორეთ რუსი. ისევ ისა გვბორკავს. ისევ იმისგან შევბოჰილვართო. და ნურც დასავლეთს შემოუშვებთ ისე: ხორბლის მოყვანა რო გვასწავლონ, ღვინის დაყენება რო გვასწავლონო, გააგებინეთო: ჩვენ რო ვართ სამშობლო პურისაცაო. ღვინისაცაო. და თვითონ იესომა სთხოვა დედასა თვისასა, ქრისტეს მოძღვრება რო მოეტანა ჩვენშიო“ (ჩხეიძე 2001: 211).

როგორც ნესტან ფიფია მართებულად შენიშნავს, „ოთარ ჩხეიძის ვაიგმირიანი, რეალურპერსონაჟიანი შემოქმედებითი

სამყარო რთული და მძიმე ისტორიული ვითარების მხარდამხარ დგას. ნაწარმოებები დიალოგს მართავენ საზოგადოებასა და ისტორიასთან; ეს ურთიერთობა მწერლის ქმნილებებთან მომავალი თაობებისთვის კიდევ უფრო საინტერესო იქნება“ (ფიფია 2009: 82). და მართლაც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც ზემოხსენებული ტრილოგიით, ისე მთელი თავისი შემოქმედებით, ცნობილი მწერალი-მემატანე, უპირველეს ყოვლისა, ხვალინდელ საქართველოს ელაპარაკება. ოთარ ჩხეიძეს, ამ ჭეშმარიტად უნიჭი-ერეს შემოქმედსა და სამაგალითო მოქალაქეს, ყოველთვის ბოლომდე ჰქონდა გაცნობიერებული საკუთარი სამწერლო ბოლო და მოვალეობა. „დოკუმენტური პროზა მწერლისგან სწორედ ყოველგვარ მანკიერებაზე სახელდებით საუბარს მოითხოვდა. ოთარ ჩხეიძემ იტვირთა ეს მძიმე ჯვარი, თავიდანვე იცოდა მისი სიმძიმე და ამიტომ „მოქალაქეობრივ უხერხულობას“ არ უქმნიდა მისი ალსრულება“ (ფიფია 2009: 86).

დასასრულს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად პუბლიცისტურ-დოკუმენტური ჟღერადობისა, ზემოგანხილული ტრილოგია (ისევე როგორც მასში შემავალი ცალკეული ნაწარმოებები) წარმოადგენს მაღალმხატვრულ შემოქმედებით მოცემულობას. ოთარ ჩხეიძე დამამახსოვრებელი ესთეტიკური ხერხებითა და ემპირიული მოვლენების ღრმამინაარსობრივი განზოგადებებით ძერწავს ეპოქის ტრაგიკულ სურათს, ქმნის 90-იანი წლების საქართველოს მხატვრულ მატანეს.

### **დამოწმებანი:**

**კუხიანიძე 2005:** კუხიანიძე ლ. *მწერალი და საზოგადოება (ოთარ ჩხეიძის პროზის რამდენიმე ასპექტი)*. ქუთაისი: საგამომცემლო ცენტრი ქუთაისი, 2005.

**ლორია 2009:** ლორია ვ. *ლიტერატურული ჰორიზონტები*. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“, 2009.

**ფიფია 2009:** ფიფია ნ. *ოთარ ჩხეიძის მხატვრულ – დოკუმენტური პროზა (XX საუკუნის 90-იანი წლები)*. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009.

**ჩხეიძე 1991:** ჩხეიძე ო. *მრავალტანჯული რუსეთი*. ჟურნ. კლდეკარი, 1991.

**ჩხეიძე 1994:** ჩხეიძე ო. *არტისტული გადატრიალება*. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1994.

**ჩხეიძე 1999:** ჩხეიძე ო. *თეორი დათვი*. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1999.

**ჩხეიძე 2001:** ჩხეიძე ო. *ბერმუდის სამკუთხედი*. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 2001.

**ჯალაშვილი 2006:** ჯალაშვილი მ. *სიცოცხლის საიდუმლო (ლიტერატურული წერილები)*. თბილისი: გამომცემლობა „წყაროსთვალი“, 2006.